სერგი (გიორგი) საჯაია

შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ -ის უმაღლეს საბჭოში

V ნაწილი

თბილისი
2017-2019 წლები

უაკ (UDC) 328 (479.224)
ს-372

რედაქტორი **ზურაბ ქობალია**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნანა პაპოშვილი**

©გამომცემლობა „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1,
ტელ.: 599 343 727
ელ. ფოსტა: zurkob@gmail.com

©სერგი (გიორგი) საჯაია - შეთქმულთა თაღლითობანი
აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში

ISBN **978-9941-9602-6-0**

მოგონებათა ამოხველება ავმოსურნეობის საალყო ფორიაქიდან

„რამეთუ შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე...“

ფსალუნი დავითისი - 9, 68;

„და მიცეს მე საჭმელად ჩემდა ნაღველი და წყურილსა
ჩემსა მასუეს მე ძმარი...“

ფსალმუნი - 9, 68;

„მე ვასრულებდი მხოლოდ ჩემს ქართულ მოვალეობას...“

ექვთიმე ღვთისკაცი;

„ღმერთო, შემიწყალე მე - მარტო მყოფი...“

უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

1. გივი ლომინაძე, ანუ მოცემულობა, რომელიც ერს უბედურებად დაუსაწყობდა: იმ ცნობიერებით, რომლითაც რიგითად შევენაკადე ეროვნულ-განმათავისუფ-ლებელ მოძრაობას, რაც გამომდინარეობდა „კოლხური კოშკის“ მსოფლმხედველო-ბიდან („ვიყავ ბეთანიას, თაყვანი ვეც თამარს“! კონსტანტინე გამსახურდია, 1921 წ. 25 თებერვალი“), უცხო თვალსაწიერად დავდგინდი არა მხოლოდ აგრესორულ-სე-პარატისტული (უფრო სწორად, კოლაბორაციული) ეთნოკრატიის თვალში, არამედ აფხაზეთის ასსრ „ქართული“ პარტოკრატიისთვისაც და თანაც პირველ რიგში ამ უკანასკნელთან

ამის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობაც, როგორც ამ მხარის „ქართული“ პარტოკრატიისაგან მოაღვირებული საზოგადოება, არ მთვლიდა თავისიანად. სამწუხაროდ, ის, რაც ეროვნულ მოძრაობად იწოდებოდა აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში), როგორც დრომ დაადასტურა, უკეთეს შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი, თავისი წინგაუხედაობითა და უვიცობით ჩემდამი მტრულად განწყობილთა სანგარში აღმოჩნდა, იგი, აფხაზეთის „ქართუ-ლი“ პარტოკრატიის გასწვრივ, თავად გახდა ჩემი „გაუვნებელყოფის“ ერთ-ერთი მოთავე.

უფლის წინაშე ვაცხადებ, რომ „კოლხური კოშკის“ ცნობიერებისკენ მე ჩემი ბავ-შვობიდან მოვდიოდი. სამწუხაროდ, ამ გზაზე ამემგზავრა წინააღმდეგობრივი კლა-კნილიც და როცა გავისიგრძეგანე ჩემი ვინაობის, ანუ ქართველობის, ე. ი. აფხაზო-ბის (მეგრელობის) დედანი შინაარსი, აღმოვაჩინე, რომ მზად ვიყავი მისთვის თავგასაწირად.

მოხდა ისე, რომ აქაურმა ქართველობამ, უფრო სწორად მისმა ელიტამ (ზეპუ-რობამ), რომელმაც ხელში ჩემთვის ჩასაცემი საზურგე მახვილი მოიმარჯვა, შურისა და ანგარებისაგან ტვინგაბრუებულმა დამაბრკოლა არა მხოლოდ მე (ეს ჩემი თავ-

სატეხია), არამედ, მტრის მითითებათა შესაბამისად, პირველ რიგში „კოლხური კოშკისთვის“ დარაზმული ფეხაწყობა არივ-დარია.

როდესაც ვსაუბრობ „კოლხური კოშკის“ შინაარსზე, - უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი წამგაუცდენელი ძალისხმევა. ამ მხრივ მასში საგანგებოდაა დაზუსტებული ეპოქის შესაძლებლობებიდან გამომდინარე სტრატეგია და ტაქტიკა, რომლის ფუძემდებლურ განაწესს წარმოადგენს წმინდა ილია მართლის მოძღვრება ეროვნული თავისუფლების შესახებ, რაც დაშენებულია ქართველთა გიორგიანულ და ქრისტესმხედრულ შინაარსზე, შინერს (ღვთივნებადართულისა) და ვაშინერსის (ღვთივნებადაურთველის) წესრიგზე.

თუ კი ვისაუბრებთ ეროვნული მოძრაობის ქმედუნარიანობაზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), უფრო სწორი იქნება, ამ მცდელობას ვუწოდოთ ე. წ. სხვაგვარად მოაზროვნეთა სალონური დაჯგუფებები, რომლებიც ძირითადად თავს აფარებდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და ედპ-ს თვითმარქვიულ აბრებს.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ-ს) სააფხაზეთო ჯგუფს, აქ თავმოყრილი იყო ლოზუნგურად მოქოთქოთე ათიოდე კაცი, რომელთაც „სათავეში ედგა“ მწერალი ალექსანდრე ჯიქია, მეტად ოდიოზური კაცი. იგი განსაკუთრებულად გამოირჩეოდა შეშლილობამდე დასული ზვიადმოძულეობით. შემდგომში ამ თვითმარქვიული ჯგუფის ორივე „რაზმი“, რომელთაგან, როგორც იტყვიან, ერთიც და მეორეც კინაღამ **„პომიდორსაც არ ჭამდა სიწითლის გამო“**, ედუარდ შევარდნაძის მითითებების უსიტყვოდ შემსრულებელი გახდა და გამოირჩეოდა თავისი აგრესიითა თუ რეპრესიული განწყობით ეროვნული ხელისუფლების მომხრეებისადმი. სხვებთან ერთად ისინიც აღმოჩნდნენ აფხაზეთის საომარი ავანტიურის მაპროვოცირებელთა შორის. დიახ, ეს იყო ისეთთა ფეხაწყობა, რომელთაც ეროვნული ლოზუნგების გახმოვანების გასწვრივ საკუთარი თვითდამკვიდრება უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდათ, ვიდრე ეროვნულ-სახალხო მიზნების მარადიულყოფა (ნუგზარ მგალობლიშვილი, ალექსანდრე ჯიქია, ბორის კაკუბავა, მანანა ძოძუაშვილი, თემურ ლორთქიფანიძე, თემურ მჟავია და ა.შ.).

დრომ დაადასტურა მათი კოლობორაციული ხასიათი, მედროვის ჩასაფრება და ორპირული ბუნება. ამვე დროს, რა თქმა უნდა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) იყვნენ ადამიანები, ზოგიერთ შემთხვევაში ჯგუფებიც კი, რომლებიც თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად, სხვადასხვა საიმწუთო ხერხებითა და ეროვნულ-სახალხო დარაზმულობით ერის განაწესს უწყობდნენ ნაბიჯებს, მაგრამ ეს ყველაფერი იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ ატარებდა პოლიტიკური სტაციონარის ხასიათს.

ეს საკითხი ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მიმოხილული მაქვს 2011 წელს გამოცემულ წიგნში **„დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი - ტალღა ცხუმ აფხა-**

ზეთში (1972-92 წლები)“, ამიტომ მასზე არ შევჩერდები, მაგრამ ზოგიერთი სიცხადისათვის გაკვრით შევეხები იმ წინააღმდეგობრივ სიმრავლეს (არ ვამბობ საზოგადოებას), რომელიც 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების შემდეგ დახვდა აფხაზეთის ასსრ-ის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად პოლკოვნიკ გივი ლომინაძის დანიშვნას.

1988 წლისათვის სოხუმში გარკვეულმა ჯგუფმა (ბორის კაკუბავამ, სოსო ადამიამ, ვოვა ვეკუამ, დიმა ჯაიანმა, ნუგზარ მგალობლიშვილმა და ა. შ.) თავი გამოაცხადა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებად.

როგორც ცნობილია, სწორედ ბორის კაკუბავასა და ნუგზარ მგალობლიშვილისეული დასმენისა თუ ცილისწამების საფუძველზე შედგა 1988 წლის შემოდგომის მიწურულს ე. წ. ღირსების სასამართლო ქ. თბილისში, კოკა გაწერილიას ბინაზე, სადაც მათ ზვიად გამსახურდია, პირზე წადგომის წესით „ამხილეს“ იმაში, თითქოს მან ზაქარია ლაშქარაშვილს სუკის აგენტი უწოდა.

ცნობილია ისიც, რომ ამ ე. წ. სამსჯავროზე ნუგზარმა „გასარტყმელად გაიწია“ ზვიადისაკენ, სხვა საკითხია რისი იმედით, მაგრამ ფაქტი ფაქტია, - ეს მოხდა.

გასაგებია, ამ „სხადნიაკზე“ ვერც ბორისმა და ვერც ნუგზარმა ვერაფერი დაამტკიცეს, მაგრამ ეს შემთხვევა, რომელიც რატომღაც ფირზე იქნა გადაღებული, საბჭოთა უშიშროებამ ეროვნულ მოძრაობაში შიდა დაპირისპირების დასაქსელად და მის სახელგასატეხად გაასაჯარისა (ამ ე. წ. ღირსების სასამართლოს ერთი ვარიანტი ზურაბ ჭავჭავაძისა და თამრიკო ჩხეიძის ძალისხმევით ფირზე გადაიღო გიორგი ხაინდრავამ, ხოლო მეორე ვარიანტის ავტორი პირადად ჩემთვის უცნობია. ვეჭვობ, რომ ამ ვარიანტის არსებობას მომავალმა წითელმა გენერალმა გივი ლომინაძემაც წააშველა ხელი).

ამის შემდეგ ბორის კაკუბავა სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ზვიად გამსახურდიას და, ნებით თუ უნებლიედ (უფრო ნებით), აკეთა სუკ-ის საქმეები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საომარი ავანტიურის კერათა მოსათადარიგებლად და საპროვოკაციოდ.

თავის მხრივ ნუგზარ მგალობლიშვილიც ერთხანს კი იყო ზვიად გამსახურდიასთან უბრად, მაგრამ შემდგომ „კოლხურ კოშკში“ მისი აღზევება გივი ლომინაძეს უკავშირდება.

<u>ასე თუ ისე, ზემოთდამოწმებული ბეზღობა, გნებავთ ცილისწამება უკვე ნიშნავდა მის უკან მდგართა არაკეთილსაიმედოობას: შე კაცო, არ იყო ასე, მაგრამ დავუშვათ, კაცს რაღაც წამოსცდა, რას მოსდე ეს ქვეყანას, თუ ვაჟკაცი ხარ, ჩუმად გაარკვიე ან უთხარი, - ბატონო ზვიად, მე ასეთი საუბრის უფლებას ჩემთან არ მოგცემ თქვა.</u>

* * *

წუთშესვენება: მკითხველს უნდა შევახსენო, რომ იმ დროს, როდესაც ნუგზარ მგალობლიშვილი, ბორის კაკუბავასთან ერთად, ბატონ ზვიად გამსახურდიაზე ჩასაფრებებითა და ცილისწამებების გავრცელებით იყო თვითდასაქმებული, ქვეყნის, ამდენად ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

ასე მაგალითად: ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) აგრესორ-სეპარატისტთა (შეიძლება, კოლაბორაციონისტები ვთქვათ) სახელით ვლადისლავ არძინბამ საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო ორგანიზაციის 32-ე კონფერენციაზე (1988 წ. 26 ნოემბერი) ფაქტობრივად ჩამოაყალიბა ქართველთა ეთნიკური წმენდის პროგრამა, რომელიც სამიოდ კვირაში (16 დეკემბერს) საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის 38-ე კონფერენციაზე „абхазец“-ური ეთნოკრატიის მხარდაჭერით კიდევ უფრო რიხიანად გაიმეორა.

იმავდროულად მოსაგერიებელი იყო კრემლის მორიგი დივერსია, როცა ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის შეზღუდვა სცადა მან ძირითად კანონში (კონსტიტუციაში). ამ მიზნით ქ. თბილისში, მთავრობის სახლის წინ, ღია ცის ქვეშ, 21 ნოემბერს დაიწყო და 29 ნოემბრამდე გაგრძელდა ეროვნული ძალების შიმშილობა პროტესტის ნიშნად.

ამის გასწვრივ ქ. თბილისში, ქუთაისსა და აჭარაში მოხდა ეროვნული მოძრაობის ღონისძიებათა დარბევა. რაც ყველაზე ამაზრზენია, ნუგზარ მგალობლიშვილის ბეზღობა დაემთხვა გაზეთ „კომუნისტში“ (1988 წლის 28 ნოემბერს) გამოქვეყნებულ თავდასხმას და ანგარიშსწორებას ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

ეს იყო უთანასწორო ბრძოლაში მტრის სასარგებლოდ მომარჯვებული და საალყო მდგომარეობაში მყოფი ზვიადის წინააღმდეგ მოქნეული ლახვარი „პეტოვიჩის“ მიერ.

იმის ნაცვლად, რათა ეროვნული ძალების გაერთმუშტებისათვის ეღვაწა, მან პირიქით, შუღლი და უნდობლობა დაქსელა მათ შორის.

* * *

იმის გასათვალსაჩინოებლად თუ რა საქმეებით იყო დაკავებული ამ დროს ნუგზარ მგალობლიშვილი, ორიოდე მაგალითიდანაც შეგიძლიათ, დაასკვნათ: სახალხო დეპუტატთა ქ. სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილებაში 20-ე საუკუნის 60-იანი წლებიდან მუშაობდა რუსი ებრაელი მაია გურევიჩი, რომელმაც იმისათვის, რათა დაწინაურებულიყო, თავი ჩაიწერა „абхазка“-დ. იგი განათლების განყოფილების გამგის მოადგილე გახდა. სხვათაშორის გამგე იყო მამანტი მალიშავა - ქართველად ჩაწერილი, მაგრამ „абхазец“-ური ორიენტაციის რუსულენოვანი კაცი (ცნობისთვის: ე. წ. საბჭოთა აფხაზეთში ეს თანამდებობა ქართველს ეკუთვნოდა).

ქალბატონი მაია იმ დაწესებულებაში, რომლის ხელმძღვანელად საქმიანობდა ქართველობას ამოფარებული სეპარატისტი, მეტნაკლებად არბილებდა ანტიქართულ გამოხდომებს იმ მიზეზით, რომ იგი ქ. სოხუმში ერთ-ერთი ცნობილი ქართული საშუალო სკოლის დირექტორის საყვარელი გახლდათ, ხოლო მისი დისშვილი, ასევე ქ. სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის ქართული დრამატული სახელმწიფო თეატრის მსახიობის ცოლი თუ ცოლისმაგვარი იყო.

ამდენად, მართალია, ქალბატონ მაიას იმდენი ჭკუა ჰქონდა, ქართულ საქმეს ვაკეთებო, არ გაჰყვიროდა, თანაც სულაც არ ანაღვლებდა საქართველოს ეროვნული მოძრაობა, მაგრამ ყოფნა-არყოფნის შემოფეთებისას მისი ქართველთა, ანუ სისწორის მხარეზე გადმოსაზნექი ბერკეტები არსებობდა. ამის გამო, ბუნებრივია, მას საჭირო დროს, ქართული საზოგადოების წაშველება სჭირდებოდა.

ჰოდა, ნუგზარ მგალობლიშვილმა ამის ნაცვლად მიზნობრივი ცილისწამებით დაიწყო ქართველთა ამხედრება მის წინააღმდეგ. სხვათაშორის წერილიც გამოაქვეყნა ხელნაწერ ჟურნალ „ოქროს საწმისში“, აქაოდა ებრაელი „აფხაზად“ ჩაეწერაო. „абхазец”-ად მაია გურევიჩი კი არა, თვით ნუგზარის მოგვარე ასობით მგალობლიშვილი ეწერებოდა.

ამრიგად, „დისიდენტ“ ნუგზარ მგალობლიშვილის „დიდი პოლიტიკა“ ორღობული ურთიერთობის რკვევამდე დავიდა: სოხუმის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავჯდომარედ მუშაობდა ბერძენი საქმოსანი ევსტაფი ანასტასიადი. ბუნებრივია, იგი საბჭოთა მუშაკი და იმ დროის სტანდარტით საქმოსანი (მაფიოზი), შორს იდგა ქართველთა ეროვნული მოძრაობის სულისკვეთებისაგან.

ნუგზარ მგალობლიშვილის „მხილება“ ამ კაცსაც გადაწვდა, იგი იმავე ხელნაწერ ჟურნალში მოხვდა. „პეტოვიჩი“ ევსტაფი ანასტასიადს ქართველთა მოღალატეობაში სდებდა ბრალს (კი ბატონო ემხილებინა, მაგრამ ასეთ გარჯაზე ამბობენ, - „წყალს ნაყავსო“ ანუ „სუხარი სუშიტ“-ო). ბატონ ევსტაფიზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ.

ნუგზარ მგალობლიშვილი და მისი ხროვა მეც არაკეთილსაიმედოობას მაბრალებდა იმიტომ, რომ დედა ბერძენი მყავდა. დღე ერთი იყო და ათობით მისი ხვანჯის გაუვნებელყოფა მიხდებოდა ამ მხრივ.

* * *

წუთშესვენება საჭირო ცნობის გასახმოვანებლად: 2017 წლის 28 თებერვალს, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში, გამომცემლობა „ზენაარის“ ბინაზე (ოფისში), მწერალ ზურაბ ქობალიას თანდასწრებით, წინამდებარე წიგნში შეტანილი ზოგიერთი ცნობა დავაზუსტე საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანთან - ვასილ კადენეცთან.

სხვა საკითხებთან ერთად, რომლებზეც მის აზრს საჭირო ადგილზე მოგახსენებთ, ბატონმა ვასილმა განაცხადა, რომ გივი ლომინაძის ირიბი თანხმობით ქ.

სოხუმში „წესრიგის დასამყარებლად“ შემოშლიგინებული ხუნტისეული თოფოს-ნები იმ დღეებში გასაძარცვად მიადგნენ ევსტაფი ანასტასიადის სახლს. შემდეგ დანარჩენ ბერძნებსაც შეესივნენ (ეს იყო ვერაგულად გამოხატული უჭკუობაც და უმადურებაც), რასაც მოჰყვა მათ მიერვე ზვიად გამსახურდიას მომხრე ქართველების „კუდის რიკამდე გატყავება“.

ამის შემდეგ ხუნტისა და წითელი გენერლის გივი ლომინაძის მიერ მხარდაჭერილმა აშკარა მძარცველებმა, რომლებიც ყოვლად უსაფუძვლოდ იბრალებდნენ ჯარისკაცობას, არმენთა თემები დააყაჩაღეს, როდესაც ამას მორჩნენ, გივი ლომინაძის მითითებით, კვლავ განაახლეს ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა (ძირითადად მეგრელების) დარბევები (სხვათაშორის ამ მიზეზითა და გივი ნიკოლაევიჩის დავალებით პირადად ჩემი სახლიც გაძარცვეს 1993 წლის 23 სექტემბერს, როდესაც მე ქ. ზუგდიდში ე.პ. მოძრაობა „ჭყონდიდელის“ | ყრილობაზე ვიმყოფებოდი).

რა თქმა უნდა, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) მიზნობრივად ჩასახლებული არმენები რუსიზმის პოლიტიკის საიმედო გამტარებლები იყვნენ, აქედან გამომდინარე, ქართველებთან არაერთგზის გამოუჩენიათ მათ პირუმტკიცობა, ღალატი და უპატიებელი ვერაგობა. იმჟამადაც აშკარად ქართველთა წინააღმდეგ ირაზმებოდნენ, თავს ესხმოდნენ დაუცველ ქართულ სოფლებს, მაგრამ ერთია სამამულო ომის სასანგრო წესი და სულ სხვაა, ზნეობასთან არ სახლიკაცობს და საერთოდ, ქართულ ხასიათთან შეუთავსებელია ძარცვა.

დიახ, ყოველივე ამის გასწვრივ ამ გამოჭენებულმა ყაჩაღებმა დაარბიეს იმ აფსუათა ოჯახებიც, რომელთაც ვლადისლავ არძინბასთან გუდაუთაში თავშეფარებას ქართველებთან სახლიკაცური დარჩენა არჩიეს (ის, რომ ყაჩაღებს მფარველობდა გივი ლომინაძე და ხუნტა ქ. სოხუმის კომენდანტის გია გულუას მეშვეობით, ამაზე მოგვითხრობს ნაპო მესხიაც თავის წიგნში **„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“,** თბილისი, 2009 წ., გვ. 266).

ბატონმა ვასილ კადენეცმა, როგორც მოვლენებში საფუძვლიანად ჩახედულმა კაცმა, აღნიშნა, რომ არმენთა ე.წ. ბაგრამიანის ბატალიონი, რომელიც ქართველების წინააღმდეგ იბრძოდა და მიწაზე ვერ დატეული სისასტიკით გამოირჩეოდა, კრემლიდანური მითითებით კი შეიქმნა, მაგრამ ამის „გასამართლებელ“ საბაბად ანტიქართულმა პროპაგანდამ სწორედ ამ უვინაო „ქართველ“ თოფოსანთა თარეში გამოიყენა.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ გივი ლომინაძის ცენზურაგამოვლილი აფხაზეთის საინფორმაციო სამსახურები ვერაგული გულმოდგინებით ამკვიდრებდნენ აზრს „მეგრელთა პირუმტკიცობის“ შესახებ და სვანებს (ასევე იმერლებს, რაჭველებს და ა. შ.) აქეზებდნენ **„მოღალატე მეგრელების დასასჯელად“. ასევე მიზნობრივად მიეწერებოდა ჩრდილო კავკასიიდან კოლაბორაციონისტების მუხანათობა მომმე**

ჩეჩნების სახალხო ნებას (ჩვენს წინააღმდეგ მოთარეშე ნაძირლების მსგავს სულგაყიდულებს აქ, თბილისშიც შეხვდებით).

ეს ხმაბოდვა არამხოლოდ ზეპირსიტყვიერად ვრცელდებოდა, იგი ძირითად აზრად გასდევდა იმ დროს გამოცემულ არაერთ წიგნს, საგაზეთო პუბლიკაციასა თუ ტელე-რადიო გადაცემას.

* * *

გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და, როგორც იტყვიან „კომპანიის“ საკითხს ისევ მივუბრუნდებით, თანაც არაერთხელ, მანამდე საქმე წინ წავიგდოთ და ზოგ რამეში სიცხადე შევიტანოთ.

1990 წლის იანვარის პირველი დღეების ერთერთ საღამოს 6 საათზე, ქ. თბილისის მეტალურგიის ინსტიტუტში (პროფესორ თენგიზ სიგუას კაბინეტში) ზვიად გამსახურდიას, ვაჟა ადამიას, ირაკლი წერეთლის, გურამ გოგბაიძის, თემურ სუმბათაშვილის, ვაჟა შარვაშიძის, შალვა წიკლაურის, თვითონ თენგიზ სიგუას, მაია თომაძის, ზურაბ ქუთელიას (ყველას ვერ ვიხსენებ) მონაწილეობით საგანგებო სხდომაზე, მას შემდეგ, რაც ჩამოვაყალიბე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის (შემდგომში „მერაბ კოსტავას ფონდის“) საფხაზეთო საქმიანობის შინაარსი, ამის შესაბამისი გეგმა, ასევე დავაზუსტე ამ მხრივ სამოქმედო სტრატეგია, ტაქტიკა და დიპლომატიური სვლები, მერაბ კოსტავას ფონდის სათათბიროსგან მოთხოვნის (და არა თხოვნის) წესით გადმომეცა რწმუნება, ყოველივე ამისთვის პირადად მე მეხელმძღვანელა იმ მიზანშეწონილობით, რაც დასაბუთებული იყო ჩემს მოხსენებაში.

სხვათაშორის, ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ იანვრის ბოლოსკენ იმავე ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში ზემოთხსენებულ სათათბიროს მოვახსენე ამ მხრივ გაწეული საქმიანობის პირველი ნაბიჯების ანგარიში (დაბრკოლებათა დაძლევის ზნეობით დაშვებული ხერხები, მიღწეული შედეგები, აფსუა მოსახლეობის მხრიდან მომართვიანობის შემთხვევები, მათი ნდობის მოკრძალებული, მაგრამ აღმავალი ხასიათი და ა. შ.).

აქვე ამ ანგარიშსა და ხედვას მაღალი შეფასება მისცეს ზვიად გამსახურდიამ, თვითონ ვაჟა ადამიამ (რომელიც სულ მალე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დამიპირისპირდა და ქვემოთ გეტყვით რატომაც), ჯემალ გოლეთიანმა, მაია თომაძემ, ნუგზარ მოლოდინაშვილმა, თენგიზ სიგუამ, შალვა წიკლაურმა, ირაკლი წერეთელმა, რუსლან მიქაბერიძემ, თემურ სუმბათაშვილმა და ა. შ.

გადაწყდა, რომ მე, როგორც ამ ფონდის რწმუნებულს აფხაზეთში, უნდა დამნიშვნოდა ხელფასი 1000 (ათასი) მანეთის ოდენობით (სკოლის დირექტორის, ე.ი. ჩემი თანამდებობრივი ხელფასი გახლდათ 300 მანეთზე ცოტა მეტი). ამასთან დაკავში-

რებით ახლავე განვმარტავ, რომ სათათბიროს მაშინვე ვთხოვე, ეს ფული ყოველ-თვიურად ჩაერიცხა მერაბ კოსტავას ფონდის ანგარიშზე და საჭირო თანხის თავმო-ყრისას, მიზნობრივად გამოგვეყენებინა (გვეყიდა საკარ-მიდამო აფსუა სახლიკაცი-სათვის).

ჩემთან დაკავშირებით ამავე სხდომაზე განხილული იქნა მეორე საკითხიც: ვინაიდან, გაპიროვნებული საქმიანობის გამო იმხანად იყო ჩემი დარბევის, ჩემზე თავდასხმის, განადგურების, ჩემთან ანგარიშსწორებისა და ამისთანა ჩასაფრებების არაერთი მცდელობა, ამავე დროს მებარა საკმაო რაოდენობის სახალხო თანხა, დადგინდა, რომ გამოყოფილიყო სათანადო დაცვა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო როგორც პირადი, ასევე გაპიროვნებულ დავალებათა უსაფრთხოება.

ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება მქონდა: ის ახალგაზრდობა ბესლეთის, გუმისთისა და კელასურის ხეობებიდან, რომელიც 1989 წლის 15-16 ივლისსა და მომდევნო ტრაგიკულ დღეებში მომენდო, რომელთაგან მრავალმა შემდგომ 1992-93 წლის სამამულო ომში სამშობლოსათვის თავი გაწირა, სავსებით საკმარისი, სათანადოდ მომზადებული და შესაფერისი იყო ასეთი მოვალეობის შესასრულებ-ლად. დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ყოველგვარი პომპეზურობის, ჟღარუნის, ხმაურისა და ანგარების გარეშე შეძლებდნენ ამას.

სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და აი, რატომ, მაგრამ მანამდე ამის კიდევ ერთ წინმსწრებ მოვლენაზე მომიწევს საუბარი.

* * *

<u>იმავე დღეებში ზვიად გამსახურდიამ ჩემდა მოულოდნელად დამავალა, მის-თვის ჩემი მოსაზრებები მომეხსენებინა 1990 წლის 20 მარტს დანიშნული საქართ-ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით.</u>

როგორც ცნობილია, ის არჩევნები მაშინ საქართველოს ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით ჩაიშალა, მაგრამ იმ შემთხვევისთვის თუ ვერ მოხერხდებოდა მისი ლაგამამოდება, მზად უნდა ვყოფილიყავით საქართვე-ლოს სსრ უმაღლეს საბჭოში საიმედო და ზნეობრივად მდგრადი ადამიანების შესაგზავნად, რათა შიგნიდან გვეცადა „ციხის გატეხვა“. აქედან გამომდინარე, და-მევალა, დამეზუსტებინა და ჩემი აზრი გამომეთქვა აფხაზეთის (ჩრდილო-დასავ-ლეთ საქართველოს) პირობებში თუ ვისზე შეიძლებოდა, შეგვეჩერებინა არჩევანი.

სხვათაშორის, მე ეს დავალება ნაწილობრივ შევასრულე და ბატონ ზვიადს წარვუდგინე სათანადოდ დასაბუთებული აზრი იმაზე, რომ ცნობილ პედაგოგს, - ქალბატონ თამარ ოდიშარიას, პროფესორ გივი კილასონიას, მაშინ ახალგაზრდა ჯე-მალ შერვაშიძეს (ქართველები); იური ანუას, ლორიკ მარშანიას, ბორის ადლეიბას (იგი ქართველებისკენ ეძებდა გზას), ვალერიან კობახიას, რაულ ეშბას, ვალერი და არკადი ხაშბების, ბესარიონ წვიჟბას, ლიოვა ოტირბას, კონსტანტინე ოზგანის (აფ-სუები); სუმბატ სააკიანის (არმენი); კოკა კონსტანტინიდის, გული ანასტასიადის

(ბერძნები); ალექსანდრე მოსკალენკოს, ვასილ კადენეცისა (რუსების) და ა.შ. კანდიდატურათა განხილვა ამ მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა. მართალია, ამათგან ზოგიერთი არაქართველი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყევარ ხარებად არ იდგენდნენ თავს, მაგრამ მთავარში შეიძლებოდა მათი ნდობა (და დრომაც დაამტკიცა ეს), - ისინი ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) საქართველოსგან სამკვდრო-სასიცოცხლოდ მოწყვეტას, საქმის სისხლისღვრამდე მიყვანას და ეს სულაც არ იყო ძალიან ცოტა მაშინ.

რაც შეეხებათ კონსტანტინე ოზგანსა და ლიოვა ოტირბას, მათი დახასიათება იმ დროის ვითარებისა და ქვედადინებური გარემოებების გაუთვალისწინებლად მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

ლიოვა ოტირბა, რომელიც იმხანად სოხუმის რაიონის გუმისთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ გადმოიყვანეს, მანამდე მუშაობდა შს სოხუმის რაიონული განყოფილების საპასპორტო მაგიდის უფროსად და აი, აქ ასრულებდა აგრესორ-სეპარატისტთა დაკვეთებს, а- абхазец - ებდა შესაბამის ეთნონედლეულს.

ამავე დროს, ის ჭკვიანი კაცი გახლდათ და მასთან რაგადი სათანადო არგუმენტებით შეიძლებოდა. ჩვენ (იური ანუამ, გივი კილასონიამ, არკადი მარკოზიამ და თქვენმა მონა-მორჩილმა) ეს მოვახერხეთ, როცა 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების შემდეგ ღია ტექსტით ვესაუბრეთ ამ კაცს.

ქვემოთ მექნება ამაზე საუბარი, მაგრამ წინდაწინ გეტყვით, მას მოეწონა სოხუმის ქართული საზოგადოებრიობის დებულება - **„ჩვენ, ქართველებიც და აფსუებიც დღეს ამ მიწის შვილები ვართ, დედის ძუძუ კი შვილებს გვეკუთვნის“.**

1989 წლის 15 ივლისის ღამეს იგი მე პირადად გადავარჩინე ქ. სოხუმში, კინოთეატრ „აფსნისთან“, როდესაც მას შუაღამით საკუთარი მანქანით თავისი ქართველი (მეგრელი) მეუღლე და შვილები ცოლოურიდან შინ მიჰყავდა და სეპარატისტების მიერ დარბეულ ქართველთა ერთ-ერთი ჯგუფის პიკეტს გადაეყარა.

ამის შემდეგ ჩვენს შორის ურთიერთობა ყურისგდების წესის მიხედვით წარიმართა. ვიმეორებ, ის, როგორც ჭკვიანი კაცი, შს ორგანოს ყოფილი მუშაკი, მტკიცებულებებს ანგარიშს უწევდა. მისი ნაადრევი სიკვდილი, რომელიც აგრესორ-სეპარატისტთა საეჭვო ძალისხმევამაც დააჩქარა, მომავალში დაეტყო კიდეც სოხუმის რაიონში ქართველ (აფხაზ) - აფსუათა სახლიკაცური ურთიერთობების მოწესრიგებას.

ეს, რაც ლიოვა ოტირბაზე მინდოდა მეთქვა წინასწარ, რომელზედაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

ქართულ საზოგადოებაში კონსტანტინე ოზგანზე - საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანზე 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების წინ (ასევე შემდგომში აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატზე), უნდა მოგახსენოთ, რომ შეიქმნა უკიდურესად სტერეოტიპული წარმოდ-

გენა და წინმსწრებმტკიცებით (აპრიორში) გასაგნებული აზრი მის „კაცთმჭამებლობაზე“. <u>რა თქმა უნდა, იგი გახლდათ სეპარატისტული ეთნოკრატიის გავლენიანი სახეზოგადობა. მოდით აქედან დავიწყოთ.</u>

ბუნებრივია, ამის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს) იგი განიხილავდა იმ სიცხადის მიხედვით, რომელიც თავს მოგვახვია საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ.

კი ბატონო, 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენებში მას თავისი წილი ცოდვა გაუპიროვნდა, მაგრამ, როგორც წინგახედულობისაკენ მიდრეკილი კაცი, ისეთ სისულელეს არ ჩაიდენდა, რანაირადაც გაისარჯა 1989 წლის ივნისის ბოლოს საჯაროდ გამოსვლისას საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მესამე მდივანი საიდ თარკილი, როცა აქაურ ქართველებს „ფერგანის მოწყობით“ დაემუქრა (რაც 1993 წელს აგრესორ-სეპარატისტებმა აღასრულეს კიდეც კრემლის დახმარებით).

* * *

ცნობისთვის: რაც შეეხება ფერგანას, როგორც მოგეხსენებათ, უზბეკეთის სსრ-ის ფერგანის ოლქში კომპაქტურად ცხოვრობდნენ დივერსიული მიზნით „თურქ მესხებად“ წოდებული საქართველოდან და არმენეთიდან 1944 წელს გასახლებული თურქული ტომები (მათ შორის ძალით გამაჰმადიანებული ქართველები).

1989 წლის ზაფხულში ისინი ეთნოდივერსიული პროვოკაციის საფუძველზე მომხდარი ეთნიკური წმენდის შედეგად გამოაძევეს უზბეკეთიდან.

საბჭოთა ხელისუფლებას ამ არაადამიანური ხერხით სურდა, დასმულიყო საკითხი უბედურებაში ჩავარდნილი ხალხის, ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანის (მათ შორის არმენეთიდან გასახლებული თურქული ტომების) საქართველოში ჩამოსახლებაზე, რაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მიმიზნებულ საპირწონედ უნდა გადაქცეულიყო.

ამ ვითარებაში, როდესაც ეს ხალხი თავისი მსოფლმხედველობით ოსმალური იმპერიის აღორძინებაზე ოცნებობდა (და ოცნებობს), ბუნებრივია, ისედაც უცხო, ძირითადად არაკეთილმოსურნე ხალხებით გადატენილი საქართველო მათ ვერ მიიღებდა.

<u>ცალკე უნდა განვიხილოთ ძალით გამაჰმადიანებული ქართველების საკითხი. იმათგან ისინი, რომლებიც საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევდნენ, ქართველი ერი ვერა ჰკრავს ხელს.</u>

* * *

დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს: კონსტანტინე ოზგანთან, მისი წინააღმდეგობრივი ხასიათის მიუხედავად, შეიძლებოდა ღირებულებებზე საუბარი, მაგალითად დაგვესვა კითხვა, - <u>ბატონო კონსტანტინე, ის ტაძარი, რომელთანაც</u>

<u>სოფელ ლიხნში თქვენ თავყრილობებს მართავთ და საქართველოსაგან გამოყოფას ითხოვთ, რომელი ხალხის ვინაობას აშინაარსებს და რატომ ღაღადებს მასზე ქართული ასომთავრული?!..</u>

კონსტანტინე ოზგანს, რა თქმა უნდა, უყვარდა ის ხალხი, რომლის შვილადაც ის თავს მოიაზრებდა, მიუხედავად იმისა, საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული დივერსიების შედეგად გამოინკუბატორდა თუ არა ეს ე. წ. რესპუბლიკის სახელის მატარებელი ეთნოფაქტი.

ამავე დროს, ხმამაღლა ვამბობ: დიახ, არავითარ შემთხვევაში არ იყო იგი სახალხო სიწმინდეებში ჩამრწყევი კაცი. თუ დააჯერებდი, შეუთანმხდებოდი და ხელს ჩამოგართმევდა, სიტყვას არ გატეხდა.

ათასჯერ გავიმეორებ, დიახ, იგი გახლდათ აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიის ერთ-ერთი თავკაცი, მაგრამ ვლადისლავ არძინბას სჯობდა იმით, რომ იცოდა მთავარი, რუსიზმი „абхазец“-თა სეპარატიზმის ამოფარებით დაიპყრობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთს), ამის შემდეგ თვით წინამდებარე მიზნობრივ ეთნოინკუბაციას - „абхазец“-ობას ჩაყლაპავდა. <u>აი, ამის ცოდნა ქართველებისკენ მისი გადმოზნექის მოტივაცია ნამდვილად იყო.</u>

ამ მხრივ ჩემს მოსაზრებას ადასტურებს ამჟამად (დევნილობაში) აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე (ახლა უკვე მინისტრი) ბატონი როლანდ ნიჟარაძე თავის წერილში (ჟურნალი „რიწა“, 2016 წ. # 3). ავტორი იხსენებს გრიშა აიბას (აგრესორ-სეპარატისტთა იატაკქვეშა ბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიერ კონსტანტინე ოზგანის დახასიათებას: „კონსტანტინე ოზგანი ტრადიციების კაცია, - უბრალო და შინაური. უყვარს საკუთარი ერი და ქართველები. ის ჩემს ხელში გაიზარდა, იცის, რომ აფხაზებს ერთადერთი ერი (ქართველებს გულისხმობდა) მფარველობდა...“ (გვ. 20).

უხუცესი გრიშა აიბას სწუხდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მხარი ვლადისლავ არძინბას დაუჭირა, რომელიც საქმეს აუცილებლად სისხლისღვრამდე მიიყვანდა.

მოხდა ისე, რომ 1989 წლის სექტემბერში, იცოდა რა ჩვენი დამოკიდებულება ვასილ კადენეცთან - საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველ მდივანთან (დედით ქართველთან (მეგრელთან), მან მოინდომა ჩვენს რაიონში სტუმრობა და შეხვედრა იმ ადამიანებთან, რომელთაც 1989 წლის 15-16 ივლისს უფრო უარესი არ დაუშვეს სოხუმის რაიონში.

ასეთი შეხვედრა შედგა 1989 წლის სექტემბერს (იქნებ ოქტომბერში, კარგად ვერ ვიხსენებ) სოხუმის რ-ნის სოფელ ბირცხაში - დავით ხარაიშვილის სახლში.

ჩვენ (ალიოშა ესებუა, არკადი მარკოზია, ფელიქს ტყებუჩავა, შამილ ცხვედიანი, ბორის კაკაჩია, ვახტანგ და ვალერი ქობალიები, თამაზ შამფრიანი, და ა. შ.) ამ შეხვედრას, მიუხედავად კონსტანტინე ოზგანის სურვილისა, გავერიდეთ, მაგრამ ვასილ კადენეცი აღვჭურვეთ ქართველთა იმ წარმომადგენლობის რწმუნებით,

რომელთაც 15-16 ივლისის ღამეს არა მხოლოდ ქართველი ადამიანების, არამედ აფსუა სახლიკაცების უსაფრთხოებაც დაიცვეს, აი, მათი აზრი გადაეცა მისთვის.

ეს აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ - 1. ჩვენ აფხაზეთს, მიკიბულ-მოკიბულის გარეშე, მოვიაზრებდით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდ; 2. მიუხედავად ამ მხარეში წარმოებული საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების, მიზნობრივად გაყალბებული ისტორიისა და ამ ნიადაგზე კულტივირებული აგრესორ-სეპარატისტთა (კოლაბორაციონისტთა) დიდმპყრობლობისა, აფსუა ხალხს მაინც მივიჩნევდით ჩვენს ძუძუ-მტეებად და სახლიკაცებად, ანუ ეს მიწა გახლდათ ქართველთა მამულიცა და შურობუმუც, ასევე აფსუათა ოდაბადე, სამკვიდრო; 3. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სახლიკაცი აფსუების სახით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლს ვერ უნდა მოეთადარიგებინა მეგზური, დასაყრდენი და ა. შ.

სხვათაშორის, საგულისხმოა, რომ იმხანად კონსტანტინე ოზგანი ეცადა ქართველ ახალგაზრდობას შეხვედროდა საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (იგი ქართულ ცენტრად მოიაზრებოდა).

ეს იყო მცდელობა, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ურთიერთგაუგებრობების აღმოფხვრა მოსახლეობაში.

თუ როგორ განვითარდა ამასთან დაკავშირებით მოვლენები, საზოგადოებისათვის ისაა ცნობილი, რომ ამ შეხვედრის მასპინძელი დავით ხარაიშვილი და ვასილ კადენეცი სოფელ ბირცხის „სახალხო ფრონტმა“ (ლევან ორმოცაძე) მოღალატეებად გამოაცხადა. დავით ხარაიშვილს სოფლიდან გადასახლება, ხოლო სოხუმის რაიკომს კარების აჭედვა მოუნდომეს.

ჩვენ ყოველივე ამას ზნეობის შესაბამისად მივხედეთ და საქმიანი ურთიერთობა განვაგრძეთ ქვეყნის ჭირისუფალ ძალებთან, რაზედაც ქვემოთ მექნება საუბარი.

ის, რომ კონსტანტინე ოზგანი გარკვეული დროიდან სასხვათაშორისოდ არ ცდილობდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობასთან დაელაპარაკა, ამასთან დაკავშირებით უნდა განვაცხადო ის, რაც, სხვადასხვა, წესით გასაგები მიზეზის გამო, აქამდე არ მითქვამს.

1990 წლის იანვრის ბოლოს (იქნებ თებერვლის დასაწყისში) საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის მეორე მდივნის დინა რეკვავას მეშვეობით კონსტანტინე ოზგანმა შემომითვალა, რომ მას სურდა, გამსაუბრებოდა მერაბ კოსტავას ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, ჩემი შეხედულებები აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) დემოგრაფიულ პოლიტიკასთან დაკავშირებით ვერ დაიმალებოდა და ამის შესახებ სეპარატისტული ეთნოკრატია საკმაოდ იქნებოდა გარკვეული. სადღაც აღნიშნულიც მაქვს, რომ იმხანად იმავე დინა რეკვავას მეშვეობით ნელი თარბამ მომმართა ერთი აფსუა ქალბატონისათვის დახმარების გასაწევად.

აფხაზთა (ქართველთა) და აფსუათა შორის დებულება **„ეს მიწა ჩვენი დედაა და დედის ძუძუ შვილებს გვეკუთვნის“**, ნელა, მაგრამ მაინც პოულობდა თავის სანთელ-საკმეველს.

ჩანდა, კონსტანტინე ოზგანი ასეთ შეხედულებას, რაღაც სამოგებოს მოლოდინში, ხიშტით არ ხვდებოდა.

ამრიგად, 1990 წლის იანვრის ბოლოს (თუ თებერვლის დასაწყისში) ეს შეხვედრა შედგა სოხუმის რაიონის სოფელ ზემო ეშერაში, სადაც სოხუმელ მშრომელებს სააგარაკო ნაკვეთები გამოუყო მთავრობამ.

პოლკოვნიკ ჰენრი ლოლუას, რომელსაც ყველაფერში ვენდობოდი, ვთხოვე, ბინის საკითხი მოგვარებინა. მან თავის ბიძას, გვარად პაპასკირს (სახელი არ მახსოვს) გამოართვა აგარაკის გასაღები და იქ ამიყვანა.

შუა ღამით კონსტანტინე ოზგანი, დინა რეკვავა, გრიშა აიბა და კიდევ ერთი გუდაუთელი, რომლის სახელსა და გვარს ვერ ვიხსენებ, გვეწვივნენ.

საუბარი დაიწყო უხუცესმა გრიშა აიბამ. მან სცადა დაესაბუთებინა კონსტანტინე ოზგანისთვის აფხაზეთის ხელისუფლებაში პირველკაცობის მიზანშეწონილობა. მთხოვა, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან მათი (გ. აიბას, კ. ოზგანისა და ა. შ.) შეხვედრა მომეხერხებინა.

ეს ყველაფერი მე მოვახსენე ბატონ ზვიადს, ჩემის მხრივ დავძინე, რომ ეს არ გახლდათ რიგითი მოვლენა, რადგანაც 1. სეპარატისტთა ბანაკი, კრემლის გვერდის ავლით, ცდილობდა პირდაპირ ეურთიერთა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან; 2. ყურადღება იყო იმისთვისაც მისაქცევი, რომ სეპარატისტების ეს ძალიან გავლენიანი ნაწილი ვლადისლავ არძინბაში არ ხედავდა აფხაზეთის მოსახლეობისათვის მშვიდობის მომტანი გზისკენ გამძღოლს და იგი სისხლისღვრას შეუწყობდა ხელს; 3. სეპარატისტთა ამ ჯგუფში ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან ურთიერთობა რიგ საკვანძო საკითხში გადაიზრდებოდა თანამშრომლობაში; 4. ეს შეხვედრა, ნებით თუ უნებლიედ, აფხაზეთის პრობლემათა გადაწყვეტისას ქუჩის ისტერიიდან თავისთავად გარდაიქმნებოდა ყურისგდების წესით სახლიკაცთა მოლაპარაკებად ერთჭერქვეშეთში.

ბატონმა ზვიადმა ყურადღებით მომისმინა და მთხოვა, ამ საკითხში საფუძვლიანად გავრკვეულიყავი.

ადრეც მაქვს ნათქვამი, აქვე გამიპიროვნდა ძალიან საპასუხისმგებლო საქმე: როგორც მოგეხსენებათ, 1990 წლის 20 მარტს დანიშნული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევ-ნები. იმ შემთხვევაში თუ კი ეროვნულ-გამათავისუფ-ლებელი მოძრაობა ვერ მოახე-რხებდა მის ბოიკოტირებას, სასურველი იქნებოდა, მიგვეღწია იქ სანდო ადამიანების დეპუტატის სტატუსში დელეგირებისათვის.

აფხაზეთიდან ამგვარ ადამიანთა ჩემეული ვარიანტის დაზუსტება ჩემდა მოულოდნელად ზვიად გამსახურდიამ მე დამავალა.

გამოვედი თუ არა „კოლხური კოშკიდან“, დაბარებულივით შემომეფეთნენ შოთა ჯღამაძე, ჯუმბერ ჯოჯუა და ალიოშა მიქაძე.

მათ ბატონ ზვიადისთვის უკითხავთ თუ როგორ მოქცეულიყვნენ, რადგან არჩევნებში მონაწილეობა სურდათ.

პასუხად ის მიიღეს, რომ ეს საქმე აფხაზეთში მე დამევალა და ჩემთან გაერკვიათ ვითარება. რა თქმა უნდა, ამ პასუხით არ აღფრთოვანებულან.

ბუნებრივია, ეს გაიგო გივი ლომინაძემ. რამდენიმე დღეში მერაბ დგებუაძისა და ვასილ დავითაიას მეშვეობით მან შეხვედრა მთხოვა. ჩვენ შევხვდით. მან მითხრა, რომ მისი პოზიციის გასაძლიერებლად მას სჭირდებოდა არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. ამ-დენად, ერთად შევადგინოთო ის სია, ზვიად გამსახურდიას რომ უნდა წარუდგინოო. მე ვუპასუხე, რომ მას ასე ახლოს არ ვიცნობდი, რათა თავდებად დავდგომოდი ბატონ ზვიადთან.

ამის შემდეგ გივი ლომინაძემ მთელი სისტემა აამუშავა ჩემი სახელის გასალანძღად. შეძლო ჩემი დამარცხება და აფხაზეთიდან (ჩრდილო დასავლეთ საქართველოდან) საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მისგან, ანუ აფხაზეთის „ქართული“ პარტოკრატიისგან ლაგამამოდებული ადამიანების დელეგირება. ეს მოხდა შემდგომ, უფრო გვიან, მაგრამ იმთავითვე, უახლოეს დღეებ-ში ვიგრძენი, რომ ჩემი ხელგამოღებები „კოლხური კოშკისკენ“ ჩემთვის უხილავ ხუნდებში ხვდებოდა. ცხადი გახდა, რომ ჩემი გარემოცვა ეროვნულმა მოძრაობამ კი არა, გივი ლომინაძემ თავისი „ნასეტკებით“ დააკომპლექტა.

ყოველივე ეს შემდგომში არა მარტო ჩემს, არამედ საქართველოს უბედურებად იქცა.

აქედან გამომდინარე, შემდგომ შეხვედრაზე გრიშა აიბასა და კონსტანტინე ოზგანს განვუმარტე, რომ გარკვეულმა ძალებმა გამიფუჭეს ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასთან, ამიტომ, მე არაფერს არ ვწყვიტავ მეთქი. მეტიც, ძალები, რომ-ლებიც გაიგებენ, ჩემთან ურთიერთობას რომ ეცადეთ, იცოდეთ, დაგიპირისპირ-დებიან და პროვოკატორადაც გამოგაცხადებენ მეთქი.

კონსტანტინე კონსტანტინოვიჩმა მკითხა, შენ როგორ ფიქრობ, რანაირად წარ-მოგიდგენია ჩვენი (ქართველებისა და აფსუეების) ურთიერთობაო.

მე ვუპასუხე, - აფხაზეთი არის ქართველთა (აფხაზთა) და აფსუათა სამშობლო, ამიტომ სახლიკაცობის წესრიგში ქართველებმა და აფსუებმა უნიტარული საქარ-თველოს სახელმწიფოში უნდა იცხოვრონ, ასევეა დასაზუსტებელი აფსუა ხალხის მარადიულყოფის სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა და გარანტიები.

მეორე კითხვაც ოზგანმა დამისვა, - შენი აზრით ვინ მოახერხაო ზვიადსა და შენს შორის ურთიერთობის გაფუჭება?!

არ დამიმალავს, გივი ლომინაძემ მეთქი.

მან მითხრა, რომ გივი ლომინაძე და ვლადისლავ არძინბა ერთი ლაგამით იმართებიანო. თავის მხრივ გრიშა აიბამ დანანებით დასძინა, - ისინი საქმეს სისხლი-სღვრისკენ წაიყვანენო.

მე მათ ვურჩიე, ვასილ კადენეცის მეშვეობით ჯემალ საჯაიასთან გამოენახათ საერთო ენა, რადგან ის ვაჟა ადამიასთან იყო ძალიან ახლოს. ისინი საეჭვოდ თანა-მშრომლობდნენ ჩემი პროგრამის წინააღმდეგ და ეყრდნობოდნენ გივი ლომინაძის მიერ შერჩეულ „ჩემს დაცვას“, ანუ მის პირად „ნასედკებს“.

უნდა განვმარტო, რომ კონსტანტინე ოზგანისა და გრიშა აიბას იმღამინდელი საუბარი საკმაო ზურგის ქარი იქნებოდა იმ ხანად საქართველოს დამო-უკიდებლობისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, მე კარები მოხურული მქონდა იქ, სადაც ეს უნდა მოესმინათ.

ასე, უშედეგოდ დამთავდრა ეს შეხვედრები.

შემდეგ გავიგე, რომ კონსტანტინე ოზგანი ვასილ კადენეცთან ერთად, მას შემ-დეგ, რაც ჯემალ საჯაია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი გახდა სოხუმის რაიონიდან, მისულა ბატონ ჯემალთან სახლში, რომელიც ვაჟა ადა-მიას მეშვეობით ეცადა კონსტანტინე ოზგანისთვის დახმარებას, მაგრამ ვაჟა ადამია გივი ლომონაძესთან ერთად ქვეშქვეშობდა მაშინ. მათთვის ვლადისლავ არძინბა იყო გამოსავალი.

ამ ქვეშქვეშობისგან რაც მივიღეთ, ხედავთ!..

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) შექმნილი პოლიტიკური ვითარება მოითხოვდა გონივრული ნაბიჯების სასწრაფო გადადგმას.

<u>იმ ვითარებაში, როდესაც თავსმოხვეული მოცემულობა აგრესორ-სეპარატის-ტთა ეთნოკრატიულ შინაარსად გაისაგნა და, გინდოდა თუ არ გინდოდა, მასთან უნდა მოგეძებნა საერთო ენა, მოგეთხოვებოდა, გცოდნოდა არსებითი: განსხვა-ვებით ვლადისლავ არძინბასაგან, კონსტანტინე ოზგანი რუსიზმის ორგანული შემადგენელი კი არ იყო, ის გახლდათ შედეგი იმ ეთნოდივერსიული ფაქტისა, რომელიც გასხვაქვეყნებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) „абхазец“-ად მოიაზრებდა თავს. ეს იყო მისთვის, პირველ რიგში მშობლიურობა და არა მხოლოდ საშვი ეთნოკრატიული პრივილეგიებისკენ. აქედან გამომდინრე, ბუნებრივია, იგი გულწრფელად იღწვოდა ამ ვინაობის მარადიულსაყოფად.</u>

ამ სვლაგეზში კრემლის და აგრესორ-სეპარატისტული ეთნოკრატიის (ე. ი. კონ-სტანტინე ოზგანის) ფეხაწყობები რაღაც რეგლამენტში კი ემთხვეოდა ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა იყო მათი საბოლოო მიზნები.

ასეთ შემთხვევაში, ყოველგვარი პროპაგანდისტული „ჰოოპუნას“ გარეშე, გულ-წრფელი სახლიკაცობით თუ დაარწმუნებდი მას და მიანიშნებდი სიბრძნით გალი-ანდაგებული გზით მშვიდობისა და სახალხო თანხმობისაკენ, ამავე დროს თუ <u>და-აჯერებდი ამ მხრივ შენს უყოყმანობაში, ის ქართველებთან მოკავშირეობაზე იფიქ-რებდა, რადგან მან კარგად იცოდა რუსიზმის მიზნებიც და ქართველი ერის გონი-</u>

თი განფენის სივრცის საზღვრებიც, სადაც მისი ხალხის სასახლიკაცო სივრცეც მკაფიოდ ჩანდა.

რაც მთავარია, მას ამყოლი და ფეხამწყობი აფსუა მოსახლეობაში საკმაოზე მეტი ჰყავდა, რადგან სჯეროდათ მისი და ის წარმოადგენდა იმ ნაწილს აფსუებისას, რომელთაც სწამდათ, რომ საკუთარი სახალხო მარადიულყოფა მათ ქართულ სახელმწიფოში უნდა გამოეჭედათ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა სეპარატისტთა ბანაკში **„იასტრიბად“** ცნობილი გააფსუებული სეპარატისტის, - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდა დეპუტატ რენატ ქარჩაას (ყოფილი ქარჩავა, ქ. სოხუმის №7 საარჩევნო ოლქი) საუბარი ნაპო მესხიასთან - ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან (გალის რ-ნის აჩიგვარას №31-ე საარჩევნო ოლქი): „Я хочу, чтобы Вы меня выслушали: Вы считаете врагом, но это не совсем так! Меня выбрали в депутаты с тем, чтобы я выступал и делал все против Вас! Это наказ „Аидгилары“, иначе с меня голову сорвут.

Я понимаю, что поступаю неправилно!..

Не выдавайте меня, иначе расстреляют! Я решил просить, чтобы Вы усилили действия против Ардзинба и его группы, он ведет к войне. надо спасать Абхазию! Вы, с Константин Константиновичем можете многое“ **(ნაპო მესხია, „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, თბილისი, 2009 წ. გვ. 110).**

სამწუხაროდ, გივი ლომინაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილის პოლიტიკურმა შანტრაჟამ მოახერხა ასეთი სახალხო იმპულსებისათვის ყველა გზა ჩაეხერგა.

ზემოთ კონსტანტინე ოზგანთან დავით ხარაიშვილის ჭერქვეშ გამართულ შეხვედრაზე მოგახსენეთ: იგი გახლდათ იმ დაზვერვითი ძალისხმევის საფუძველი, რომლის უფლებაც მაშინ ჩვენს თავს მივეცით. ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიასთანაც მიმოვიხილეთ ერთხელ... კი დაინტერესდა, მაგრამ შემდგომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

მინაწერი: როგორც ცნობილია, 1989 წლის 1 აპრილს კონსტანტინე ოზგანმა ქართველთა მიერ გამართულ მიტინგზე ქ. გაგარაში უბოდიშოდ შეჭრა და მისი აღკვეთა მოისურვა (ასეთია მიზნობრივი სტერეოტიპი).

2019 წლის 28 აგვისტოს, მარიამობას, ქაშუეთის ეზოში შემთხვევით შევხვდი და ვესუბრე საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილ პასუხისმგებელ პირს, ერთ დროს აბაშის რაიკომის პირველ მდივანს რევაზ ღვინჯილიას, წარმოშობით სოხუმელს, რომელსაც ამ საკითხზე უსაუბრია თურმე, კონსტანტინე ოზგანთან.

მას განუმარტავს, რომ ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია იმაზე, დაინტერესებული ძალები ქ. გაგრასა და გუდაუთაში რომ მოაწყობდნენ სისხლისღვრას.

მან გააკეთა ის, რამაც ჩაშალა არაკეთილმოსურნის ეს გეგმა. ბუნებრივია, ის იმ გარემოში ვერ იმოქმედებდა ეროვნული მოძრაობის ლოზუნგებით.

ბატონმა რევაზმა დამიდასტურა, რომ კონსტანტინე ოზგანს შეეძლო საქართველოს სტრატეგიული მიზნებისთვის ფეხი აეწყო.

* * *

2. გივი ლომინაძის ამბიციები და აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) მოსახლეობის სტატისტიკურ გროვად მოაზრება: ის, რომ მე დამევალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის არჩევნებზე ეროვნული მოძრაობისგან მხარდაჭერილ სადეპუტატო კანდიდატთა სიის წარდგენა ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის აფხაზეთიდან, გახმაურდა და იმთავითვე ცნობილი გახდა აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ პოლკოვნიკ გივი ლომინაძისთვის. ეს ერთხელ უკვე გითხარით ზემოთ.

მან მაშინათვე მერაბ დგებუაძისა და ვასილ დავითაიას მეშვეობით შეხვედრა მთხოვა. ესეც მოგახსენეთ.

ასეთი შეხვედრა შედგა გივი ლომონაძის ბინაზე (ქ. სოხუმში ე.წ. ი. სტალინის აგარაკზე, იგი იმჟამად იქ ცხოვრობდა).

გიმეორებთ, მან „დაასაბუთა“ თუ რატომ იყო აუცილებელი მისი არჩევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად: 1. აფხაზეთის ასსრ ეთნოკრატიულ-სეპარატისტული მმართველობა მას არ ამტკიცებდა აფხაზეთის ასსრ შს მინისტრად და იგი მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი იყო;

2. დეპუტატობა მის პოზიციებს გაამლიერებდა.

ხელმეორედ, ხმამაღლა და თითქმის ბღავილით გიხსნით: მე პირდაპირ ვუპასუხე, რომ შეიძლება, ეს ასეცაა და ის საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყოს, მაგრამ მას საკმარისად არ ვიცნობ, ამიტომ, არჩევნებზე დაგეხმაროთ თუ არა, ეს ბატონ ზვიადს უნდა შევუთანხმო მეთქი.

ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდები, აქ კი ამჯერად აღვნიშნავ იმას, რომ ამის შემდეგ გივი ლომინაძემ დაიწყო ჩემი ბლოკირება, რათა გზა ეროვნული მოძრაობის ლიდერებისკენ თვითონ გაეკვლია, იმავდროულად დღის წესრიგში დადგა ნუგზარ მგალობლიშვილის შეთრევა „კოლხური კოშკის“ პოლიტიკურ მოსაზღვრულობაში და ჩემი გამოძევება იქედან.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო ვაჟა ადამიას მცდარმა ნაბიჯმაც, იგი დაეყრდნო მის ნათესავსა და უშიშროების „ნასედკას“თენგიზ ანთიას და „ჩემს დაცვად“ დადგინდა (ამასაც სიმწრით გიმეორებთ) ყველა ის ნარკომანი და „მოკაიბიჭო“, რომელიც, ჯერ ერთი, ერთ დოზა ნარკოტიკში გაცვლიდა ეროვნულ ინტერესს და მეორეც, ყველა მათგანი პირდაპირ თუ ირიბად შს სამინისტროსთან სხვადასხვანაირად თანამშრომლობდა.

ეს წიგნი ყოველივე ამის გასარკვევად იწერება და ამის შესახებ თავის დროზე ვილაპარაკებ, ახლა კი ცოტა შორიდან დავიწყოთ.

* * *

სამწუხაროდ, საქმე უფლის თათბირთა შესაბამისად არ განვითარდა. მიზეზი ისაა, რომ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გივი ლომინაძემ, ეროვნულ მოძრაობაში მოახერხა ნდობის მოპოვება, შედეგად, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვაჟა ადამიასთან შეთანხმებით ხელში აიღო ჩემი „დაცვა“. ეს საქმე მან დაავალა მურმან სიგუას მის მეგობარ მალხაზ ქორჩილავასთან ერთად. ბუნებრივია, მათ თავიანთი ნამდვილი რაობის მისაფარდად მოიზიდეს ქუჩის-ფსკერულობაში ჩაუხედავი სტუდენტობა, რომელთაც 1989 წლის 15-16 ივლისს თავი გამოიჩინეს და ეგონათ, რომ სამშობლო ყველას უანგაროდ უყვარდა. სამწუხაროდ, „ჩემი დაცვის“ უმეტესი ნაწილი, ისევე, როგორც თვითონ მურმან სიგუა და მალხაზ ქორჩილავა, კრიმინალი და მით უარესი, შს სამინისტროს მიერ გადაბირებული „ნასედკა“, ნაციხარი და ა. შ. გახლდათ (ვ. ანთია, გ. გოგიტაშვილი, ზ. ლომია და სხვანი).

თუ რა როლი ითამაშეს მათ გივი ლომინაძის მითითების შესაბამისად მერაბ კოსტავას ფონდის ქმედუნარიანობის დასაბრკოლებლად, ჩემზე ცილისწამების გასავრცელებლად და გასალანძღად (რადგან გივი ვერ მმართავდა), ამაზე კიდევ შევიხსენებ რაღაც-რაღაცეებს.

მანამდე მოვლენენს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ 1991 წლის მარტში მურმან სიგუას დაუპირისპირდა ემზარ კვიციანის ჯგუფი, რომელთანაც კრიმინალურ სამყაროში გავლენის სფეროები ვერ გაიყვეს. ამ დროისათვის გივი ლომინაძეს მურმან სიგუა უკვე არ სჭირდებოდა მისი კაცღმერთობისკენ მიდრეკილების გამო. საქმეში ჩახედულები იმასაც ამბობენ, რომ აწ უკვე წითელმა გენერალმა გივი ლომონაძემ მოაწყო ისე, რომ მურმან სიგუა და ემზარ კვიციანის დაპირისპირება სამკვდრო-სასიცოცხლო ჩასაფრებაში გადაიზარდა, შედეგად - 1991 წლის მარტში იგი თავისი სახლის წინ, „ძმადნაფიც“ მალხაზ ქარჩილავას თვალწინ, როგორც მაშინ გახმაურდა (ცოდვა დამბრალებელს ჰქონდეს), **„იგი, გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს“-ო.**

ცინიზმი ის იყო, რომ ნეკროლოგში, რომელიც მაშინ დაბეჭდა გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“, იგი მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრად და კინაღამ მის ტოლ კაცად გამოცხადდა.

ამ მკვლელობისთვის თითმიშვერილი კაცისთვის არავის უკითხავს, რატომ ჰქენი ეს საქმეო. მერე ამას ცნობილმა მოვლენებმა მოუსწრეს და ჩაიფარცხა. როგორც ხალხი ამბობს, ჩანს, გივი ლომინაძემ უპატრონა მისი შეკვეთის შემსრულებელს.

ზემოთ გითხარით, მურმან სიგუა მანამდე თვითონაც გივი ლომინაძის დავალებებს ასრულებდა. ერთ-ერთი ასეთი დავალება იყო 9 აპრილის მემორიალის მოწყობა. ამაზე ვრცლად მოგვიწევს საუბარი.

* * *

ამრიგად, თავადაც ხედავთ, რომ 1989 წლის 15-16 ივლისის და შემდგომი დღეების სისხლიანი მოვლენების შემდეგ აფხაზეთის ასსრ-ად „გასხვაქვეყნებულ“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მინისტრად, როგორც საზოგადოებას ეგონა, „თბილისიდან მოვლინებულ იქნა“ იმჟამად პოლკოვნიკი და შემდგომში წითელი გენერალი გივი ლომინაძე.

ერთ-ერთ კერძო საუბრისას, 2007 წლის 13 ივლისს, როდესაც სწორედ 15-16 ივლისის უბედურებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე შევიკრიბეთ კოჯორში, გმირ მეომართა ნაკვალევზე, - საქართველოსთვის დაცემულთა პანაშვიდისა და სამშობლოსათვის ქუდზეკაცად მდგართა საჯამრთელო პარაკლისის შემდეგ ვკითხე სტუმრად მოწვეულ შოთა გორგოძეს - საქართველოს სსრ შს ყოფილ მინისტრს - რა ღირსების გამო გამოგზავნეთ მეთქი გივი ლომინაძე ჩვენთან მინისტრად?!.

შოთა გორგოძემ დაუფარავად მიპასუხა, რომ პოლკოვნიკ გივი ლომინაძის კანდიდატურა მოსკოვიდან შესთავაზეს მას, რაც უეჭველ დათანხმებას მოითხოვდა.

სხვათაშორის, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და საზოგადოებრიობის მსგავს ღონისძიებაზე, რომელსაც ჩემდამი რწმუნებული დეპარტამენტი ხელმძღვანელობდა, თითქმის ყოველთვის ვიწვევდი გენერალ შოთა გორგოძეს, რადგან 1989 წლის 15 ივლისის ღამეს მე დავრწმუნდი, რომ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ქართველობას, რომელიც კრემლის მიერ ეთნიკური წმენდის სამიზნედ იქნა დადგენილი მაშინ, ამ უთანასწორობაში ის (საქართველოს სსრ შს მინისტრი შოთა გორგოძე) ერთ-ერთი იყო, ქართველებს რომ აარიდა უფრო გვიან, 1993 წელს განხორციელებული საბედისწერო შედეგები. ზემოხსენებულ ღონისძიებაზე გივი ლომინაძემ სცადა ვიღაც-ვიღაცეების (თავისი ყოფილი „ნასედკების“) დემარშებით შოთა გორგოძის „დაგლახავება“ („დაჩმორება“), რადგან იგრძნობოდა აშკარად, რომ ბატონი შოთა გორგოძე მას რაღაცით დისკომფორტს უქმნიდა, თუმცა საწინააღმდეგო შედეგი კი მიიღო.

* * *

როგორც არაერთხელ მაქვს გასაჯაროებული, 1989 წლის დეკემბერში პირადად ზვიად გამსახურდიასაგან მომეცა რწმუნება, მეხელმძღვანელა მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის საქმიანობისათვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

ეს ნდობა მარტო ჩემთვის კი არა, ქვეყნისთვის გამოდგა საბედისწერო, რადგან ავმოსურნე ძალების სამიზნე ამ ნდობით მისაღწევი შედეგები გახდა. ამის გამო, შეიძლება მომაბეზრებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ კიდევ.

ცხადია, ასეთმა ნდობამ ქართული მოსახლეობის თვალში არათუ გამათანაბრა ლოკალურ მოვლენათა მართვის მესაჭეებთან, რაღაც რეგლამენტში გადასწონა კი-

დეც ჩემს ხელთ მოქცეულმა ძალაუფლებამ და გავლენამ საზოგადოებაზე, ვიდრე ეს იმ ხანად საბჭოთა ხელისუფლებას (ყოველ შემთხვევაში, „ქართულ“ პარტოკრატიას) ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ გითხარით გაკვრით, 1990 წლის იანვრის ბოლოს ან შეიძლება თებერვლის პირველ კვირაში, გივი ლომინაძემ შუამავლად გამომიგზავნა იმ დროს საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე მერაბ დგებუაძე და მაშინ საფინანსო სამსახურების მაღალჩინოსანი, შემდგომში საქართველოს შს მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი ვასილ დავითაია.

მათ მთხოვეს ჩემთვის ხელსაყრელ დროს, გივი ლომონაძის ბინაზე, სადაც იგი დროებით ცხოვრობდა (ხომ გახსოვთ: ე. წ. ი. ბ. სტალინის აგარაკი სოხუმში), შეეხვედროდი გივი ლომინაძეს, როგორც იტყვიან, ჭიქა ჩაის დასალევად და ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხზე ერთობლივი აზრის შესამუშავებლად.

ეს შეხვედრა, რომლის შესახებ მე ბატონ ზვიადს წინასწარ ვაცნობე იმ დღეებში, თუ არ ვცდები, 1990 წლის თებერვლის დასაწყისში შედგა ღამის სამ საათზე.

უკვე აგიხსენით და ვიმეორებ, იმ შეხვედრაზე აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დაუფარავად მითხრა, რომ იგი აპირებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ეყარა კენჭი 1990 წლის 20 მარტის არჩევნებზე, რადგან, როგორც ის აცხადებდა, აფხაზეთის ხელისუფლების სეპარატისტულ-ეთნოკრატიული ნაწილი მას ბრალს სდებდა საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან კავშირში (რაც იმ დროს ანტისაბჭოთა საქმიანობად განიხილებოდა) და ამიტომ არ ამტკიცებდა მინისტრად (კიდევ ერთხელ განვმარტავ, მხოლოდ მინისტრის მოვალეობას ასრულებდა). ამდენად, მისი, ანუ როგორც ის იბრალებდა ქართული პოზიციების განსამტკიცებლად, სჭირდებოდა დეპუტატად არჩევა (შემდგომ, 1992 წლის იანვარში ვლადისლავ არძინბამ, სათანადო შეხვედრაზე, სადაც იმყოფებოდნენ საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ვასილ კადენეცი, ჯემალ საჯაია და სხვები, განაცხადა, რომ გივი ლომინაძე, მას უნდა ეს თუ არ უნდა, გააკეთებს იმას, რასაც მოსკოვი დაავალებს და არა იმას, რაც ქართველებს სურთო).

მოკლედ, გივი ლომინაძე არჩევნებზე დახმარებას მთხოვდა და დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ასეთი რამის მისაღწევად იმ დროს შესაბამისი საშუალებაც გამაჩნდა (უფრო სწორად, ეროვნულ მოძრაობას გააჩნდა და არა მე).

ზემოთაც გითხარით, - მასპინძლისათის არ დამიმალავს, რომ ბატონ გივის კარგად არ ვიცნობდი. ამასთან ერთად, ამ საკითხში ეროვნული მოძრაობის საორგანიზაციო დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს ვემორჩილებოდი, - ამიტომ აქვე ავუხსენი, რომ ორშაბათს შევხვდებოდი ბატონ ზვიადს და ვიმოქმედებდი მისი დავალების მიხედვით.

ბუნებრივია, გივი ლომინაძის დონის ჩეკისტს არ გასჭირვებია იმის დადგენა, რომ მე მასთან ურთიერთობას ეროვნულ მოძრაობასთან შეუთანხმებლად არ ვაპირებდი, აქედან გამომდინარე, თავის მხრივ, ესეც გითხარით ზემოთ, თვითონაც შეუდგა ჩემს ჩამოცილებას. ამისათვის ის, უნდა ვაღიარო, ქმედუნარიანად გაისარჯა.

როგორც უკვე გითხარით, ამ დროისთვის იქედან, „სადაც ჯერ არს“ ე. წ. დისიდენტად მხარდაჭერილი და თავდადგენილი ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელიც თავს ი. ჭავჭავაძის საზოგადოების წევრად აცხადებდა, ბორის კაკუბავასთან ერთად ამხილეს ზვიად გამსახურდიაზე ცილიწამების გავრცელებაში (თითქოს ბატონ ზვიადს მისთვის ეთქვას ზაქარია ლაშქარაშვილი სუკ-ის აგენტიაო. ამასთან დაკავშირებით 1988 წლის შემოდგომის მიწურულს, თბილისში, კოკა გაწერილიას ბინაზე შედგა „სუდილიშჩე“, სადაც ნ. მგალობლიშვილმა და ბ. კაკუბავამ თავიანთი ცილისწამება არათუ უტიფრად გაიმეორეს, კაცუნა ნუგზარმა („პეტოვიჩ“-ად ცნობილმა თავის უბანში) ზვიადისკენ „გასარტყმელადაც“ კი გაიწია (მართალია, ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ, მაგრამ თუ რად ვიხსენებ აქ, ამას ახლავე მიხვდებით).

დიახ, უკვე აგიხსენით მეთქი, მაგრამ უნდა გაგიმეოროთ, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ეროვნულ მოძრაობას სულ სხვა, ანუ სახალხო განაწესით უნდა ემოქმედა, თანაც საბჭოთა პროპაგანდა ზვიად გამსახურდიას, დიდოსტატ კონსტანტინეს თქმისა არ იყოს, „ლოდსატყორცნებით გარშემოეწყო“, ნუგზარის საქციელი დიახაც რომ იყო სულმდაბლობა, ორპირობა და ღალატი.

ცხადია, თვითდამკვიდრებისათვის მან ასეთი ვერაგობა არჩია. შედეგის თვალსაზრისით ეს იყო საზურგე ლახვარი არა მხოლოდ ზვიადის, არამედ, პირველ რიგში, საქართველოს წინააღმდეგ. ორპირობა, რა თქმა უნდა, შეცდომა ან უნებლიობა არაა, იგი მიზანმიმართული ბოროტმოქმედებაა, რადგან წინასწარ იცი, რაზეც მიდიხარ, რას აკეთებ და რასაც ახვევ თავს საზოგადოებას. ამიტომ, ასეთი საქციელი მიუტევებელი ცოდვა გახლავთ და დანაშაულიც, რომლის გამოც საველესასანგრო მდგომარეობის დროს საგანგებო კანონებით გამოაქვთ მსჯავრი.

მე ვფიქრობ, რომ მაშინ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისთვის საველე-სასანგრო მდგომარეობა დიახაც რომ იყო.

ამის მიუხედავად, ი. ჭავჭავაძის საზოგადოების მხარდაჭერით ნ. მგალობლიშვილი 1989 წლის აგვისტოში ქ. სოხუმიდან გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად „არჩეული“ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ისიც უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია, ნუგზარ მგალობლიშვილის ჯუჯა კაცობის მიუხედავად, არ შეწინააღმდეგებია საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ნუგზარის არჩევას. პირიქით, მირჩია, რომ დავხმარებოდი მას. ამავე დროს, 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების წინ, ნ. მგალობლიშვილი სოხუმიდან გაქრა (როგორც შემდგომში განმარტა, „დამხმარე ძალის ჩამოსაყვანად“ ესტუმრა თბილისს). ამასთან დაკავშირებით აფხაზეთში (ჩრდილოდასავლეთ საქართველოში) ეროვნული მოძრაობის ერთმა ნაწილმა ზურაბ კვარა-

ცხელიამ, დავით კვარაცხელიამ, მურმან სხულუხიამ, რევაზ კემულარიამ, ბადრი ასათიანმა, გოჩა ბახიამ და სხვებმა იგი ქ. სოხუმის მეხუთე საშუალო სკოლაში დაიბარეს საჭირო განმარტებისათვის. ამავე სხდომაზე, ფაქტობრივად, საპატიო სტუმრად მიმიწვიეს მეც, რათა კმაყოფილება გამოეხატათ ჩემს მიერ ქ. თბილისში, რუსთველის ყრილობაზე აფხაზეთის საკითხის წარმატებული გაშუქების გამო.

ამ შეხვედრის წინ ნ. მგალობლიშვილი საგანგებოდ შემხვდა და მთხოვა, რომ განმარტებას, რასაც მისგან ითხოვდნენ, იგი საჯაროდ ვერ გააკეთებდა, რადგან ვიღაც-ვიღაცეებზე ჰქონდა საფუძვლიანი ეჭვი, თითქოს პროვოკაციას უწყობდნენ (მას მიაჩნდა, რომ ეს შეხვედრა ანზორ გვარამიას მოწყობილი იყო, თუმცა ის არ ჩნდებოდა). მოკლედ, წინადადება უნდა წამომეყენებინა, რათა სხვა დროისთვის გადაგვეტანა ეს განმარტებები. მე დავიჯერე მისი ვირეშმაკობა, რადგან ანზორ გვარამია მართლაც გამოირჩეოდა აულაგმავი მოულოდნელობებით. ამიტომ მდგომარეობის განსამუხტავად ეს თხოვნა მართლაც გავაჟღერე, რაზეც შეხვედრის თაოსნები დამთანხმდნენ (უფრო სწორად, უარი არ მაკადრეს).

ამასობაში შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია (1989 წლის ნოემბერში), სადაც აფხაზეთის საკითხის განხილვა უნდა მოეხერხებინა „სახალხო“ დეპუტატს და ნათელი უნდა მოჰფენოდა ქართველთა უფლებების გათელვას საკუთარ სამშობლოში, კერძოდ ამ მხარეში. კაცმა რომ თქვას აფხაზეთის საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა სწორედ ამისთვის მისცა ხმა ნუგზარ მგალობლიშვილს, რომელსაც პროფესორ ნოდარ ნათაძესთან ერთად ცალკე საკითხად უნდა გამოეტანა და დღის წესრიგად დაემტკიცებინა მსჯელობა1989 წლის ზაფხულში აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ამავე დროს, ამ მაღალი ტრიბუნიდან ეთქვა სიმართლე იმ დროს ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ეთნიკური წმენდის მცდელობა-მოსინჯვაზე. აი, ეს იყო მისი სადეპუტატო განაწესი!.. (სხვათაშორის, ესეც უკვე გითხარით, როგორც ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებულმა ვაჟა პავლიაშვილმა გაიხსენა, 1990 წლის 20 მარტის არჩევნების წინ, როდესაც უნდა არჩეულიყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, „კოლხურ კოშკში“ სოხუმიდან მისულა დეპუტაცია (იხილეთ ზემოთ), რომელსაც ბატონ ზვიადისთვის უთქვამს, რომ ისინი აპირებდნენ წინამდებარე არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მასპინძელს მათთვის განუმარტავს, რომ ამ საკითხზე უნდა მიემართათ სერგი საჯაიასთვის (თქვენი მონა-მორჩილისთვის), რომელიც ამასთან დაკავშირებით შესაბამისი რწმუნებით მოქმედებსო (ვაჟა პავლიაშვილმა ეს გაიმეორა მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში ჩატარებულ ლექტორიუმზე 2015 წლის 3 დეკემბერს).

მე ვერ გეტყვით ბატონების შოთა ჯღამაძის, ჯუმბერ ჯოჯუას, ალიოშა მიქაძისა და ა. შ. გარდა თუ ვინ შედიოდა ამ დეპუტაციაში, მაგრამ როდესაც 1990 წლის 10 მარტს ეროვნულმა ფორუმმა უარი გამოუცხადა საბჭოთა არჩევნებს, თავყრილობის

მსვლელობის დროს მომმართა ჯუმბერ ჯოჯუამ და მკითხა, რას მირჩევო. მე ვუთხარი, რომ ბოიკოტისათვის უნდა დაეჭირა მხარი და ეს აქვე უნდა გაეკეთებინა.

ასეც მოიქცა.

ის, რომ მანამდე ზვიად გამსახურდიამ მკითხა საბჭოთა არჩევნების დროს თუ ბოიკოტი ვერ განხორციელდებოდა, აფხაზეთში ვისთვის გაგვეწია დახმარება, - ეს უკვე ვთქვი და თქვენც დაიმახსოვრეთ: სწორედ ეს გახდა უმთავრესი მიზეზი იმ შეთქმულების, რომელმაც ჩემს წინააღმდეგ აიწყვიტა თავი!..

ეტყობა გივი ლომინაძემდე მყისვე მიაღწია ამ ცნობამ (ე. ი. იმან რომ არჩევნებში მხარდასაჭერთა შესახებ აზრს მეკითხებოდნენ, არც ის გამოეპარებოდა, თუ ვისზე უთხრეს „კოლხურ კოშკში“ აფხაზეთიდან ჩასულ დეპუტაციას, - ამის შესახებ იმას მიმართეთო სოხუმში).

* * *

3. ხელცდუნება ღირებულებათა გასაუკუღმართებლად, ანუ „პეტოვიჩ ეტო მაშინა ბოლტავნი“: ღირს და ამიტომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1989 წლის ნოემბერში გამართული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, სადაც ქართული საზოგადოება მოელოდა, რომ ნ. მგალობლიშვილი, როგორც ამისთვის საგანგებოდ დეპუტატად არჩეული, გაბედავდა და შემლებდა, ესოდენ მაღალი ტრიბუნიდან განემარტა, რომ 1989 წლის 15-16 ივლისისა და მომდევნო დღეებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მომხდარი სისხლისღვრის თაოსანი კრემლი იყო. ამისათვის გამოკლებულის ნაცვლად 1989 წლის აგვისტოში სოხუმელი ამომრჩევლის მიერ დეპუტატად გამწესებულ ნუგზარს ქმედუნარიან მოხსენებად უნდა ჩამოეყალიბებინა საბჭოთა დივერსიებისა თუ ეთნოფაბრიკაციების, როგორც ინდუსტრიული დარგის შინაარსი, ასევე გაეშუქებინა აქედან გამომდინარე ძალისხმევა - ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქართველოს დენაციონალიზაციის (განქართველების) მიზნობრივი ხასიათი და მისი ქართველთ-სპობითი შედეგი.

მას უნდა დაესვა საკითხი, რომ ამ ვერაგობის პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება სწორედ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მისცემოდა და ამ დონეს აესახა იგი თავის გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში.

ეს იყო სოხუმელთა განაწესი მის მიმართ, ამისთვის საკუთარი ხმის მიცემით აღჭურვეს იგი სახალხო უფლებამოსილებით, რათა დამდგარიყო ამ სახელმწიფო ტრიბუნასთან და ეღაღადა ერის სატკივარზე, თორემ რაღაც ხუთი თუ ექვსთვიანი დეპუტატობისათვის (მაშინ არავინ იცოდა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა იმ შემადგენლობას რწმუნების ვადა კიდევ ერთი წლით თუ გაუგრძელდებოდა), იმას მოგახსენებთ, რომ თუ არა ეს დავალება, ნახევარი წლის სადეპუტატო მანდატისათვის სოხუმელ ამომრჩეველს ამდენ ჯაფად არც უღირდა გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად ნუგზარი აერჩია.

დაჟინებით ვიმეორებ, სოხუმელები ელოდნენ, რომ ნ. მგალობლიშვილს ეყოფოდა ძალა, კრემლიდანელი ოკუპანტებისათვის პირში მიეხალა, - ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მშვიდობიანი ქართველების დარბევის შემდეგ მათი ეთნიკური წმენდა რომ ჰქონდათ დაგეგმილი.

სამწუხაროდ, ეს ვერ გაკეთდა!..

იმ დღეებში შემხვდა სოხუმელი კოლორიტი, პარიკმახერი კაცი, ეროვნებით ბერძენი პანაეტ პანაეტოვი და გაწბილებულმა მითხრა, „- სლუშაი, ეტოტ ნაშ „პეტოვიჩ“ მაშინა ბალტავნი“!..

უფრო ზუსტად მე ვერ ვიტყვი მომხდარზე.

დიახ, სწორედ ნ. მგალობლიშვილს, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობის რწმუნებით აღჭურვილს, ხმა უნდა მიეწვდინა ყოველთა ქართველთათვის. საზოგადოებისათვის სათქმელი გახლდათ, რომ 1989 წლის 15-16 ივლისს დაგეგმილი იყო „გასხვაქვეყნებული“ აფხაზეთიდან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან) ქართველთა გაძევება ეთნიკური წმენდის გზით.

აგრესორ-სეპარატისტების თარეში მხარდაჭერილი რომ იყო საბჭოთა ხელისუფლებისაგან, ეს ხმის ჩახლეჩამდე ეყვირა უნდა მას მსოფლიოს გასაგონად ამ ტრიბუნიდან. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გასაშუქებელი გახლდათ კრემლის ის მორიგი ვერაგობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), სისხლის ღელეებად რომ სურდა გადმოენიაღვარა „ახალ ფერგანას,“ ანუ ქართველთა გენოციდისა თუ ეთნიკური წმენდის დროს დაღვრილ სისხლს: ამისთვის მას სჭირდებოდა ე. წ. ეთნოკონფლიქტის პროვოცირება. ცხადია, 1989 წლის 15-16 ივლისს მოხდა ქართველებსა (აფხაზებსა) და აფსუებს („абхазец“-ებს) შორის დაპირისპირება, რომელიც აგრესორ-სეპარატისტებმა სისხლისღვრაში გადაზარდეს, მაგრამ სწორედ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით მოხერხდა მისი ლაგამამოდება და უმართაობის აღკვეთა. ეს უნდა თქმულიყო.

სხვათაშორის, ამ სესიის წინა დღეებში სახლში პირადი საქმისთვის ჩამოსულ ნუგზარს სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი დიმა ჯაიანი და მე შევხვდით. დავინტერესდით თუ რამდენად იყო იგი მზად, ტრიბუნიდან გაეშუქებინა სახალხო სატკივარი.

მისი თქმით, სამი თვე მუშაობდა საკითხის მოსამზადებლად. ეს იყო სიცრუე. ის არათუ მოუმზადებლად ან უპასუხისმგებლოდ, მეტიც, ფეხზე დაკიდების წესით მოეკიდა ამ სახალხო განაწესს.

არადა, ნუგზარ მგალობლიშვილმა, ცრუქაქუნა კაცუნამ ამ სესიაზე, სადაც დარბაზში გამობრძმედილი პარტოკრატები და პოლიტიკურ ცრუმოძრაობათა დიდოსტატები ისხდნენ, მიტინგის დარად, ყოველგვარი ჩანაწერის გარეშე მოინდომა გამოსვლა.

ვიმეორებ, როგორც კი ტრიბუნასთან დადგა, ცხადი გახდა, რომ ის ყოვლად უპასუხისმგებლოდ მეთქი, არარაინდულად, ჩასაფრებულის, გნებავთ კრიჭაში

მდგომის აკვიატებით და არა ჭირისუფლის წინგახედულებით გაისარჯა. რაც მთავარია, სრულიად არაკომპეტენტური აღმოჩნდა როგორც პრობლემის არსის გადმოცემაში, ასევე პოლემიკისა და დებატების წარმართვაში, შედეგად, პარტოკრატიის ობსტრუქციის გამო, მას სიტყვა შეაწყვეტინეს და ტრიბუნიდან გააძევეს.

ეს არ იყო რიგითი ჩავარდნა, სწორედაც რომ ბოროტმოქმედებად უნდა შეფასდეს ისეთი თავის ვერგართმევა, როდესაც საშუალება გეძლევა და შენი უნიათობით არ ამბობ, რომ 1989 წლის 15-16 ივლისსა და მომდევნო დღეებში სოხუმისკენ ქუდზე კაცად დაძრულ სრულიად საქართველო (განსაკუთრებით სამეგრელო და ეს ბუნებრივია, რადგან ეს მხარე აფხას ანუ განაპირა ზანეთი გახლავთ), დიახ, მაშინ გაერთმუშტებული საქართველო რუსის ჯარს კი არ შეუშინებია, - მან გაითვალისწინა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მხილებული კრემლიდანური ხაფანგი: - აღშფოთებული ქართველების მიერ ენგურ-ღალიძგის გადმოლახვისთვის „ქართველთა აგრესია“ დაერქმიათ და თავაუტკივებლად გაეკეთებინათ ის, რაც აღასრულეს 1993 წლის სექტემბერში. მაშინ ნ. მგალობლიშვილი სწორედ იმ პროვოკატორების რიგებში გახლდათ, რომელთაც სურდათ „დამხნარე ძალა ენგურის გაღმიდან ჩამოეყვანათ“!..

აი, ასეთი გახლავთ სიმართლე!..

ეს იყო მოკლე დროში მისი მესამე ჩაჭრა ეროვნული მოძრაობის წინაშე: 1. როდესაც 15-16 ივლისს საეჭვო მოსაბაბებით სოხუმიდან გაიქცა (ვითომცდა დამხმარე ძალის ენგურსგაღმიდან ჩამოსაყვანად); 2. როდესაც სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე 1989 წლის 3 სექტემბერს ვერ ჩამოაყალიბა აფხაზეთის საკითხი; 3. როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1989 წლის ნოემბერში უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მოვალეობას და ვერ განმარტა, რომ 15-16 ივლისს აფხაზეთში კრემლის მიერ დაგეგმილი იყო მორიგი „ფერგანა“, ანუ ქართველთა ეთნიკური წმენდა, როგორც ამაზე დაიმუქრა წინა დღეებში საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მესამე მდივანმა იდეოლოგიის დარგში საით თარკილმა (აქ არაფერს ვამბობ 1988 წლის შემოდგომის მიწურულს მისი მონაწილეობით ზვიად გამსახურდიასთვის დაწამებულ სიცრუეზე და ე. წ. „სუდილიშჩეზე“).

ცხადია, იგი არაკომპეტენტური აღმოჩნდა 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენეთა გასიგრძეგანებისას. მისმა წინგაუხედაობამ ვერ დალანდა ის, რომ 1989 წლის 15-16 ივლისსა და მომდევნო დღეებში კრემლის მიერ პროვოცირებული სისხლისღვრის კრემლიდან მართულ ესკალაციას, ხელოვნურად უნდა მისცემოდა „ქართველთა მიერ „абхазец“-თა გენოციდის მცდელობის“ სახე, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატია, წაქეზებული რუსიზმის მიერ, ცივი იარაღით, არმატურებითა და ჯოხებით (აქა-იქ ცეცხლსასროლი იარაღითაც) აღჭურვილი დაესხა თავს უიარაღო ქართველობას. ასეთი პროვოკაციის ქართველებისათვის მიხაფანგებამ საზეიმო განწყობა შეუქმნა ეთნოკრატიულ ელიტას, რო-

მელსაც აფხაზეთის მწერალთა კავშირის შენობის აივნიდან „абхазец“-ური ლიტერატურის თავკაცი, წარმოშობით ჩხოროწყუელი ალექსი გოგუა ხელმძღვანელობდა. ცხადია, „абхазец-ობა დღესასწაულობდა ქართველთა ჩათრევას კრემლიდანურ სატყუარაში. მეორე დღის უფრო სასიხარულოდ გათენების მოლოდინში ეს ხალხი ამავე აივანზე შამპანურს შამპანურზე ცლიდა. საბედნიეროდ, ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც გითხარით, ჩანასახშივე ამოხსნა კრემლიდანური ვირეშმაკობები და შეძლო შესაბამისი საპირწონე მიეგებინა კრემლის თარეშისათვის, ამავე დროს, აფსუა ხალხში კვლავ სახლიკაცის მოძიება სცადა.

დიახ, სიმწრისაგან ახლაც მეტირება, რადგან ნუგზარ მგალობლიშვილმა, აშკარად ვერ ზიდა ასეთი ტვირთი, ამავე დროს, რაღაც ხომ უნდა ეკეთებინა და დაბინავდა ქ. თბილისში, ფილარმონიის წინ, სასტუმრო „მუზაში“ და დღედაღამ „მუშაობდა“ აგრესორ-სეპარატისტთა თბილისში დაწინაურებულ ცალკეულ ნომენკლატურაზე კომპრომატების მოძიებით.

თუ კომპრომატების ენით დავიწყებთ საუბარს, სეპარატისტული ეთნოკრატია ამ მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მოსაქმიანე „ქართულ“ პარტოკრატიას, რომლის მაღალჩინოსნები საკუთარი ნამეტი მოსავალივით ყიდდნენ ამ მხარეში შემოთარეშებულ ბედისმაძიებელ არაქართველებზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მიწას.

თავიანთი ცოდვა ყელამდე სწვდებათ სეპარატისტებს, მაგრამ აფხაზეთში მიწების „მოძმე“ რესპუბლიკებიდან ჩამოსულ „თამბაქოს სპეციალისტებზე“ მიყიდვა და აქ სახელმწიფოსაგან ხელშეწყობილი არმენული ანკლავების გაჩენა, „ქართველ“ ჩინოვნიკთა ღალატის, უსინდისობისა და გაუმაძღრობის შედეგია.

უბედურება ისაა, რომ ამ გამყიდველთა შთამომავლობა დღესაც ქართველი ერის „გიჟვრაცუად“ დადგენას და მისთვის „ჭკუის სწავლებას“ ცდილობს.

ამის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ „პოლიტიკოსი“ პაატა დავითაია, რომლის წინაპრები, როგორც ხალხშია გავრცელებული, სწორედ ქართული მიწების გაყიდვით გამოირჩეოდნენ. თვით პაატამ 1993 წელს, როდესაც მისი ტოლები სანგრებში იბრძოდნენ, მან „საქმე გააჩალიჩა“ ცნობილ ნეიროქირურგთან - ნაპო მესხიასთან, სანიტრად მოეწყო მასთან და დაჭრილთა ერთ ჯგუფს გამოყვა სამშვიდობოს თბილისში (იხ. ნაპო მესხიას წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, თბილისი, 2009 წელი, გვ. 262).

ჰოდა, ნუგზარ მგალობლიშვილიც 1989 წელს იჯდა თბილისში და საქართველოს სსრ შს სამინისტროს მაღალჩინოსან „абхазец“ ალექსანდრე ანქვაბზე კომპრომატებს აგროვებდა და საზოგადოებას სერიოზულად არწმუნებდა, რომ ამით წასადგომ საქმეს აკეთებდა.

გასაგებია, მეტი ჭკუა მას არ ჰქონდა, მაგრამ ქართულ საზოგადოებას რად არ ჰყოფნიდა სიბრძნე?!.

სხვათაშორის, 1992-93 წლებში ვლადისლავ არძინბას ბანაკში ერთ-ერთი საღად მოაზროვნე კაცი ა. ანქვაბი იყო, რომელმაც არც თუ ცოტა ტყვედჩავარდნილი ქართველი გადაარჩინა დახვრეტას, შეიძლება, ითქვას, ხელიდან გამოსტაცა ვლადიმერ აშხაწავას, ცნობილ ჯალათს, რომელიც 1991 წლის 29 სექტემბერს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სწორედ ვლადისლავ არძინბას, გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ თანამოსაქმეობით გახდა.

დავუბრუნდეთ ძირითად საკითხს. როგორც გითხარით, კრემლიდანური დივერსია საფუძვლიანად გაშიფრეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, მათმა წინგახედულებამ შეაჩერა ღალიძგასთან ქუდზეკაცად თავმოყრილი ქართველობა, გაიხსენეთ, 1992 წელს, ხუნტის განუკითხაობის დროს გივი ლომინაძისა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრების ძალისხმევით სწორედ ენგურის გაღმიდან ე. წ. ჯარის შემოყვანას დაარქვა შემდგომში კრემლმა „ქართველების თავდასხმა აფხაზებზე“.

* * *

1989 წლის 15 ივლისის ღამეს მოვლენების შუაგულში ვიყავი და ქვეყნისათვის სამწუხაროდ, ქართული მოსახლეობის უსაფრთხოება ძირითადად სათანადო გამოცდილების არმქონე ჩემისთანათა ანაბარა დარჩა თითქმის.

ზემოთ გითხარით თუ როგორ იქცეოდნენ „абхазец“-ი მწერლები, ჩვენ ამ მხრივაც არ მოგვეცა საშველი: მახსოვს აფხაზეთში ქართული მწერლობის თავკაცობა თუ როგორ გაიპარა იმ ღამეს: გენო კალანდიამ ცოლ-შვილი ქალაქის ცენტრში, საკუთარ ბინაზე დატოვა და თვითონ მარტო შეაფარა თავი რომელიღაც აგარაკს.

მისი მეუღლის მეშვეობით მთხოვა, ტელეფონით მეცნობებინა მისთვის ვითარება. მეც დროდადრო ვურეკავდი.

ასევე, იმ დღეებში დაიმალა სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გოგი ქავთარაძე. საერთოდ, ყველა, ვისაც აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ქართველობა თავკაცებად თვლიდა და ისინიც მათ „მახვშად“ აჩეჩებდნენ საკუთარ რაობას.

ყოველივე ამის გასწვრივ, კიდევ ერთხელ ხმამაღლა გეუბნებით: სამაგიეროდ სეპარატისტების ბანაკში სწორედ „абхазец“-ი მწერლები იღებდნენ მეთქი სააღლუმო ფეხაწყობას, ხოლო მათი თავმჯდომარე ალექსი გოგუა (წარმოშობით ჩხოროწყელი რომ იყო, ეს ხომ დაიმახსოვრეთ) შამპანურს შამპანურზე როდესაც ცლიდა, ეს წამ-წუთიც აგიწერეთ და ისიც, წამგაუცდენლად რომ ადიდებდა „დიდი ლენინის ეროვნულ პოლიტიკას“.

სხვათაშორის, ასევე ღვთისანაბარა და უმწეოდ მიატოვეს „ჩვენმა სულიერმა მამებმა“ უკიდურეს ხიფათში ჩავარდნილი უმწეო მოსახლეობა 1993 წლის სექტემ-

ბერში და თვითონ ლაჩრულად გამოიქცნენ „სამშვიდობოს“. მეტიც, დღემდე სწორედ მათ, ამ მოღალატეებს შეუცვლელად ჰქვიათ აფხაზეთის ხელისუფლება.

დავუბრუნდეთ 15-16 ივლისს:იმ ღამის მოვლენებში, ასე თუ ისე, ღვთის წყალობით მოხერხდა უმართაობიდან სწორი სვლაგეზისკენ განაბიჯება. რაც მთავარია, სისხლის ღვრა შეწყდა. ამასთან დაკავშირებით, რა ვქნა, გატყობთ, რომ ეჭვი გეპარებათ და, ისევ და ისევ, დაბეჯითებით უნდა გითხრათ, რომ ჩემი შთაბეჭდილებით იმ ღამეს, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვიდან სსრკ შინაგან საქმეთა მაღალჩინოსანიც აქ იყო, საქართველოს სსრ შს მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა შოთა გორგოძემ იქ მართვის სადაველები მყარად მოიგდო ხელში და ჩვენთან, სახელდახელოდ, მოვლენათა გრიგალში შექმნილი „სახალხო წესრიგის აღდგენის კომიტეტთან“ (თავმჯდომარე ალიოშა მიქაძე, მოადგილე სერგი საჯაია, წევრები ტარიელ ფარულავა („ტიგრანა“), როლანდ კაკულია. ზურაბ კვარაცხელია, ჯუმბერ ჯოჯუა, რევაზ კემულარია და სხვები) ერთად ცდილობდა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

მოვლენებს გავუსწრებ და აქვე აღვნიშნავ, რომ 1990 წლის იანვარში მე უკვე მერაბ კოსტავას ფონდის რწმუნებულის რანგში, ჩემს მეგობარ არტილერიის პოლკოვნიკ ჰენრი ლოლუასთან ერთად(მან თავი გამოიჩინა 1992-93 წლის საომარი ავანტიურის დროს, გმირულად იბრძოდა), შევხვდი შოთა გორგოძესა და ვარლამ შადურს, რათა მომეხსენებინა ის შემაფერხებელი ვითარება, რომელიც აფხაზეთის ასსრ შს მხრიდან ექმნებოდა ჩვენს საქმიანობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. მიღება იყო ნახევრად ოფიციალური (ჩაიც, კონიაკიც და ა. შ.) მინისტრმა იქვე დაურეკა გივი ლომინაძეს და სათანადო მითითებები მისცა.

ეს ძალიან ეწყინა გივი ლომინაძეს. შემდგომ, ესეც გითხარით მგონი, 2007 წელს, ბატონ შოთა გორგოძის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მოწვევებთან დაკავშირებით მისაყვედურა კიდეც, რად გინდა ეს თბილისელი კაცი, ჩემზე უკეთ ვინ იცისო აფხაზეთის ამბები.

ეტყობა, შოთა გორგოძისა და ვარლამ შადურის ფხიზელ მზერას არ გამოეპარა ის ზოგიერთი რამეც, რისი გათვალსაჩინოებისაგან იმ ჯერზე თავი შევიკავე, ამიტომ ამ საშვილიშვილო საქმის ხელშესაწყობად თავად დაურეკეს საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს გივი ანჩაბაძეს და ამის შესახებ ზოგიერთი ცნობა მიაწოდეს. მეორე დღეს, სოხუმში ბატონმა გივი ანჩაბაძემ სამსახურში თავის თანაშემწეს (ამჟამად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზურაბ ჯგუბურიას) დაარეკინა და შეხვედრა დამინიშნა.

დანიშნულ დროს გამოვცხადდი. აქ აღსანიშნავია ერთი დეტალი, - მისაღებში დამხვდნენ „ქართული საზოგადოებრიობის „მახვშვები“გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, სხვები და სხვები, მათ შორის სახალხო ფრონტის თავმჯდომარე შოთა ჯღამაძე. მე არ მიცდია მათზე ადრე შესვლა.

ორიოდე წუთში მდივანმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საზოგადოება ჩემზე ადრე იყო მოსული, რუსულად გამოაცხადა, ამხანაგ საჯაიას სთხოვენო.

ბატონ გივი ანჩაბაძესთან საუბარი გაგრძელდა ერთ საათამდე, რომლის დროსაც ვეხმიანებოდით ლეო ხაბურზანიასაც, - საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს. გავარკვიეთ არაერთი თავსატეხი. ბატონი გივი ანჩაბაძე კმაყოფილი შეხვდა ცნობას, რომ ისტორიული სამშობლოსაკენ მუდმივ საცხოვრებლად დაძრული ბერძნები, ითვალისწინებდნენ რა ქართველებთან კეთილმეზობლობას, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად ჩვენს ფონდზე ყიდდნენ თავიანთ საკარმიდამოებს. მთავრობის თავმჯდომარე დამპირდა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით არანაირი სიძნელე არ შემექმნებოდა. ამაზე კიდევ მეტად და ვრცლად გასაჯარისებული საუბარიც შეიძლება, მაგრამ უფრო მიზანშეწონილ დროსაა იგი უპრიანი.

ამ ყველაფერს ასე ხაზგასმულად იმიტომ ვყვები, რომ 1989 წლის 15-16 ივლისის და შემდგომი დღეების მოვლენების მართვა და წინგახედულებისაკენ გაძღოლა მეც მომეწერებოდა, რაც შესაბამის ავტორიტეტს მიქმნიდა როგორც საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებასთან, მათ შორის სეპარატისტთა ეთნოკრატიასთან ურთიერთობისას.

ასეთი კაცი გივი ლომინაძის აზრით ან ყველანაირი ზემოქმედების შედეგად უნდა გადაბირებულიყო მის მხარეზე, ან კიდევ გზიდან უნდა ჩამოეცილებინათ.

* * *

აქ კიდევ და კიდევ, განმეორებით და ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ 1990 წლის იანვარში ბატონმა ზვიად გამსახურდიამ დამავალა, მისთვის წარმედგინა საჩინო და სანდო პიროვნებათა სია აფხაზეთიდან, რომლებზეც, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში 1990 წლის 20 მარტს ბოიკოტი თუ ვერ მოხერხდებოდა, დაყრდნობა შეიძლებოდა.

ამით ვიზუსტებდით იმას, თუ რა ძალებზე დაყრდნობით ემოქმედა მეთქი მომავალში ეროვნულ მოძრაობას, როგორც იტყვიან, შიგნიდან „ციხის გასატეხად“.

მე ჩემი მოსაზრება მოკლე ხანში წარმოვადგინე სამუშაო ჯგუფში და დავასაბუთე ჩემს მიერ დასახელებული თითეული პიროვნების სიაში მოხვედრის საფუძველი. აქ წინმსწრებად უნდა განვაცხადო, რომ არცერთს, ვინც დავასახელე, საქართველოსთვის არ უმუხთლნია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს წამყვანი თანამდებობა ეჭირა პარტიულ იერარქიაში (ალექსანდრე მოსკალენკო, ვასილ კადენეცი), რაც შეეხებათ ვალერიან კობახიას ან კონსტანტინე ოზგანსა თუ ბორის ადლეიბას, კი ბატონო, ისინი იყვნენ სეპარატისტები, უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდათ ამგვარი საქმიანობისთვის, მაგრამ, ამავე დროს, მათთან შეიძლებოდა კონსტრუქციული, შედეგებზე გათვლილი საუბარი, დარწმუნება, მათთვის სათანადო მოტივაციის შექმნა. ზოგიერთ მათგანს ხანდახან პაპისპაპათა

საძვალეც ახსენდებოდა. მაგალითად, ვალერიან კობახიამ თავისი წინაპრების საფლავებიც კი იცოდა ხობის რაიონში (აბობენ, რომ მისი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პიერ კობახიძის წინაპრები ერთი სამოხიოდან იყვნენ). ის მხოლოდ „абхазец"-ად ყოფნის უფლებას მოითხოვდა. მოკლედ, მასთან ამ საკითხებზე საუბარი, ღირსების პატივმიმგები და კეთილმოსურნე აზრთა გაცვლა, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის წასადგომ დასკვნებამდე გაგვიყვნდა, სადაც ეთნო ფაქტს „Абхазец"-ობას საკუთარი თვითდამკვიდრების გარანტიები სჭირდებოდა. ბუნებრივია, სულ სხვა იყო იური ანუას მსოფლმხედველობა: ეს კაცი მართლა აფხაზი იყო, იმგვარი, არზაყან ემხვარი (თარაშ ემხვარი) რომ გახლდათ!..

ჩემს მიერ მოთვალსაწიერებულ პიროვნებებში მე არ მიგულისხმია გივი ლომინაძე (იმის გამო რომ არ ვიცნობდი, ეს ერთი. მეორეც: ჩემდა საამაყოდ, მე მასში სამშობლოს ფეხზე დამკიდებელი დახვეწილი მედროვე იმთავითვე ამოვიცანი), ხოლო რაც შეეხება სხვებს, - ნუგზარ მგალობლიშვილში, გენო კალანდიაში, მანანა ძოძუაშვილსა და ა. შ. მე არ ვხედავდი კომპეტენტურობას. სამაგიეროდ, იყვნენ ზღვარდაუდებად ამბიციურები და ისინი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ აზროვნებდნენ საბჭოთა ეთნოდივერსიული სტერეოტიპების მიხედვით, თანაც, როგორც დრომ დაადასტურა, ორპირობისკენ მიდრეკილები გახლდნენ. ამის გამო არ ვენდე მათ. მე ამ სიაში არც საკუთარი თავი არ მიგულისხმია და ეს იმიტომ, რომ მართლა ვცდილობდი, მეაზროვნა ეროვნულ-სახალხო აუცილებლობათა გათვალისწინებით. ასეთი აუცილებლობა კი მოითხოვდა იმ ვითარებაში, მიუხედავად იმისა, - იმაზე მეტი წინგახედულობა გამოვიჩინე, ვიდრე ერთი საშუალო სკოლის დირექტორს მოეთხოვებოდა, მეგონა, რომ ვთქვათ ესა და ეს, ჩემზე უკეთესად გაართმევდა თავს სახალხო განაწესით გათვალისწინებულ პოლიტიკურ დაკვეთებს.

იმან, რომ ეს რაგადობა ნუგზარ მგალობლიშვილის გარეშე შედგა, ეტყობა ძალიან გააღიზიანა „პეტოვიჩი". არ ვიცი, საიდან გაიგო, მაგრამ სასტუმრო „მუზაში", სადაც ცხოვრობდა, განუმარტავს, რომ **„აფხაზეთში მეგრელების ნდობა არ შეიძლება ისინი აფხაზებს შეეკვრებიან, რაც შეეხება საჯაიას, მან გვარი გადაიკეთა, სინამდვილეში ბერძენია და აფხაზებმა აგენტად შემოაგზავნეს ეროვნულ მომრაობაშიო"...**

ამის შესახებ იმ დღეებში სოხუმელი ჯემალ საჯაიასთვის (მომავალში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი) უამბნია ამ „საფიხვნოს" ერთ-ერთ მონაწილეს.

ვითარება აფხაზეთში მოითხოვდა სრულიად ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას, მე ასეთი პასუხისმგებლობისთვის თავი მოუმზადებლად მივიჩნიე და ვარჩიე მომისამართებულ დავალებათა შესრულება. დრო არის ამის მოწმე, დაუდევრად არ მიკეთებია ეს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზეზით არ ჩაშლილა არც ერთი ჩემზე გაპიროვნებული ეროვნული განაწესი.

ამისათვის მე არანაირ კვარცხლბეკს არ ვითხოვ: საქართველო იცნობს გაცილებით დიდ მოვლენას, რომელსაც დედა ეკლესიამ ღვთისკაცი უწოდა, მაგრამ თვითონ იგი თავის ამაგს რიგით საქმიანობად **მიიჩნევდა!.. „მე ვასრულებდი ჩემს ქართულ მოვალეობას“-ო, განაცხადა დიდმა ექვთიმე თაყაიშვილმა...**

* * *

კონსპექტი წუთჩაფიქრებისათვის: იმ სიცხადეში, რომელიც 20-ე საუკუნის 80-90-იანი წლებისთვის ახალი ძალისხმევით ამძვინვარდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) და რომელსაც კარგახანია აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ერქვა, თან საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალ „არაქართულ“ ქვეყნად მოიაზრებოდა, კი ბატონო, სულზე მოსწრება იქნებოდა არზაყან ემხვარის მსგავსი ერისკაცი გვყოლოდა დამრიგებლად და გამძღოლად, მაგრამ ასეთი რომ არ ჩანდა ირგვლივ?!.

საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული მოცემულობა გვკარნახობდა შემდეგს: რაკიღა ამ დროისათვის აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატია და „ქართული“ პარტოკრატია წარმოადგენდა „გასხვაქვეყნებული“ აფხაზეთის ხელისუფლებასა და მთავრობას, საერთო ენა მათთან უნდა მოგვენახა. გეთანხმებით, ბორის ადლეიბაც, ვალერიან კობახიაცა და კონსტანტინე ოზგანიც არათუ არ ჰგავდნენ, პირიქით, გიორგი შარვაშიძისა და არზაყან ემხვარის ცნობიერების წინააღმდეგ მოღვაწეობდნენ, მაგრამ არც დღეს „ქართულ პოლიტიკაში“ მონავარდე პაატა დავითაიას წინაპრები (ანუ „ქართველი“ პარტფუნქციონერები) ბაძავდნენ ხუტუნია შერვაშიძესა თუ არზაყან ემხვარს - სწორედ მათი ძალისხმევით „თამბაქოს სპეციალისტებად“ ათასობით არმენი ჩამოდიოდა, რომელიც სახლდებოდა ზღვისპირა მიწებზე, დიახ, ის ხალხი ჩამოდიოდა, რომელიც თამბაქოს ჩითილებს აქ ნახულობდა პირველად.

ასეთ ვითარებაში „მრგვალი მაგიდის“ ძალისხმევა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედან შინაარსში აღორძინებაზე სინამდვილეში ბეწვის ხიდზე გავლას ნიშნავდა, მაგრამ მან ეს ძირითადად შეძლო. ყოველ შემთხვევაში აქეთკენ მიდიოდა იმ ნაბიჯებით, რის საშუალებასაც იმპერია იძლეოდა.

„მრგვალი მაგიდისათვის“ აფსუა მოსახლეობა, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებოდა არა ეთნოდივერსიული აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხად, ანუ „абхазец“-ად, არამედ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) შემოსახლიკაცებულ ძუძუმტე მოსახლეობად (დევიზი: **„ეს მიწა ჩვენი დედაა, ხოლო დედის ძუძუ შვილებს ეკუთვნით“).**

აქედან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია („მრგვალი მაგიდა“) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კვლავაღდგომას ჟღარუნის წესით გამორიცხავდა, რაც არ ნიშნავდა ჩრდილო-დასავლეთ საქათველოს დედანი შინაარსის გაყალბებასთან შერიგებას. მეორეც: დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციათ გამნადგურებელი

შედეგების აღმოფვხვრას დრო, წინგახედულება, კეთილმოსურნეობა და მოთმინება სჭირდებოდა.

მით უმეტეს, რომ არათუ „абхазец“-ური საზოგადოება, თვითონ ქართველების დიდი ნაწილიც, თავისი დანაშაულებრივი უვიცობით აფხაზეთს არ მიიჩნევდა საქართველოს ისეთ ბუნებრივ მხარედ, როგორიცაა სამეგრელო, კახეთი, იმერეთი...

<u>თავსმოხვეული პოლიტიკური აბრა მრისხანედ გვიყვიროდა, რომ აფხაზეთის ასსრ, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული შინაარსი (გნებავთ სახელმწიფო წარმონაქმნი) უკვე არაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხას ზანეთი)!..</u>

ეს იყო ფაქტი.

ამის მიუხედავად, ის, რომ „მრგვალი მაგიდა“ აფსუა ხალხის მარადიულყოფას იპიროვნებდა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა უნებური სიცხადისათვის ხარკის „მიშავებას“, - ეს გახლდათ ქართველი ერის ქრისტესმხედრული შინაარსიდან გამომდინარე სახლიკაცური მოთხოვნილება.

ამის გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), დედანი შინაარსის აღდგენასა და რუსიზმის საცეცთა საბოლოო ჩაწალდვას დრო და მოკავშირე სჭირდებოდა. აი, ამ მოკავშირეს ეძებდა „მრგვალი მაგიდა“ სამომავლოდ აფსუა ხალხში.

დიახ, ეს ყველაფერი სამომავლოდ, იმჟამად კი აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიული ხელისუფლება 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ქმნიდა ისეთ ფაქტობრივ სურათს, რომლის მიხედვით აფხაზეთის ასსრ პირდაპირ მოსკოვს ექვემდებარებოდა.

რაც შეეხება აფხაზეთის ხელისუფლების იმ ნაწილს, „ქართული“ პარტოკრატია რომ წარმოადგენდა, იგი ძირითადად სტატისტის როლს სჯერდებოდა და მას ის აწუხებდა, აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის 47 პროცენტის წარმომადგენლებს რატომ ჩაგრავდა მოსახლეობის 17 პროცენტის რწმუნების მქონე ნომენკლატურა.

საინტერესოა, რომ გივი ლომინაძე, რომელმაც უკვე მოახერხა ჩვენი გამოძევება „კოლხური კოშკიდან“ და თავისი ხალხის შეგზავნა იქ (ნ. მგალობლიშვილი, მ. ძოძუაშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე და სხვები), საუბედუროდ თავის „ეროვნულ“ ხელისბიჭებთან ერთად, მოქმედებდა არა „კოლხური კოშკის“ ცნობიერების შესაბამისად, არამედ მისთვის მშობლიური „ქართული“ პარტოკრატიის დებულებებით, თუმცა, როგორც გამობრძმედილი ნიღბოსანი, თავისი ორპირობის დაფარვას ახერხებდა.

როგორც მოგახსენეთ, იდგენდა რა თავს საქართველოს სსრ-დან გამოცალკევებულად, აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატია („абхазец“-ობა), რომელსაც თავის მოქმედებებში ზურგს უმაგრებდა სკკპ ცკ-ის ზეპირი თუ წერილობითი სადირექტივო მითითებები (განსაკუთრებით სკკპ ცკ-ის 1957 წლის 10 ივლისის დადგენილება „ქართული შოვინიზმის“ შესახებ, თითქოს ქართველები ოსების, აფსუებისა და არმენების ასიმილაციას მიზანმიმართულად ეწეოდნენ), კრემლის მორიგი წაქე-

ზებების კვალდაკვალ დაჟინებით ცდილობდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), „ახალი ფერგანის“ (ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის) შემოძღოლას.

ასეთი იყო ვითარება როდესაც ჯერ კიდევ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, შესაბამისად აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიმართა მომავალი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები (1990 წლის 28 ოქტომბერი, 11 ნოემბერი).

პირველი პოლიტიკური გამარჯვება, რომელიც არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო ყოველდღიურობაში მოიპოვა „მრგვალმა მაგიდამ“, გახლდათ 1990 წლის 4 დეკემბერს გამართული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია: მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში „ქართული“ კოლაბორაციული ძალების (გ. ლომინაძის, ნ. მგალობლიშვილის, მ. ძოძუაშვილისა და სხვების) ღალატის გამო გაკეთდა ყველაზე უარესი საორგანიზაციო დასკვნები (აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვლადისლავ არძინბა, რომელიც ქართველთა სიძულვილს სიგიჟემდე მიჰყავდა. ასევე არ იქნა დანიშნული აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ქართველი თავმჯდომარე), ეს მაინც ძირეულ „მრგვალ მაგიდაში“ (და არა მის სააფხაზეთო განყოფილებაში, რომლის „შტაბი“ გივი ლომინაძის კაბინეტი გახლდათ), დიახ, „მრგვალ მაგიდაში“ იყო საღი გონების, გნებავთ სიბრძნისა და წინგახედვისკენ გადადგმული ნაბიჯების ათვლა, ვინაიდან 1. აგრესორ-სეპარატისტთა პროვოკაციებმა და ავანტიურებმა ქუჩაში თარეშისა და ანგარიშსწორების ნაცვლად საპარლამენტო ურთიერთობის ხასიათი მიიღო; 2. აფხაზეთის აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიამ პრაქტიკულად აღიარა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ზემდგომობა, რითაც აფხაზეთში კონსტიტუციური წესრიგი ძირითადად დამყარდა.

ყოველივე ეს გამოისახა თავის შედეგებში. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობამ და მათ შორის აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) გამშინაარსებელმა ქართველებმა თავი იგრძნეს ამ მიწის მკვიდრად. აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა 1991 წლის 17 მარტს ბოიკოტი გამოუცხადა სსრკ ერთიანობის შენარჩუნებას. იმავე 1991 წლის 31 მარტს მან მხარი დაუჭირა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას. აფხაზეთის მრავალეროვნულმა მოსახლეობამ (ვიცი, ბატონო, კრემლიდან დემოგრაფიული თარეშის შედეგი იყო ამ მხარეში მრავალეროვნულობა და მაინც) აირჩია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი. მიღწეული იქნა შეთანხმება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას („კოლხური კოშკის“ ცნობიერების, ანუ „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ნების) შორსგახედულება და სახლიკაცური ურთიერთობა აფსუა ხალხისადმი მკაფიოდ გამოისახა 1991 წლის მაისის შემდგომ, როდესაც ქართულ და „абхазец“-ურ მხარეთა მონაწილეობითა და თანამშრომ-

ლობით, კრემლიდანური „შუამავლობის“, „მეურვეობის“, „მომრიგებლობისა“ და „მედიატორობის“ გარეშე ჩამოყალიბდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონი, ასევე, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ცვლილებები შევიდა აფხაზეთის ა/რ-ის კონსტიტუციაში: კერძოდ, ტერმინი „საქართველოს სსრ“ შეიცვალა ტერმინით „საქართველოს რესპუბლიკა“. ამ ცვლილებებით „абхазец“-ური მხარე (მათ შორის აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიაც ადასტურებდა, რომ ის თუ ადრე საქართველოს სსრ-ის ნაწილი იყო, ამჟამად დამოუკიდებლობა გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი გახდა. აფხაზეთის ა/რ-ის კონსტიტუციაში დაზუსტდა, რომ კანონი აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის შესახებ ძალაში შედიოდა საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ.

ასეთი გახლდათ პოლიტიკურ-სამართლებრივი საპირწონე, რომლის საფუძველზეც ხდებოდა სახალხო ურთიერთობათა დამყარება სეპარატისტული ეთნოკრატიის ცალკეულ წარმომადგენელთან (კ. ოზგანთან, ვ. კობახიასთან, ბ. ადლეიბასთან და ა. შ.). იმ შემთხვევაში, თუ კი, ვთქვათ და რომელიმე მათგანი სიტყვას გატეხდა ან განზე გაუხვევდა, საიმედო კანონი გვეჭირა ხელში და ზნეობრივი სისუფთავეც გვექნებოდა.

მართალია, ამ შეთანხმებას იმ დროს აფხაზეთის „ქართულმა“ პარტოკრატიამ უგნური წკავწკავით აპარტეიდული უწოდა, მაგრამ ეს ასე არ გახლდათ: კრემლის მიერ გამოინკუბატორებული ეთნოკრატია გუშინ ყველა საშუალებით შენს გაძევებაზე, ანუ ეთნიკურ წმენდაზე ფიქრობდა, არ გცნობდა და პირდაპირ მოსკოვს ემორჩილებოდა. თავის მხრივ მოსკოვმაც საამწუთოდ შემოაშველა მისთვის საგანგებოდ შექმნილი ინსტრუქციები, რომელთა მხედვით ადრე აფხაზეთის ასსრ სსრკ შემადგენლობაში შემავალი საქართველოს სსრ-ს ნაწილი იყო და არა დამოუკიდებელი საქართველოსი, ამიტომ ამ ინსტრუქციის თანახმად ის საქართველოს შემადგენლობიდან ავტომატურად გამოდიოდა და რჩებოდა სსრკ - ის პოლიტიკურ-სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ, უფრო სწორად, საქართველო, გადიოდა რა სსრკ შემადგენლობიდან, კრემლის მორიგი პროვოკაციული ინსტრუქციის მიხედვით იმავდროულად წყვეტდა კავშირს სსრკ შემადგენლობაში დარჩენილ აფხაზეთის ასსრ-თან.

ასეთი იყო აგრესიული სეპარატიზმისთვის კრემლიდან შემოგაკვეთილებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სწავლებები, რომლის უკან ღარიბი ნათესავი კი არა, მსოფლიოს ერთერთი უძლიერესი იმპერია იდგა.

ეს ყველაფერი გახლდათ ხმაბოდვა. მიღწეული შეთანხმება აპარტეიდული კანონი კი არ იყო, როგორც ჩასაფრებულები ყროყინებდნენ, არამედ შექმნილ ფეთქებადსაშიშ ვითარებაში სამერმისო გზის პოვნა გახლდათ ეს.

ამ „აპარტეიდული კანონის“, მიხედვით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს 65 მანდატი გადანაწილდა ეთნიკური ნიშნით ჩამოყალიბებულ საარჩევნო ოლქებში. აქედან 28 მანდატი „абхазец“-ებს, ხოლო 26 ქართველებს ერგოთ. 11 მანდატი დაუტოვეს აფხაზეთში მოსახლე სხვა ეროვნებებს.

ამავე დროს მანდატები იმგვარად გადანაწილდა, რომ არც ერთ მხარეს არ შეეძლო კვალიფიციური უმრავლესობის მოპოვება, შესაბამისად შეუძლებელი იყო ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ, მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით (ის, რომ 1992 წლის 23 ივლისს ე.წ. აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესმა საბჭომ აღადგინა დროსა და სივრცეში ადრე არ ამოქმედებული 1925 წლის კონსტიტუცია, ეს სწორედ აგრესორ-სეპარატისტთა ცალმხრივი მოქმედებისა და ქართული დეპუტაციის პოლიტიკური უმწიფრობის შედეგად მოხდა. სხვა საკითხია, რომ ქართული დეპუტაცია, რომლის უდიდესი ნაწილის „არჩევის“ სანქცია სწორედ წითელი გენერლის - გივი ლომინაძის მითითებით გაიცა და და არა „მრგვალი მაგიდის“, თავისი არაკომპეტენტურობის გამო არ აღმოჩნდა მზად საპარლამენტო მუშაობისათვის).

ასეთი გახლდათ „კოლხური კოშკის“ მიმართება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით და ის ქმედუნარიანად ამუშავდა როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ყოფით ყოველდღიურობაში, ასევე მის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და მისთანათა საეჭვო პოლიტიკანობა, რომელიც ვითომ „მრგვალი მაგიდის“ კარნახით მოქმედებდა, სულ უფრო და უფრო სახიფათო ხასიათს ღებულობდა.

ასე მაგალითად: როგორც გახსოვთ, 1991 წლის 17 მარტს საბჭოთა კავშირში და შესაბამისად, აფხაზეთშიც უნდა ჩატარებულიყო სსრკ-ის მხარდასაჭერი რეფერენდუმი.

აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი, სადაც აფხაზეთის მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტი ცხოვრობდა და რომელიც ბოიკოტს უცხადებდა ამ რეფერენდუმს, მოსკოვის მითითებითა და ვლადისლავ არძინბას ძალისხმევით არჩევნებიდან მოხსნეს თითიდან გამოწოვილი საბაბით - „მოუმზადებლობის“ გამო.

მართალია, აფხაზეთში ეს რეფერენდუმი კი ჩაიშალა, მაგრამ იგი როდი გახლდათ გივი ლომინაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილის დამსახურება, მეტიც, მათ რატომღაც თავს მოგვახვიეს და თანაც „მრგვალი მაგიდის“ სახელით სოხუმის საარჩევნო ოლქიდან სსრკ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული დეპუტატის ბორის ადლეიბას (გარდაიცვალა) ნაცვლად საერთაშორისო აფერისტისა და ოდიოზის მურმან ომანიძის არჩევა. ეს იყო ხაფანგი, რადგან, იმ ამომრჩეველს, რომელიც სსრკ ერთიანობის შენარჩუნებაზე რეფერენდუმს ბოიკოტს უცხადებდა, მაგრამ ეროვნული ხელისუფლების „კანდიდატის“ მურმან ომანიძისთვის ხმის მისაცემად მოვიდოდა (ორივე არჩევნებზე ერთიდაიმავე რიცხვში, ერთიდაიმავე საარჩევნო ყუთთან

ხდებოდა ხმის მიცემა), საარჩევნო კომისია გააფორმებდა ე. წ. რეფერენდუმისათვის მხარდამჭერად.

ესეც, ვლადისლავ არძინბას, გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და ა. შ. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, სახალხო ძალისხმევამ ჩაშალა. დროის გადასახედიდან მეამაყება, რომ იმხანად მეც ამ სიმწყობრეში მოვიაზრებდი თავს და არც თუ უკანა რიგებში.

* * *

მოკლედ, გივი ლომინაძემ, როგორც გამოცდილმა ოპერატიულმა მუშაკმა (ჩეკისტმა), დაიწყო ჩემი საქმიანობის, ხასიათის, ძლიერი და სუსტი მხარეების სერიოზული შესწავლა, რათა შეემუშავებინა ჩემთვის უქმედუნარიანობის გეგმა.

როგორც უკვე გითხარით, მე საქმე მქონდა ეროვნულ ფულთან, რომელსაც სჭირდებოდა გაფრთხილება და უსაფრთხოება. ესეც გითხარით, რომ ეროვნულმა მოძრაობამ დამინიშნა დაცვა და შევთანხმდით იმაზე, ამისთვის შემერჩია ჩემი (ბესლეთის) ხეობიდან 1989 წლის 15-16 ივლისს თავგამოჩენილი წესიერი ბიჭები.

1990 წლის იანვრის 20-ში თუ უფრო ადრე სოხუმში ჩამოვიდნენ და მესტუმრნენ ვაჟა ადამია და ჯემალ გოლეთიანი. მათ ჩემთან, სახლში დანიშნეს შეკრება, განიხილეს ჩემი დაცვისა და უსაფრთხოების საკითხი.

ვიმეორებ, ჩემი დაცვის უფროსად სრულიად მოულოდნელად გამოცხადდა ნარკომანი, მკვლელობისთვის ციხემოხდილი მურმან სიგუა, ხოლო მოადგილედ - მალხაზ ქორჩილავა, ასევე ნარკომანი.

თითქმის სუყველა, ვინც „ჩემი დაცვის“ წევრებად დაასახელეს მათ, ნაციხრები და ნარკომანები იყვნენ (განსაკუთრებით ველოდი და თენგო ანთიები, გია გოგოტიშვილი და ა. შ. მათ შორის ვითარების შესალამაზებლად აქა-იქ ერია სტუდენტობაც: საშა ჯანელიძე, ჯამბულ ბარათელი, ჯაბა ჯაიანი და სხვებიც, რომელთა შორის მაიზერ ბაბლუანი და ზურაბ ლომია, ყველაფრიდან ჩანდა, რომ „ნასედკები“ იყვნენ).

რაც მთავარია, ვაჟა ადამიას დასახელებული პირები მურმან სიგუა, მალხაზ ქორჩილავა, ველოდი და თენგო ანთიები, ზურაბ ლომია, გია გოგოტიშვილი, ვგრძნობდი, ყოველდღიურად რომ ხვდებოდნენ გივი ლომინაძეს და მისი მითითების შესაბამისად მოქმედებდნენ. მეტიც, მე უმალვე მივხვდი, რომ ეს „დაცვა“ ვაჟა ადამიამ და გივი ლომინაძემ ერთად დააკომპლექტეს.

ამასთან დაკავშირებით (რა ვქნა, კვლავ მიწევს ზოგიერთი რამის განმეორება), საქართველოს მერაბ კოსტავას ფონდის გამგეობის იმდროინდელმა თავმჯდომარემ ივანე (ვაჟა) შარვაშიძემ თავის არქივში მოიძია 1990 წელს მისთვის ვიღაც სოხუმელის მიერ (ყოველ შემთხვევაში წყარო არ დამისახელა) მიწოდებული ზეპირი ინფორმაცია, რომელიც მას (ივანე შერვაშიძეს) საკუთარი ხელით ჩაუწერია: **„ვინც მ. კოსტავას ფონდს „იცავს“, გივი ლომინაძის (მინისტრი აფხაზეთის ასსრ შს სამი-**

ნისტროსი) ნასედკები იყვნენ. მისი და ვაჟა ადამიას შეთანხმებით იყვნენ შეგზავნილი ფონდში.

მურმან სიგუა ვაჟა ადამიას კაცი იყო... (აქ ვერ ამოვიკითხე ს. საჯ.) იჯდა ციხეში მკვლელობისათვის... 1991 წლის თებერვალში გივი ლომინაძის ხალხს მოაკვლევინეს (ცოდვა დამბრალებელს ჰქონდეს). როგორც ცოცხლად გადარჩენილმა მალხაზ ქორჩილავამ განაცხადა, მურმანს ემზარ კვიციანმა ესროლა. მალხაზ ქორჩილავა რუსლან მიქაბერიძის ნათესავია. ვაჟა ადამიამ მალხაზ ქორჩილავას მისცა სახლის შესაძენად 100 000 მანეთი (მასალა ხელნაწერის სახით ინახება ივანე შერვაშიძის არქივში).

დიახ, აწგანსვენებული მურმან სიგუაც და მალხაზ ქორჩილავაც კრიმინალები, ნასამართლევები და ნარკომანები იყვნენ.

* * *

გივი ლომინაძემ ისეთი სიწმინდეც კი, როგორიცაა 9 აპრილი, თავისი კარიერისტული აღმავლობისთვისა და ქართველთა ეროვნული მოძრაობის მოსააღვირებლად გამოიყენა: 9 აპრილი, როგორც მოვლენა, ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი სანიშანსვეტო, გამომაფხიზლებელი და ღირსებაში ამღორძინებელი შინაარსი გახლავთ. ბუნებრივია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველმა მოსახლეობამ, ანუ ქართველობამ (იგივე აფხაზობამ, ე.ი. მეგრელობამ) ამ მოვლენაში დაინახა თავისი სულიერი გამოსარჩლების, ეროვნული სვლაგეზისა და ქრისტესმხედრული მარადიულყოფის, რაც მთავარია, „გასხვაქვეყნებული“ ოდაბადის დედან შინაარსში გამსაგნებელი ძალისხმევა. დიახ, ეს თარიღი სწორედ ისეთი გაშინაარსება გახლავთ, როდესაც ტარიგის ხსოვნა სამშობლოს მარადიულყოფაში ისაგნება.

როგორც მოგახსენეთ, რა თქმა უნდა, ასეთ მოვლენას სათავისო ქულების მოსაგროვებლად და ზურგის ქარად გამოიყენებდა ისეთი გამობრძმედილი ნაძირალა, როგორიცაა გივი ლომინაძე.

ამით ის სამ საქმეს აკეთებდა: 1. აღნიშნავდა და „პატივს მიაგებდა“ 9 აპრილს, რისგანაც იმ დროს საბჭოთა (მათ შორის „ქართული“) პარტნომენკლატურა არა მარტო თავს იკავევდა, ეწინააღმდეგებოდა კიდეც მას; 2. მერაბ კოსტავას ფონდს უხილავი სადავეებით იქვეშევრდომებდა და 3. ვინაიდან მისი წინადადებები არ მივიღე, ამ თარიღის გასწვრივ შეკრებილ საზოგადოებაში სახელს მიტეხდა და საზოგადოებრივი ასპარეზიდან მაძევებდა მე.

საქმე ისაა, რომ 9 აპრილის მემორიალს, როგორც ეროვნული ვინაობის ნიშანსვეტს, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სეპარატისტულ ეთნოკრატიასთან კრიჭაში დგომის ხასიათი არ უნდა მისცემოდა.

რადგანაც იმ დროს საბჭოთა პროპაგანდა 9 აპრილს „ქართულ შოვინიზმად“ განიხილავდა, ასეთი წნეხის გავლენის შედეგად „абхазец“-ური საზოგადოება, თავისი გაუთვითცნობიერებლობის გამო, მასში საფრთხეს ხედავდა. აქედან გამომინარე, ყოველგვარი ჰოოპუნა და თავგახურება უნდა გამორიცხულიყო.

ამის მიხედვით, მე, ჯერ კიდევ 1989 წლის შემოდგომაზე, დავითანხმე სოხუმის რაიონის ხელისუფლება, რომ იქ, სადაც (დღეს, სავსებით საფუძვლიანად წმინდანად შერაცხული) ბაგრატ III დროს აგებული „თამარ მეფის ხიდად“ ცნობილი და ქართული ასომთავრულით თავის ვინაობაზე მოღაღადე აქვითკირება მუხლმაგრობდა,სწორედ აქ აღგვემართა 9 აპრილის მემორიალი, მით უფრო, რომ ამავე ხეობაში იყო ბაგრატ III ციხის ნანგრევებიც, ირგვლივ უმეტესად ქართველობა მოსახლეობდა, რომელიც შესძლებდა მის დაცვას და ა. შ.

ამ საკითხის ასე გადაწყვეტა ქართული შინაარსის სადღეისო მოსაზღვრულობას თავისი დედანი წარსულის კვარცხლბეკზე ბუნებრივად აამშობლიურებდა.

ვინაიდან გივი ლომინაძეს სიმშვიდის ნაცვლად აულაგმავი აურზაური (პიარი) სჭირდებოდა, თანაც „დისიდენტური“ ხმაური, მან მიიმხრო ნუგზარ მგალობლიშვილი, მისგან მართვად მურმან სიგუასთან ერთად და 9 აპრილის მემორიალი გუდაუთის გზატკეცილზე, სოფელ აჩადარაში (მურმან სიგუას სახლის პირდაპირ, ბორცვზე) აღმართეს, რამაც აფსუა მოსახლეობასთან, რომელიც, როგორც გითხარით, იმ დროს ძირითადად კრემლის მიზნობრივი გავლენით იმართებოდა, ის სუსტი საურთიერთო ძაფებიც გაწყვიტა, რაც სასწაულებრივად იყო გადარჩენილი იმ ვითარებაში.

ამასთან ერთად ამაზრზენი ის იყო, რომ ხმა გაავრცელეს, ვინც 9 აპრილის მემორიალის მშენებლობაზე თავს გამოიჩენს, მას სახლის საყიდლად სესხს მივცემთო და ასე მოტყუებით გულწრფელი მოხალისეების გასწვრივ, მოუყარეს თავი მიზნობრივად საჭირო მუშახელს მ. კოსტავას ფონდთან მოურთიერთეთა რიგებიდან.

საბჭოთა ჩეკისტ გივი ლომინაძის მიერ 9 აპრილის მემორიალის გახსნა გათვლილი არ ყოფილა მის ნამდვილ შინაარსზე, იგი დევიზით „კბილი კბილის წილ“ ეხმიანებოდა 1989 წლის 15-16 ივლსს და მომდევნო დღეებში დარბეული ქართველი მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის კრემლიდან მიზნობრივად თავსმოხვეულ შორსგაუხედავ სულისკვეთებას. ამავე დროს, გამიზნული იყო აგრესორ-სეპარატისტთათვის წითელი ნაჭრის ასაფრიალებლად.

ამან ვითარება არა თუ დააცხრო, პირიქით, უკიდურესად დაძაბა: სეპარატისტული ეთნოკრატიის იატაკქვეშურმა ბიურომ სასტიკად მოსთხოვა ლევ ოტირბას - გუმისთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს (სოფელი აჩადარა ამ სასოფლო საბჭოში შედიოდა), რომ უმოკლეს დროში აღეგავა 9 აპრილის მემორიალი.

ეს მან ვერ (არ) გააკეთა, რაც იმ დღეებშივე „გაურკვეველ“ ვითარებაში სიკვდილის ფასად დაუჯდა. ამას დაემატა ისიც, რომ 9 აპრილის მემორიალის

მშენებლობაზე მუშახელად გამოყენებული ასობით ადამიანი, შეთანხმებისამებრ მიადგა ორგანიზატორებს, - მომეცით სესხი სახლის საყიდლადო!.. ამდენი ფული არ იყო, დაუწყეს გამოსავალს ძებნა და მიაგნეს კიდეც, - თქვენთვის მოსაცემი ფული ს. საჯაიამ მიითვისაო („შეჭამაო“)!..

... მაგრამ ეს არაფერი, ამასთან დაკავშირებით ჩემი თავსატეხებით თავს არ შეგაწყენთ, გეტყვით მხოლოდ მთავარს, ლევ ოტირბა, რომელიც 9 აპრილის მემორიალის კრიჭაში დგომის წესით აღმართვას შეეწირა, მიუხედავად ადრინდელი პარტნომენკლატურული ცოდვებისა თუ სეპარატიზმისაკენ მიდრეკილების ზოგიერთი აშკარა ნიშნისა, წინგახედული მოაზროვნე გახლდათ და ორპირი კაცი არ იყო.

ხმამაღლა შეგახსენებთ, რომ 1989 წლის 15-16 ივლისისა და მომდევნო დღეების განუკითხაობაში ჩვენ საერთო ძალისხმევით შევძელით სისხლისღვრისათვის საღი გონება დაგვეპირისპირებინა და სოხუმის რაიონში აღგვეკვეთა უმართავი ვითარება.

ამავე დროს, ასევე ხმისჩახლეჩამდე მოგყვირით კიდევ და კიდევ: როდესაც მას გავაცანით მერაბ კოსტავას ფონდის ამოცანები და დაინახა ამ ფონდის კეთილმოსურნეობა აფსუა მოსახლეობისადმი, მან დაიწყო ჩვენთან საქმიანი ურთიერთობა, რომლის შედეგად არაერთი გაუგებრობა ავიცილეთ თავიდან. აი, ეს კაცი გახდა მსხვერპლი იმ უგნურების, რომელიც არა მხოლოდ აგრესორ-სეპარატისტების მხრიდან მოდიოდა, არამედ მოთარეშობდა „ქართული“ და, პირველ რიგში, გივი ლომინაძის პარტოკრატიული წინგაუხედაობიდან.

ასე იყო თუ ისე, 9 აპრილის მემორიალის ვნებათაღელვამ ჩაიარა. გივი ლომინაძეს თვითდასამკვიდრებლად ახალი ხმაური სჭირდებოდა. ასეთად იქცა ქ. სოხუმში ე. წ. ციხის ბუნტი, რომლის სცენარი თავად გივი ნიკოლაევიჩმა შეადგინა და გასამრჯელოდ გენერლობა მიიღო. თუმცა მე ამ საკითხზე არ შევრჩერდები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ვირეშმაკობა გახმაურებულია საკმაოდ და მეც ერთ-ორგან მასზე ნასაუბრევი მაქვს.

* * *

1990 წლის იანვარ-თებერვალ-მარტისათვის ნუგზარ მგალობლიშვილი და მას მიკედლებული ბედის მაძიებლები (როგორც უკვე ვთქვი) „კოლხური კოშკიდან“ დათხოვნილები იყვნენ, მაგრამ გივი ლომინაძის გამჭრიახობამ გათვალა, რომ სწორედ ისინი გამოდგებოდნენ ხელისბიჭებად.

ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ჩემი „გაუვნებელყოფა“ დღის წესრიგში საბოლოოდ დადგა.

ჩემმა „დაცვამ“, გივი ლომინაძის მითითებათა შესაბამისად, დაიწყო კორუფციული გარიგებანი, სახელგამტეხი მოძრაობები, ცილისწამებების გავრცელება ჩემზე.

ამის შესაბამისად, მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სააფხაზეთო ნაწილმა, სადაც თანდათანობით ფეხი მოიკიდა გივი ლომინაძის ხელში მოქცეულმა საცეცებმა და რომელიც ნელ-ნელა გარეგნულად ნუგზარ მგალობლიშვილის „კანტორის“ შინაარსს იძენდა, თავისი მიზნებით დასცილდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სვლაგეზს და იგი აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გივი ლომინაძის იატაკქვეშური გეგმებისა და შავი ზრახვების გასასაგნებელ ბერკეტად იქცა აქედან გამომდინარე თავისი შედეგებით.

უფრო მეტიც, სწორედ მერაბ კოსტავას ფონდის მოსაზღვრულობაში მოხერხდა ნუგზარ მგალობლიშვილის „ანტი ჯაბა იოსელიანური ძალისხმევის“ გასაჯარისება, რის საფუძველზეც ხალხში „პეტოვიჩად“ ცნობილი შარლატანი და უჭკუო პოლიტ-ბიჭუნა „ზვიადის მომხრედ“ გამოჩორკნეს (რატომღაც დაივიწყეს, რომ 1988 წლის შემოდგომაზე ზვიად გამსახურდია დააბეზღა, ჩაუშვა, „სხადნიაკი“ მოუწყო და „გასარტყმელად გაიწია მასზე“).

ასეთ ვითარებაში მე ჩემი ნებით წამოვედი ამ ფონდიდან, ხოლო აქ დარჩენილი „ვაჟა ადამიას კადრები“ - თენგიზ და ველოდი ანთიები, მურმან სიგუა, რეზო კემულარია, გოჩა ბახია და მრავალი სხვა ოინბაზი იქცა იმ ლოდებად, რომლებზე გადაბიჯებით ნუგზარმა მოახერხა (უფრო სწორედ „სადაც ჯერ არს“ მოახერხებინეს) ფეხებდაუსველებლად გადაელახა დამაბრკოლებელი შმორი და „სალ კლდედ“ აღიმართა „კოლხურ კოშკთან“. ზემოაღნიშნული „ლოდებიდან“, როგორც უკვე გითხარით, ზოგი თავიდანვე იყო სათანადო სამსახურების საგორავი, ზოგი კიდევ სახელდახელოდ ჩაიხაფანგეს მათთვის მოწყობილ საცდურებში.

* * *

როდესაც ნუგზარ მგალობლიშვილის უჭკუობაზე ვსაუბრობ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნო მისი „ქსა-ჰარიქა“ დამოკიდებულება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მცხოვრებ ბერძნებთან..

ვინაიდან მე დედა ბერძენი მყავდა, იგი, როგორც გითხარით, გივი ლომინაძის დავალებით ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახოდა, რომ ბერძნები სეპარატისტებთან იყვნენ შეკრული და სერგი საჯაია მათგან არისო შემოგზავნილი ეროვნულ მოძრაობაში.

ამასთან დაკავშირებით გითხარით,ნუგზარ მგალობლიშვილის ხეპრული „სიფხიზლის“ ნიმუში არის მისი ცილისწამებები სოხუმის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ევსტაფი ანასტასიადის მიმართ, რომელზეც ხმებს ავრცელებდა, თითქოს იგი აგრესორ-სეპარატისტებისათვის საბრძოლო იარაღს ყიდულობდა (გახსოვთ, ევსტაფი ანასტასიადის „ანტიქართულ“ საქმიანობაზე მან წერილიც კი გამოაქვეყნა თვითგამოცემით ჟურნალ „ოქროს საწმისში“).

ზემოთ უკვე მოგახსენეთ და ახლაც გიმეორებთ, ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრეთ, თანაც იცოდეთ, არ იყო ევსტაფი ქართველების მტერი: 1989 წლის სექტემბერში პროფესორ ფელიქს ტყებუჩავას თანდასწრებით ამასთან დაკავშირებით ვესაუბრე ბატონ ევსტაფის, რომელმაც მისთვის ჩვეული ხუმრობით მიგვანიშნა, - მე თავიანთ წილს ვაძლევ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის „абхазец"- მდივნებს, ისევე, როგორც ქართველ მდივნებსო, თუ „абхазец"-ები იარაღს ყიდულობენ ამით, ქართველებმაც იყიდონო.

ეს ხუმრობით. იმხანად სწორედ ევსტაფი ანასტასიადის მონაწილეობით დავიწყეთ ჩვენ პროფესორებთან ფელიქს ტყებუჩავასთან, შამილ ცხვედიანთან, გივი კილასონიასთან და ა. შ. ერთად ბერძენ მოსახლეობაში მუშაობა, რათა კრემლის მიერ პროვოცირებული ავანტიურებისა და პროვოკაციებისთვის სათანადო საპირწონეები მიგვეჯეგირებინა. ზოგიერთი რამ ამაზე ასახულია იმ დროის პრესაში.

დიახ, მასთან ერთად მანამდე და შემდგომშიც საჭირო მუშაობა ჩატარდა, რათა 1989 წლის 15-16 ივლისის მომდევნო დღეებში არ მომხდარიყო კრემლიდან შემოძღოლილი გაუგებრობა ბერძნებსა და ქართველებს შორის.

იმავე ევსტაფი ანასტასიადის მხარდაჭერით 1991 წლის 17 და 31 მარტს ბერძენი მოსახლეობა გვერდში დაუდგა სრულიად საქართველოს სახალხო ნებას, როდესაც ბოიკოტი გამოუცხადა ჯერ ე.წ. სსრკ ერთიანობის რეფერენდუმს და შემდეგ მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებს 1992-93 წლების საომარი ავანტიურის დროს ქართველი მეზობლებისათვის ზურგში მახვილი არ ჩაუციათ. ის კი არადა, 1993-94 წლებში არაერთი იქ ჩარჩენილი ჩვენებური შეიფარეს და ასევე მრავალ ქართველ პარტიზანს გაუწიეს დახმარება. ამ მხრივ აღსანიშნავია მის კოლმეურნეობაში ჩატარებული მიტინგი 1989 წლის სისხლიანი ივლისის დროს, როდესაც იგი ჩვენს გვერდით ღიად დადგა და ეს ყველაფერი სოხუმის რაიონის გაზეთშიც გაშუქდა.

ეს ყველაფერი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აგრესორ-სეპარატისტებს და 1993 წლის გვიან შემოდგომაზე ბესლეთის ხეობაში პედაგოგ მერი ანასტასიადის (ბატონ ევსტაფის ბიძაშვილისშვილის) სახლში შეამწყვდიეს 30-მდე მშვიდობიანი ბერძენი, მათ შორის ძირითადად ქალები, ბავშვები, უმწეო მოხუცები და ცოცხლად ამოწვეს მეზობელ ქართველებთან ერთად. აი, როგორ „გვმტრობდნენ" ისინი.

ასეთი შემზარაობის შემდეგ მაინც, წესით ნუგზარს უნდა მოენანიებინა მის მიერ ბერძნებზე გავრცელებული ცილისწამებები, მაგრამ ის უღმერთოა და მისი იმდროინდელი ავყიოზები დღემდე ანაგვიანებს ბერძნებისა და ქართველების კეთილმეზობლობას.

ათეისტ ნუგზარ მგალობლიშვილის „სიფხიზლე" ასევე გავრცელდა 1989 წელს სულნათელ იური ანუაზე - მომავალში დედა ეკლესიის სტიქაროსანზე და იპოდიაკონზე, როდესაც მან ცილი დასწამა მას, თითქოს, იგი აგრესორ-სეპარატისტებს

ამარაგებდა საბრძოლო იარაღით. სამწუხაროდ, ეს ნაყალბევი დაიჯერა ზოგიერთმა თავგახურებულმა მეზობელმა და კაცს, რომელმაც აღადგინა იოანე ოქროპირის სახელობის ქართული ასომთავრულით მოღაღადე ეკლესია და წმინდა ვასილისკოს სიწმინდეები. ადამიანი, რომელიც აფხაზეთის სახალხო შინაარსის სადარაჯოზე ქართველი მღვდლის მამა ანდრია (პაატა) ყურაშვილის გვერდით დახვრიტეს სეპარატიტებმა, ნუგზარის, ანუ გივი ლომინაძის მითითებით „არაკეთილსაიმედოდ“ მიიჩნეოდა. თუ რა უპასუხისმგებლო, უჭკუო, უსაფუძვლო და ქალაჩუნური იყო ასეთი „სიფხიზლის“ აწარამარება, ამაზე ვრცლად მოგვითხრობს ანზორ გაბიანისა და ქეთი ჯაყელის წიგნი „დაპირისპირების საიდუმლო“ (თბილისი, 2005 წ.).

სხვათა შორის, იური ანუა, რომელიც ეროვნულ და სარწმუნოებრივ აღორძინებაზე ზრუნავდა, ვერ ჯდებოდა აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სეპარატისტული წყობის მუშაკთა თვალსაწიერშიც და მათ მიერ ე. წ. ობეხეესს დაევალა ქართველი ჩინოვნიკებისა და მოხალისეების ხელით მისი გაფუჭება ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში.

კერძოდ, იმხანად სოხუმის რ-ნის სოფელ შრომას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ კუკური ციმინტიამ, ერთხელ სოხუმის რაისაბჭოს რომელიღაც ღონისძიებაზე მე და ცნობილ პედაგოგ დავით შონიას წაგვეტრაბახა, რომ საქმოსან იური ანუაზე საგანგებო დავალება მიიღო სოხუმის რაიონის შს განყოფილების ობეხეესის უფროსის, ვინმე ფარულავასაგან.

მე მას ვუთხარი, რომ ჯერ ერთი, იური ანუა გავლენიანი ადამიანების, მათ შორის დაფასებული ქართველების ძმაკაცია, მეორეც, იგი სახალხო საქმიანობას ეწევა, ხალხმა ეს იცის, თუ დაუპირისპირდები დამარცხდები, თან სახელსაც გაიტეხ, ამიტომ, დღესვე ნახე, უთხარი, რომ დაბეზღებულია ობეხეესში. ამით ორ კურდღელს დაიჭერ, იური ანუაც დაგიმეგობრდება და შარშიც არ გაეხვევი მეთქი. ასეც მოიქცა.

ამრიგად, აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროს, რომელსაც უკვე სეპარატისტული ეთნოკრატიის ნაცვლად „ქართული“ პარტოკრატია მართავდა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გივი ლომინაძის სახით, ქართველი მამულიშვილებისადმი ჩასაფრებული დამოკიდებულება არ შეუცვლია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთიც: 1990 წლის ოქტომბერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ასარჩევი დეპუტატობის კანდიდატთა სია „მრგვალი მაგიდიდან“, ესეც ზემოთ ვთქვით, უკვე წითელ გენერალ გივი ლომინაძის სამუშაო კაბინეტში დაიწერა (ამ დროისთვის, მან მოახერხა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში არათუ შეღწევა, სადირექტივო რწმუნებათა გაპიროვნებაც).

ორიოდე გამონაკლისის გარდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) „მრგვალი მაგიდის“ სახელით ასე მოხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში. ამათგან თითქმის სუყველანი, გივი ლომინაძის პოლიტი-

კური ცრუმოძრაობების შესაბამისად იყვნენ „არჩეულები“ და პირდაპირ ვიტყვი, მრავალი მიზეზის გამო, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის კარგი კაცობისა, ვიმეორებ, მათ არ შეეძლოთ პოლიტიკური თავსატეხებით დატვირთული რონოდებისთვის გამოებათ ცალუღი, შემოემარხილებინათ იგი და ეზიდათ. ისინი არ შეესაბამებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და აფხაზეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სახალხო განაწესს.

ამავე დროს, არც ერთი მათგანი არ ყოფილა 1989 წლის 15-16 ივლისს პროვოცირებული ქართველთა ჟლეტისა და ეთნიკური წმენდის მცდელობის დროს სოხუმის მოსახლეობასთან. მართალია, ამ „არჩეულთაგან“ ზოგიერთი, როგორც გითხარით, თავიანთი ადამიანური თვისებების გამო, პატივისცემის რაღაც ხარისხს იმსახურებდა, მაგრამ გულწრფელი არ ვიქნები თუ კი არ აღვნიშნავ, რომ მათ აფხაზეთის მოსახლეობისაგან არ გააჩნდათ მეთქი ის ნდობა, რაც უნდა ჰქონდეს სახალხო წარმომადგენელს. რაც მთავარია, ჯერ ერთი, კიდევ და კიდევ ხმისჩახლეჩამდე ვყვირი, - ხალხი მათ არც იცნობდა და მეორეც, არ გააჩნდათ სათანადო პოლიტიკური სიბრძნე, წინდახედულება და შორსგახედვის უნარი, არც საამდროოდ საჭირო დიპლომატიური უნარ-ჩვევები, სამართლებრივი განსწავლულობა საყველ-პურო დონეზე მაინც და ა. შ. სამაგიეროდ, მათ შორის იყვნენ ლოთებიც, ნარკომანობისკენ მიდრეკილები, ორპირები, თაღლითები (ამდენად, ადვილად დასახაფანგებლები) და მისთანანი.

არც ერთი მათგანი 1990 წელს არ შემომშველებია თანამოსანგრედ, როდესაც სეპარატისტული ეთნოკრატიის გასწვრივ ვებრძოდი იგივე სინჯის „ქართველ“ პარტოკრატთა ორპირულ ბუნებას (გასაგნებულს გივი ლომინაძეში). ისინი მაშინ არათუ გვერდში დამიდგნენ, პირიქით, დასწრების წესით მიეერთბაშნენ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის (აფხაზეთისთვის) არასახალხო, მეტიც, საბედისწერო ძალისხმევასა თუ თვითდამკვიდრებებს. კი ბატონო, ეს ჩემი უბედურებაა, მაგრამ ქვეყნისათვის დამღუპველი ის გახდა, რომ მათგან თითქმის სუყველამ, სხვადასხვა გამოვლენით დააღალატეს ეროვნული ხელისუფლება, რითაც ხელი შეუწყვეს საფხაზეთოდ კრემლში დაწერილი დამანგრეველი პროგრამის თავაუტკივებლად განხორციელებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

თუ რა „პოლიტიკური დრიბლინგების ცეცხლი დაანთეს მათ საქართელოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში“, ეს ცნობილია სრულიად საქართველოსთვის, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ სამარცხვინო და უსაქმური იყო მათი ყოველი ჩამოსვლა სოხუმში. მათგან ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავია, თემურ ლორთქიფანიძე, ზვიად ნადარეიშვილი და ა. შ. დღე და ღამ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გივი ლომინაძის კაბინეტში ათევაღამებდნენ.

მეორე ნაწილის ერთი ქვერაოდენობა ქ. სოხუმში, რუსთაველის სახელობის სანაპიროზე, კაფე „ნართას“ საპირფარეშოში არწყევდა ჩანახეთქს. რაც შეეხება

მეორე ქვერაოდენობას... მოკლედ ამაში თქვენ თვითონ გაერკვიეთ, მე ვთქვა ყველაფერი?!.

ამასთან დაკავშირებით, ხმამაღლა ვამბობ, რომ ჯერ კიდევ 1991 წლის 2 სექტემბრიდან, როდესაც ეროვნულ ხელისუფლებაში შეღწეულმა არაკეთილსაიმედო ძალებმა მოახერხეს ქ. თბილისში ვითომ ოპოზიციის „დარბევის“ პროვოცირება, წითელმა გენერალმა გივი ლომინაძემ და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მოსაქმიანე, - მის მიერ საძირგამომთხრელოდ დარაზმულმა ე. წ. „მრგვალი მაგიდის“ „ზეპურმა“ („ელიტარულმა“) ნაწილმა (ნ. მგალობლიშვილი, თ. მჟავია, თ. ლორთქიფანიძე, ზ. ნადარეიშვილი, გ. სუბელიანი) დაიწყეს საზოგადოებაში იმ აზრის შემოთახსირება, თითქოს ასეთ აწეწილ ვითარებას „ზვიად გამსახურდიას გამოუცდელობა“ კიდევ უფრო შეათრევდა ჩიხში. საქართველოს საკეთილდღეოდ გამოსაყენებელი იყო ედ. შევარდნაძის „საერთაშორისო ავტორიტეტი და გამობრძმედილობა“.

ამ აზრს აფხაზეთში გივი ლომინაძე და ე. წ. მრგვალი მაგიდიდან მისი ხელისბიჭები უფრო საყოველთაო ფრონტით ავითარებდნენ 1992 წლის დასაწყისიდანვე, როდესაც სისხლიანმა ხუნტამ ძალაუფლება ხელში ჩაიგდო.

იმ დროს ბრმა იარაღად გამოყენებული ხეპრისთვისაც დღეს უკვე აშკარა გახდა, რომ გივი ლომინაძე, თავის ხელისბიჭებთან ერთად, არასოდეს არ ყოფილა ზვიად გამსახურდიას, უფრო სწორად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაყრდენი. როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი ველოდი მირცხულავა იგონებს, მას 1992 წლის იანვარში გივი ლომინაძე შეხვედრია და გადაბირება **მოუნდომებია. „ - რას იტყვი, ველოდი ბატონო, მოვიყვანოთ დროებით ეს „ჩათლახი“ (ედ. შევარდნაძე იგულისხმა), დავამყარებინოთ წესრიგი, ამის შემდეგ გავაგდოთ და ისევ ზვიადი ჩამოვიყვანოთო“.**

ასეთმა ვირეშმაკობამ და თვალთმაქცობამ თავსმოხვეულ პოლიტიკურ ხლართებში ვერ ჩახედულ საზოგადოებაში წითელ გენერალს მაშინათვე მომხრეები შესძინა და მან ხუნტის დასაყრდენად აფხაზეთში, ზემოთაც გითხარით ეს, „ქართული“ პარტოკრატიის თანამონაწილეობით შექმნა პოლიტიკური ორგანიზაცია **„ეროვნული ერთიანობის საბჭო.“** იგი, როგორც თამოსაქმიანე, „დემოკრატიული საფიხვნო“ და „ძველბიჭური სხადნიაკი“,ედ. შევარდნაძისა და სისხლიანი ხუნტის „სახელმწიფო საბჭოს“ დაკვეთებს ასრულებდა აფხაზეთში. მან აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიასთან ერთად უზრუნველყო პირობები, რათა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლის მითითების შესაბამისად ჯერ თადარიგი დაეჭირა, ხოლო შემდგომ საომარი ავანტიურა მოეხვია თავს ამ კუთხისათვის. ამით კი, თავის დროზე მოხერხდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პოლიტიკურ-სამართლებრივი მოგლეჯა დედა საქართველოსაგან. აქ ყველაზე საგანგაშო ის იყო, რომ ამ საქმეში ედ. შევარდნაძის თანამიმდევრული თანამოსაქმე სავსებით მოხალისედ, ერთგავარი ანტიზვიადისტური შთაგონე-

ბითაც კი, გახდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქცია, რომელიც 1991 წლის სექტემბერში ასევე წითელ გენერალ გივი ლომინაძის კაბინეტში შედგენილი „სამრგვალმაგიდო“ (ე. ი. ზვიად გამსახურდიას, ანუ ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა) სიის მიხედვით აარჩევინებს „ქართული“ პარტოკრატიის მიერ თვალებში ნაცარ შეყრილ ხალხს.

* * *

აქ ცოტა შევისვენოთ და ყოველივე ამის წინარე მოვლენები გავიხსენოთ: როგორც იცით, 1988 წლის 1 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დავალებით და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი და ღვიძლი ქართველი მოსახლეობის ძალისხმევით ქ. სოხუმში უნდა გამართულიყო მიტინგი. ამასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საქმეების თავკაცად რატომღაც დასახელდა ნუგზარ მგალობლიშვილი, რომელმაც მანამდე (უკვე გითხარით და დაიმახსოვროთ უნდა), ცოტა ხნის წინ ზვიად გამსახურდიას ცილი დასწამა, ნუგზარის პროვოკაციამ კიდევ უფრო გაამძაფრა დაძაბულობა ბატონ ზვიადსა და ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზოგიერთ წევრს შორის და ე.წ. სუდილიშჩე მოუწყვეს მეთქი ზვიადს კოკა გაწერილიას სახლში (ქ. თბილისი). ის კი არა და ამ კაცუნამ, გასარტყმელადაც „რომ გაიწია“ ბატონ ზვიადზე, მგონი ესეც გაუწყეთ.

ეს „სუდილიშჩე“ იმ ხანად პროვოკაციული მონტაჟით აჩვენეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხითაც.

ამ ყველაფრის გამო, სახელშერყეული ნუგზარ მგალობლიშვილის მოწოდებაზე აფხაზეთის საზოგადოება ქუდზე კაცად არ გამოვიდა.

* * *

დავუბრუნდეთ სოხუმს: დანიშნულ დროს თბილისიდან და საქართველოს სხვა და სხვა რაიონიდან მერაბ კოსტავას მეთაურობით თბილისის მატარებელს ჩამოჰყვა მრავალი მომიტინგე. ეს ცნობა როგორც კი გავრცელდა ქალაქში, სწორედ, მათ გვერდით დასადგომად და საკუთარი ეროვნული ღირსების დასაცავად რამდენიმე წუთში ქართული საზოგადოება ქუჩაში გამოვიდა.

ამასთან დაკავშირებით, 2016 წლის 25 დეკემბერს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ ეკრანიდან ნუგზარ მგალობლიშვილმა უტიფრად (ე. ი. თავი ხალხზე მაღლა დაიყენა) განაცხადა, რომ **„მაშინ აფხაზეთში ქართულ საზოგადოებას შეეშინდა და არ გამოვიდაო“.** ეს არის ტყუილი. სისწორე კი ისაა, რომ აფხაზეთის წინგახედული მოსახლეობა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ სოხუმის იაფფასიანი სასადილოების კარებთან „საჩანგლოდ“ ატუზული პეტრე მგალობლიშვილის შვილი („პეტოვიჩი“), არაფრით არ იქნებოდა მამაზე უკეთესი, ამიტომ მისი სახმობის ქვეშ არ დაირაზმა, მაგრამ, როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ უხმო, ვერავინ აეჯე-

ბირა და გამოიჭრა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად.

რაც შეეხება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სიას, რომელიც წელან ვახსენეთ, მის შედგენას უფრო დინჯად, გივი ლომინაძის პოლიტიკურ ცრუ-მოძრაობათა შესაბამისად, „абхазец“ აგრესორ-სეპარატისტებთან გარიგების მიხედვით დაესვა წერტილი. სამწუხაროდ, იგი გასაჯარისდა „მრგვალი მაგიდა - „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური ორგანიზაციის შეხედულებად. ის კი არა და, „გაჩალიჩდა“ პირადად ზვიად გამსახურდიასაგან „მოწონებულადაც“ კი. მეტიც, სწორედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინა საღამოს (1991 წლის 28 სექტემბერს), საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით, პროგრამა „მოამბის“ გაგრძელებად, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიესალმა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას მომდევნო დღისათვის, - წითელი გენერლის გივი ლომინაძის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ნუგზარ მგალობლიშვილისა და იმხანად საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრის მანანა ძოძუაშილის „გაიმასქნებით“ ეს სია „საქართველოს ჰელსინკის კავშირის სარეკომენდაციო ცნობად“ მიება საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას, რის გამოც, ამ საქმეში ჩაუხედავს შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ბატონი ზვიადის აზრს ახმოვანებდნენ.

სამწუხაროდ, საარჩევნი განუკითხაობა ამით არ დამთავრებულა: ასე მაგალითად, გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარის №48-ე საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრიდა ნუზარ მგალობლიშვილი, მან თავის მეტოქეს, სახალხო ნდობით მხარდაჭერილ ედუარდ შანგუას ნარკომანებისა და კრიმინალების ჯგუფი მიუსია, თან ცეცხლსასროლი იარაღით (მათ შორის РПК-თი, ანუ კალაშნიკოვის ხელის ტყვიამფრქვევით) დამუქრებისა და ცოლ-შვილის აწიოკების გასწვრივ თავისი კანდიდატურა მოახსნევინა. ეს სისაძაგლე და ბოროტმოქმედება, რომლის მესადავე გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი, მანანა ძოძუაშვილი და ა. შ. გახლდნენ, „ზვიად გამსახურდიას ღონისძიებად“ გასაჯარისდა ხალხში, რამაც დიდი გულგატეხილობა და გაკვირვება გამოიწვია საზოგადოებაში.

აქვე უნდა შეგახსენოთ, რომ, როგორც პროფესორი ლორიკ მარშანია იხსენებს თავის წიგნში (Лорик Маршания, „Провда о трагедии Абхазии“, Тбилиси, 1997г. стр. 23-25) და რაზეც წინამდებარე ნაშრომის წინა წიგნებშიც მოგახსენებდით, არჩევნებამდე, 28 სექტემბრის საღამოს ბატონ ლორიკს საკუთარ სახლში ნუგზარ მგალობლიშვილი თემურ მჟავიასთან და ოდიოზ თანმხლებლებთან ერთად ეწვივნენ და ჩვეული თავგასულობით არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის მოხსნა ვლადიმერ არდაშის ძე აშხაწავას სასარგებლოდ მოსთხოვეს, რაზეც მასპინძელმა სასტიკი უარი განუცხადა (№ 60-ე ოჩამჩირის პირველი საარჩევნო ოლქი). მართალია, ამ საარჩევნო ოლქში მეორე ტური დაინიშნა ლორიკ მარშანიასა და ვლადიმერ აშხაწავას შორის, მაგრამ ეს მეორე ტური, რომელიც ორი კვირის შემდეგ უნდა ჩატარებულიყო (იხ. გაზეთები „აფსნი

ყაფში“, „საბჭოთა აფხაზეთი“ და „Советская Абхазия“, 1991 წ. 1 ოქტომბერი), არ შედგა, რადგან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მომდევნო დღეებში გამარჯვებულად ვლადიმერ აშხაწავა - პირწავარდნილი აგრესორ-სეპარატისტი გამოცხადდა, რომელმაც 1992-93 და შემდგომ წლებში თავი გამოიჩინა ქართველთა ეთნიკურ წმენდებსა და გენოციდში (პირადად ხელმძღვანელობდა ტყვედჩავარდნილ უმწეო ქართველთა წამებასა და დახვრეტას).

სოხუმის რაიონის №65-ე ზემო კელასურის საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს მე, ჯემალ საჯაია და თემურ მჟავია ვიყრიდით, მართალია, ასევე პრესაში გამოცხადდა (გაზეთები „საბჭოთა აფხაზეთი“, „აფსნი ყაფში“ და „Советская Абхазия“, 1991 წ. 1 ოქტომბერი), რომ ჩემსა და თემურ მჟავიას შორის მეორე ტური დაინიშნა, მაგრამ არც აქ ჩატარებულა გამოცხადებული მეორე ტური, რადგან ნუგზარ მგალობლიშვილსა და თემურ მჟავიას ქართველთა სისხლისმსმელ ვლადიმერ არდაშის ძე აშხაწავას „გასამარჯვებლად“ დაღვრილი ოფლი დაუფასდათ, - სოხუმის რაიონის №65-ე ზემო კელასურის საარჩევნო ოლქიდან აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად თემურ მჟავია გამოცხადდა მეორე ტურის არჩევნების ჩაუტარებლად, ანუ მოხდა გაუგონარი ბოროტმოქმედება, სისხლის სამართლის დანაშაული: ზემოთხსენებულ საარჩევნო ოლქებში „დეპუტატები“, ყოველგვარი ახსნა-განმარ-ტების გარეშე, პირდაპირ დაინიშნენ.

რა თქმა უნდა, ასეთ საბედისწერო გარიგებასა და ათარეშებულ დაუსჯელობას ზურგს აგრესორ-სეპარატისტებთან გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ შეთანხმება უმაგრებდა, ამიტომაა მათი გავლენა ე. წ. აფხაზეთის ა/რ-ის დევნილ უმაღლეს საბჭოზე დღემდე აულაგმავი

აქედან გამომდინარე, სამწუხაროდ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში ელიტარული კორუფციის წინააღმდეგ საზოგადოების ერთ ნაწილსა და ჩემს პროტესტს თავისი გაგრძელება არ მოჰყვა, რადგან მისმა მეორე ნაწილმა თავისი უმოქმედობითა და ზოგიერთ შემთხვევაში ღალატით ილაჩრა, რითაც კიდევ ერთხელ მიჰყიდა ეშმაკს სული. ამავე დროს გია ბარამია - აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარე და ჯემალ გამახარია - იმხანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბ-ჭოს კომისიის თავმჯდომარე, რომლებიც პირველ ხანებში თითქოს იკაპიწებდნენ ელიტურ კორუფციასთან შესარკინებლად ხელებს, ყოფნა-არყოფნის წუთებში, როგორც ჩანს, აქ ელიტური კორუფციის მხარდასაჭერად მოსული სოსო თოფურიძის მუქარას დაემორჩილნენ ან კიდევ სარფიან საცდურს გაურიგდნენ, რითაც მართა-ლთა ძალისხმევას ზურგში მახვილი ჩასცეს. როგორც იტყვიან, „ქვეშ გამოსვლა არჩია“ იმ ხალხმაც, რომელთაც წესითა და წინასწარი დათქმით, ოღონდ ხმა ჩვენ ამოგვეღო და თვითონაც საზოგადოების გვერდით ჩასანგრდებოდნენ. ჯემალ გამახარიასა და გია ბარამიას აზრით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს ნაძირ-ლები ხელმძღვანელობდნენ - ამასთან დაკავშირებით იხილეთ ამ წიგნის წინა ნაწილებში დამოწმებული ბატონ ჯემალის განცხადებები და ოფიციალური ინტე-

რვიუები პრესაში, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გივი ლომინაძის და მისი ხელისბიჭების (შეთქმული თვრამეტიანელის, მათ შორის გ. გვაზავას, რ. ცატავას, რ. ქირიას, დ. გვაძაბიას, ა. წოწონავას, ნ. მგალობლიშვილისა და ა. შ.) ხელუსუფთაობა დათარეშობდა. ეს დადასტურდა 2019 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ტელევიზიებითა და პრესით ფართოდ გაშუქდა ბიუჯეტიდან თანხების დატაცება და არამიზნობრივად ხარჯვა მათ მიერ, რაც გამოავლინა სახელმწიფო აუდიტმა.

ამავე დროს, ასევე ვამხელ აფხაზეთიდან დევნილთა საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელმაც თავისი მედროვე, უგნური, წინგაუხედავი, გაუმართლებელი ყოვნით მე კი არა, პირველ რიგში, საკუთარი თავი დაიღალატა. ის, რომ ჩემს გვერდით დამდგარიყო 2011 წლის 1 თებერვალს, როდესაც მე აქციები დავიწყე, შემდგომში თვითონ მას არ დასჭირდებოდა ამავე საკითხზე უშედეგო წვალება.

* * *

დიახ, 1991 წლის სექტემბერში, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, უკვე გენერალმა გივი ლომინაძემ აფხაზეთიდან გამოსული კრიმინალებისა და ნარკომანების, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანების მობილიზაცია გამოაცხადა მთელს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აფხაზეთში საყაზარმო მდგომარეობითა და და საველე-სასანგარო წესით მოახდინა მათი დისლოკაცია და ისინი მოითადარიგა ამომრჩეველთა დასაშინებლად (ყოველივე ამას ანუ ამომრჩევლის დატერორებას სათავეში ედგნენ ნარკომანები, ჯიბის ქურდები, ყაჩაღები, ბანქოს მოთამაშეები და ა. შ. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ნარკომანი მალხაზ ქორჩილავა, რომლის თანდასწრებით, როგორც გახსოვთ, საეჭვო ვითარებაში მოკლეს მურმან სიგუა, ჩემს გასაუვნებელსაყოფად თავს არ ზოგავდა რეზო ლემონჯავა...).

ასეთი ღონისძიება მეც ვიწვნიე, როდესაც სოხუმის რ-ნის ახალსოფელში ამომრჩევლებთან შეხვედრაზე გამოვცხადდი.

ჰოი, საოცრებავ, გივი ლომინაძის მიერ ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ დაგეშილი ერთ-ერთი ხროვა, რომელიც წინა წელს ვითომ „ჩემი დაცვა“ იყო, უკლებლივ აქ ჩაფეხისალაგდა და უტიფრად ისეთ ცილისწამებებს გაიძახოდა ჩემზე, ადამიანს სიცოცხლეს შეგაზიზღებდა.

ეს იყო იმაზე უფრო ქუჩისფრესკული მოვლენა, რისი წარმოდგენა მკითხველს შეუძლია.

სხვათაშორის, ზემოთხსენებულმა რეზო ლემონჯავამ, რომელიც მაშინ მათ რიგებში აქტიურობდა, 1992 წლის ზაფხულს, ერთ-ერთ წრეში (ნუგზარ ლატარია, გაიოზ მეტრეველი, რევაზ ხარებავა), მინდა ვიფიქრო, რომ შერჩენილმა კაცობამ შეაწუხა და გულწრფელად მომიბოდიშა ამის თაობაზე.

ჩემზე ცილიწამების გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავდა ჩემს მიზნობრივ ბლოკირებას, სახელგატეხვასა და გაუვნებელყოფას ეროვნულ მოძრაობაში, ჰქონდა არა შემთხვევიდან შემთხვევამდე **„ხოში მაქვს და ვაკეთებო“**-ს ხასიათი, არამედ მას სისტემური შინაარსი მიეცა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ნუგზარ მგალობლიშვილის მოძლიერება „კოლხურ კოშკში“ და ამ გზით გივი ლომინაძის შეღწევა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ განფენილობასა თუ ორგანიზაციულ წესრიგში (უფრო სწორად, ეროვნული მოძრაობისთვის თავსმოხვეულ მიზნობრივ ქაოსში), რასაც უნდა მოჰყოლოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართული საზოგადოების სახალხო საქმიანობაში მისი პირველ კაცად დამკვიდრება. მეორეც, მასთან ერთად ყოველმიზეზგარეშე აღსასრულებელ მიზნად დაისახა იქ, „სადაც ჯერ არს“, - ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ ლოკომოტივობით აფხაზეთში აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიის ტყუპისცალის, „ეროვნულად“ გადაცმული „ქართული“ პარტოკრატიის გათრევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „დარაზმულობად“ და „ფეხაწყობად“.

ამასთან დაკავშირებით ერთი ნიშანდობლივი ამბავი უნდა შეგახსენოთ: როგორც გახსოვთ, აფხაზეთის დევნილი საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელმაც შიმშილობის აქციები მოაწყო 2013 წლის ნოემბერში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს კოლაბორაციული და კორუფციული საქმიანობის წინააღმდეგ, როგორც ის მაშინ აცხადებდა, **„-უკიდურეს ზომებს მიიღებდა თუ კი ეს სახელგატეხილი ნომენკლატურა არ გადადგებოდა“.**

მართალია, ამ ხალხმა თავის დროზე დამაღალატა, თან იმ ხანად სწორედ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ერთ ნაწილთან მათი კორუფციული საქმიანობის გამო მქონდა სასამართლო დავა, სადაც ამ აქციის წევრთაგან არავინ დამდგომია გვერდში, მაგრამ რაკი მთხოვეს, მივედი.

საინტერესოა, რომ მათ საორგანიზაციო საქმეებზე სათათბიროდ მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის ეზოში მდებარე ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობაში საკმაო ფართი დაიქირავეს, სადაც თათბირებს ატარებდნენ ზაურ ბედიას, ავთო დავითაიასა და ზაურ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით. ზაურ ბედიას რაც შეეხება, მას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი ის სინამდვილე, რაც დაკავშირებულია ზვიად გამსახურდიას იჯევანიდან გროზნოში გადაყვანასთან. ეს საქმე სულაც არ ემთხვევა იმ მონაჩმახს, რაც ვრცელდებოდა ზოგიერთი თვითმარქვიას „მამულიშვილობაზე“, „თავგანწირვაზე“, „უანგარობასა“ და ამისთანებზე.

ყოველ შემთვევაში ეს თვისებები იმ საქმის მიზნობრივად ხილულ და სახელგავარდნილ ფიგურანტებს არ ახასიათებთ, ხოლო საქმის ნამდვილი შინაარსის მიჩქმალვა მაშინ ზვიად გამსახურდიას საქმისათვის მართლა თავგანწირულებს აძლევდათ ხელს. თავის დროზე ეს გაცხადდება.

მეორეც, ზაურ ბედია, რომელიც წითელი გენერლის გივი ლომინაძის ახლო ნათესავია, ასევე მისი ახლობელია ედ. შევარდნაძის დროს შს თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსი, გენერალი სოსო ალავიძე, - 1993 წლის შემოდგომაზე ქ. ზუგდიდში ცდილობდა ჩემს დარწმუნებას იმაში, რომ „ზვიადი მორჩა“ და ახლა გივი ლომინაძეს უნდა დავდგომოდი გვერდში. სხვათაშორის აქ, თბილისში მისი ეს მცდელობა სხვანაირად და შორსგამიზნულად გაუსაჯარისებია ამას წინათ, - „საჯაია მთხოვდა, გივი ლომონაძესთან საქმის ჩაწყობასო“...

ამაზე სასუბროდ ამჯერად ნამდვილად დრო არ მაქვს, ზაურ ბედიას „გმირობათა“ საკითხი ცალკე თემაა, რაზედაც (თუ უფალმა ინება) მოვიცლი. ახლა ვილაპარაკოთ აქციის შედეგზე და ზოგ რამეს ისედაც მიხვდებით თქვენ თვითონ.

* * *

წუთშესვენება: 2017 წლის 31 მარტს დიად ქართველთა საუფლოში, მთაწმინდაზე ავედი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისა და ჩვენი აღორძინების თარიღის აღსანიშნავად. ის იყო, სანთელი ავანთე, რომ პირმოთნის ხავილით მოიჭრა ჩემთან ზაურ ბედია და იქ მდგარ ბიჭებს - ნუგზარ შავთვალაძეს, დავით შონიას, ვალერი გაბელიას და ა.შ. მიუაფერისტა: „ნაძირალა გივი ლომონაძეს ზუგდიდში ამ კაცის დაჭერა უნდოდაო!.. ბატონო სერგი, მე წიგნი დავწერე თქვენს გმირობაზეო.“

არ ვიცი რა დაწერა ცხრა ოხერთან ერთდროულად შეკრულმა ზაურ ბედიამ, მაგრამ ამ მედროვეს სურდა აქ თავმოყრილ ხალხში მოწმედ გამოვეყენებინე, თითქოს ის ჩემს, ანუ იმხანად 1993 წლის შემოდგომაზე დასავლეთ საქართველოში აღდგენილ ხელისუფლებაში აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის საგანგებო დავალებებს ასრულებდა.

ერთხელ მთხოვა ორხიდიანი მანქანა, დეევნილებს ჩამოვიყვანო. სინამდვილეში სოფელ ლათადან (კოდორის ხეობა) საკუთარი მსუბუქი ავტომობილი გადმოიყვანა, თურმე.

უფლის წინაშე ვამბობ, ის იყო, არის და იქნება გივი ლომინაძის „ნასედკა“ ეროვნულ მოძრაობაში.

* * *

მანამდე ორიოდე სიტყვა ავთო დავითაიაზე უნდა გითხრათ: ტიპიური შვონდერ-შარიკოვი (მ. ბულგაკოვი - „ძაღლის გული“). იგი 1991 წელს სოხუმში ნუგზარ მგალობლიშვილის „ნამესტნიკად“ გახლდათ გამწესებული. აი, ეს „ნასედკა“ ეროვნულ მოძრაობაში და „ტუჩებზე პომადა წასმული“ ხელის ბიჭუნა გივი ლომინაძესი ფართი ფურთობდა ამჯერადაც. თავის დროზე გამოვაქვეყნე სათანადო წერილი მასზე გაზეთში „საქართველოს სამრეკლო“, (1999 წ. ოქტომბერს).

ზემოთ ბატონი როლანდ ნიჟარაძე ვახსენე. მე მასთან არასოდეს მქონია ახლო ურთიერთობა. როგორც მაშინ 1990 წელს (და შემდგომაც) მეუბნებოდნენ, მას ერთი ორგან წასწრებიან ჩემს „ცუდკაცობაზე“ საუბრისას. ამის მიუხედავად დროს არ

დავკარგავ მის დასახასიათებლად, თუმცა, გახსოვთ, ზემოთ მე დავიმოწმე მის მიერ ჟურნალ „რიწაში“ გამოქვეყნებული წერილი გრიშა აიბასა და კონსტანტინე ოზგანზე. ასევე ვადასტურებ, რომ მან 1989 წლის 15-16 ივლისს და მომდევნო დღეებში თავისი წვლილი შეიტანა უმართაობის დაცხრობაში, მაგრამ აი, ამ წერილს, რომელზედაც მისი პირადი ხელმოწერაა, გამართლება არა აქვს:

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ თ. მჟავიას

ჩვენ დავსვამთ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დათხოვნის საკითხს და რატომ: წერილობით გთხოვეთ, რომ „ლემის“ არეალის ქართველობას საკადრო პოლიტიკიდან ნუ გაგვრიყავდით.

თქვენ მოიქეცით პირიქით: აფხაზეთის ყველა სტრუქტურაში ერთადერთი კაცი თანამდებობაზე გვყავდა ბ-ნი აკაკი გასვიანი და ისიც თანამდებობიდან გადაირჩიეთ ამ სიტუაციისთვის საგანგებოდ თქვენი ჯგუფის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი პირების არჩევის უცნაური, ე. წ. წესით

რატომ არ გაწყობდათ თქვენ და პროვინციულ დაჯგუფებას *(ხაზგასმა ს. საჯ.) აკაკი გასვიანის მოადგილეობა? მისი დიდი ავტორიტეტის, პატიოსნების, განათლების, აზროვნების, დამსახურების გამო?*

აკაკი გასვიანი ურყევად იდგა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ რიგებში, არის „ლემის“ დამაარსებელი და თავმჯდომარე, „ლემისა“, რომლის ორასამდე წევრი გმირულად დაეცა აფხაზეთში და თანამოძმეთა გაერთიანებით შეინარჩუნა კოდორის ხეობა, ყველა აფხაზეთელის, და არა მარტო მათი, უანგარო თანამდგომი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მისი ფუნდამენტალური აღმოჩენები უკვე აღიარა ბევრმა ქართველმა მეცნიერმა და დაიწყეს მათი შესწავლა უცხოეთშიც.

თუ ასეთ პიროვნებას ასე მოექეცით, სხვებს რას გვიზამთ? თქვენ გააერთიანებთ აფხაზეთის ქართველობას? თქვენ დაიბრუნებთ აფხაზეთს?

ამიტომ გიცხადებთ: ჩვენ სეგრეგაციული პოლიტიკის გამტარებელ ე.წ. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს ამიერიდან არ ვცნობთ, ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ პრეზიდენტის განკარგულებას“ (ე. ი. მიხეილ საკაშვილს-ს. საჯ).

* * *

თავს ვიკავებ ამ დოკუმენტის ყოველგვარი კომენტარისაგან, მაგრამ სწორი არ ვიქნები თუ ორ საკითხს არ განვმარტავ: 1. წერილში ნათქვამია „პროვინციულ დაჯგუფებაში“ (შეადარეთ ედ. შევარდნაძის დროის „პროვინციულ ფაშიზმს“) იგულისხმებიან მეგრელები, ხოლო მეგრელებთან ბატონ რ. ნიჟარაძის დამოკიდებულება გამოიხატა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიაში მისი სტუმრობისას, როდესაც მან პოეტ ვაჟა ეგრისელთან „დააზუსტა“ თუ როგორ ესმის სამართლიანობა; 2. რაც შეეხება აკაკი გასვიანის „ფუნდამენტურ აღმოჩენებს,“ მათი შეფა-

სება დედა ეკლესიის წიაღში გახლავთ ბატონ რ. ნიჟარაძის შეხედულებისაგან სრულიად განსხვავებული და საპირისპირო. ეს ძალიან რბილად რომ ვთქვა!..

3. სეგრეგაცია, ანუ რასობრივი, ეთნიკური ან სხვა ნიშნით, ამ შემთხვევაში (რ. ნიჟარაძის აზრით) კუთხურობის მიხედვით გამოხატული დისკრიმინაცია, ვერ იქნება მეთავისე, ორპირი და დევნილთა წინაშე ცხრაგზის ჩაჭრილი კაცის არ არჩევა თანამდებობაზე, რომელმაც მანამდე მაინცდამაინც არ გამოიჩინა თავი სახალხო განაწესისადმი თავდადებით. დიახ, ეს სეგრეგაცია არ გახლავთ.

4. გრიშა აიბასა და კონსტანტინე ოზგანის მონდომებას, ჩაეშალათ ვლადისლავ არძინბას გაპირველკაცება, აკაკი გასვიანმაც უმუხთლა და გივი ლომინაძეს აცნობა მათი გეგმები.

სეგრეგაციის კი არა, უფრო მეტის კლასიკური მაგალითი იყო 1992 წელს სამეგრელოს ხუთგზის დალაშქვრა და ბებერი ეგრისის „პროვინციული ფაშიზმის“ ბუნაგად დადგენა. ასევე სეგრეგაციაზე მეტი იყო რ. ნიჟარაძის სიტყვებით რომ ვთქვა „ლემის“ არეალის მოსაზღვრულობაში, კერძოდ ლათა-ჭუბერის ჯვარცმის გზაზე სოხუმიდან დევნილი ქართველების (მეგრელების), უბედურებაში ჩავარდნილი და უმწეო ხალხის უმოწყალო ძარცვა.

ამაზე მეტს ამჯერად არ ვიტყვი!..

სხვათაშორის „ლემის არეალს“ ფართო საზოგადოებისათვის დღემდე არ განუმარტავს თუ რატომ გაიძარცვა პირწმინდად მაშინ უმწეო მოსახლეობა კოდორის ხეობაში. კი ბატონო, იყო თანაგრძნობისა და მასპინძლობის შემთხვევებიც, მაგრამ ეს „ლემის არეალის“ დამსახურება არაა, - ხეობის სახალხოობა იქცეოდა ასე. ამაზე აკაკი გასვიანს, „ლემის“ თავკაცს, დღემდე არ უპასუხნია, არადა, დროა!

აქვე, ამ წერილში, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმ დამოკიდებულებას, რომელიც მაშინ გააჩნდა რ. ნიჟარაძეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსადმი.

დღეს იგი მათი თანამშრომელი გახლავთ და ამგვარ განწყობას არ ავლენს, თუმცა ელიტური კორუფცია, როგორც სახელმწიფო აუდიტის მიერ 2018-2019 წლების შემოწმების მასალებიდან ჩანს, კიდევ უფრო უკიდეგანოა ამ ინსტიტუციაში ამჟამადაც.

დიახ, ბატონებო, აფხაზეთიდან დევნილთა 2013 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციის მსვლელობა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რომლის „დამშვრალი“ წევრი ბატონი გივი ლომინაძეცაა, თავისი ცრუმოძრაობებით, გარიგებებითა და სხვადასხვა ხრიკებით ისეთი „ჰოოპუნასკენ“ წარმართა, განცვიფრებაც ვერ მოასწრეს მოშიმშილეებმა: გამოცხადდა, რომ ხელისუფლებამ „უკან დაიხია“ და „ზოგიერთი მოთხოვნა დაუკმაყოფილა“ აქციის წევრებს, რომლის საფუძველზეც ზაურ ბედია (იგი „დევნილი ზვიადისტების“ სტატუსში მთელი დევნილობის მანძილზე არც თუ ურიგო სამსახურებში მუშაობდა ერთდროულად, იქ, სადაც ხელისუფლებისათვის მიუღებელ კაცს ცხვირს არ შეაყოფინებდნენ), დიახ, იმას მოგა-

ხსენებდით, ამ „აქციის' დაშლის შემდეგ არც ზაურ ბედია დარჩენილა უკმაყოფილო, არც აწგანსვენებული ზაურ კვარაცხელია, „მის აღმატებულებას" ავთო დავითაიას სახელდახელოდ გაუხსნეს თავისი ტელევიზია, რომლის ეკრანებიდანაც იგი „აფხაზეთის მოვლენებს", ანუ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოსა და ე. წ. მთავრობის „კარგ ბიჭობას **რაც შეეხება დევნილთა თავსატეხებსა და საწუხარს, რისთვისაც და რის მოსაგვარებ-ლადაც ეს აქციები დაიწყო, უკანმოუხედავობის ქურსუმში გადაუძახეს მათ. რა გაეწყობა, როგორც იტყვიან „კრება დარჩა მხიარული"!..**

ხო, კინაღამ გამომრჩა, თავიდან ამ აქციის თაოსნად გოჩა ბახია ჩანდა, იგი პირადად მოვიდა ჩემთან, ბინაზე და მხარდაჭერა მთხოვა, ამიტომაც მივაკითხე მათ, მაგრამ მალე გავერიდე, რადგან მაშინვე მივხვდი, ვინც გახლდათ ყოველივე ამის „ამძრავი ღვედი"...

ისე აგიხდეთ ყველაფერი, - სულ მალე, ბატონი გოჩა, რომელიც თავის დროზე წითელი გენერლის გივი ლომინაძის მიერ შეკოწიწებული სააფხაზეთო „მრგვალ მაგიდასთან" სულაც არ იყო უბრად, ამჯერად საწყისი გასაყვირებისა და გულზე მჯიღის კვრის შემდეგ, შესაშური გატრუნვით გაჩუმდა...

* * *

4. როდესაც ქვეყანაში მონანიების მოთხოვნილება არ არსებობს - იმის გასწვრივ, როცა კაცობრიობა მოწმეა, რომ მის თვალწინ, მისი დუმილით, ანუ თანხმობით ადამიანთა სიმრავლემ გასცა, მსჯავრი დაადო და აწამა მაცხოვარი ჩვენი, ცილისწამებათა ლაფი მიასხა და განდევნა წმინდა იოანე ოქროპირი, მტარვალი უწოდა და ტყვია დაახალა წმინდა ილია მართალს, ჯერ კინწი ჰკრა, ყუმბარები გადმოაყარა, შემდეგ გაადევნილა, მერე ბოქვენის ძვლის ჩამსხვრევით აწამა და ბოლოს საფეთქელთან ტყვია დაახალა ზვიად გამსახურდიას, ჩემი აკაბუცხა ვინაობის წინააღმდეგ საზოგადოების მიზნობრივად დარაზმვა და ცილისწამებებითა თუ ჭორებით შემოთაბაშირება რა სახსენებელია, მაგრამ, რაც არ უნდა ფეხთმტვერი ვიყო ეროვნული სიდიადეების, ძნელია, დაუზავდე ისეთ უგუნურებას, როდესაც უფლის წყალობით გონება გაგეხსნება, საწმოხონო ნაბიჯს დალანდავ, მომმედ მიჩნეულ საზოგადოებას სვლაგეზს გაუმკაფიოებ და ამის საპასუხოდ შენთვის ზურგში მახვილის ჩასაცემად რიგში ჩადგებიან...

ვიცი, როგორ არ ვიცი თავმდაბლობის ფასი, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ყველა ჩემს თავგანწირვას, უანგარობასა და წინგახედულ თათბირს საზოგადოებად წოდებული ბრბო, გივი ლომინაძისა და მისმაგვარ გამყიდველთა მიერ დაგებულ სათაგურში სატყუარაზე წამოცმული მოხალული ნიგვზისკენ გაშლიგინებას არჩევდა ისე, რომ საბედისწეროდ ივიწყებდა, - <u>ნიგოზი მუქთად მხოლოდ სათაგურშია!..</u>

კი ბატონო, გეთანხმებით, ქვეყნის ცხოვრებაში არის ჟამი, როდესაც ადამიანთა ქუდზეკაცობა თავის სიმრავლეს ეროვნულ-სახალხო ძალისხმევად გააშინაარსებს.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), ეტყობა, ასეთი იყო 1903 წლის მაისში სოხუმის საზოგადოების შეხვედრა დიდ ილია ჭავჭავაძესთან, რომლის მიმოწაფეებამაც ჩვენს მხარეს გიორგი შარვაშიძის გვერდით გაუდიადა არზაყან ემხვარის სრულიად საქართველოური ძალისხმევა (მხატვრული სახეზოგადობები: თარაშ ემხვარი - კონსტანტინე გამსახურდიასი; უჯუშ ემხა - ლეო ქიაჩელის).

როგორც კი ეს შინაარსი გაისარაველიანა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობამ, მისდა საუბედუროდ, თავს სავსებით მოხალისედ ნაყალბევი „абхазец"-ობის „მოძმე ხალხად" დაიდგინა თავი, ანუ „არამკვიდრი" მოსახლეობა აღმოჩნდა თავად. კიდევ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იგი იქცა მხოლოდ ხელოვნურად „გასხვაქვეყნებული" აფხაზეთის ასსრ-ის „ქართული პარტოკრატიის ელექტორატად," რომელსაც იმის უნარიც არ გააჩნდა, ის მაინც გაერკვია, თუ რა ვინაობად ეღაღადებოდნენ ჟამთაბერს ამ მხარის სიწმინდეები, რომლებშიც, წესით, თავისი მშობლიურობა უნდა მოეიძია ქართველად გაშინაარსებულ კაცს.

ამის მაგივრად, მისი ყურდახშობისთვის „სიმშვიდეს" უზრუნველყოფდა იმის დაჯერება, -„აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო რომ არ იყო".

აი, ამ ბრბოდქცეული სიმრავლის მიერ გადავლის წესით ვრცელდებოდა ჩემზე წითელი გენერლის გივი ლომინაძის პირადი ძალისხმევით შეთხზული შემზარავი ცილისწამებები.

ამის შესაბამისად, მდგომარეობა, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, სავსებით კანონზომიერია, რადგან ყველაფრის მიუხედავად, ამ საზოგადოებას არც დღეს გააჩნია, თავისი საბედისწერო უგნურობის გამო, სინანულის უნარი და აქედან გამომდინარე საგაკვეთილო წინდახედულება.

ამავე დროს, არ ვითხოვ (თუმცა, რატომ არ უნდა ვითხოვდე), მაგრამ ღვთისმოშიში საზოგადოება დაასკვნიდა, სერგი საჯაიამ სად წაიღო ის ფული, გივი ლომინაძე რომ ამტკიცებდა, მიითვისაო. სახლ-კარი არა აქვს, ნახევრადმშიერი დადის, ემანდ ცოდვა ხომ არ ჩავიდინეთ და ტყუილ-უბრალოდ ხომ არ ვწამებთ ცილს მართალ კაცსო!..

ვიღაცას შეიძლება, გაეცინოს, ეს მისი ნებაა, მაგრამ სინანულის გარეშე არ მოდის შენდობა, რის უმისოდაც უფალი არავის აპატიებს ცოდვას. ცოდვა კი დიდია, რაც მთავარია, ის „ქართული" საზოგადოების ჯგუფური დანაშაულიდან გამომდინარეა.

* * *

წუთჩაფიქრება: 2017 წლის 8 თებერვალს, 12 საათზე „მედია-ცენტრ ობიექტივზე" აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ ხმამაღლა და უსინდისოდ განაცხადა, **„- რით ვერ გაძღნენ დევნილებიო! ათ-ათი კილოგრამი ზოდი ოქრო რომ მისცეთ მათ, ისინი გეტყვიან, 11 კილოგრამი მეკუთვნისო. ხუთ-ხუთი ბინა რომ მიართვა, ის გეტყვის ექვსი მეკუთვნისო"...**

აი, ასეთ უტიფარსა და ყურდახშობილს აბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) გენოციდს გადარჩენილი და ეთნიკური წმენდის გზით გამოძევებული მოსახლეობის ბედი.

როდესაც მან ეს ბრალდება გაასაჯარისა, პირველად მეგონა აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებულ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს გულისხმობდა. მაგალითად, რუდიკ ცატავას, რომელიც ყელამდეა ჩაფლული ცოდვისკითხვაში. ნებისმიერმა დევნილმა იცის, რომ ბატონი რუდიკი ჯერ კიდევ ომამდე საეჭვოდ თამანშრომლობდა აგრესორ-სეპარატისტებთან. საქმეში ჩახედულები უფრო მეტსაც ამბობენ, ისინი ხშირად ახმოვანებენ ისეთ დანაშაულებს, რომლის ჩამდენად რუდიკ ცატავას მიიჩნევდნენ. ამგვარ „თელო ღურას“ კი საომარი მდგომარეობის დროს ქვეყნის ღალატი ჰქვია და ამის ჩამდენს საველე წესით ასამართლებდნენ. ხშირ შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას განუჩინებდნენ. არც მშვიდობიან დროს იწონებენ ამგვარ უსინდისობას (იარაღით ვაჭრობა, მტერთან გარიგება, უსაფრთხოების ჩაშლა, კორუფცია და ა.შ.) კინაღამ დამავიწყდა, როგორც ცნობილია, მან ომის დროს (1992-93 წელს) გალის გამგებელმა, ამდენად წესით რაიონის თავდაცვის კომიტეტის უფროსმა თუ თავმჯდომარემ, როგორც ამბობენ, აგრესორ-სეპარატისტების მიერ საომარი მოქმედებების განახლებისთანავე რამოდენიმე „კამაზში“ ჩატვირთა მოხვეჭილი ქონება და სამშვიდობოს მიაშურა. ასეთი „გმირობისა და თავგანწირვისთვის“ თბილისში ჩამოსვლისთანავე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

ამის გასწვრივ, ფეხებზე დაკიდების წესით, თავის მშობლიურ გალის რაიონში მტერს უხელმძღვანელოდ შეატოვა როგორც მეომრები, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობა. თითიც არ გაუნძრევია მათი უსაფრთხო ადგილებში გამოსახიზნად, არც საკუთარი ოდაბადის თავდაცვის ქმედუნარიანობისათვის დასველებია ფეხები.

შედეგად - მტერმა თავაუტკივებლად მოაწყო უმწეო ხალხის გენოციდი, ჩაატარა ეთნიკური წმენდა, აიღო, გაძარცვა,ცეცხლითა და მახვილით გადაუარა გალის პირწმინდად ქართულ რაიონსაც, სადაც 68. 890 სულიდან 92 პროცენტი ქართველი ცხოვრობდა.

როგორც უკვე მოვასწარი და გითხარით, თბილისში ჩამოსულმა რუდიკმა, მოიგდო რა ხელში აფხაზეთის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა, ჩვეული თაღლითობით განაგრძო მომხვეჭველობა. აქ მისთვის ნებადაურთველობა არ არსებობდა. ასე მაგალითად, ზემოთ, წიგნის წინა ნაწილში, უკვე მოგახსენეთ თუ როგორ ჩაიჯიბა მან თბილისში ეროვნული გმირის - გურამ გაბისკირიას საფლავის „კეთილმოსაწყობი“ თანხა, არადა, ცხონებული გურამის საფლავი, სად-სად და, თბილისში ნამდვილად არაა.

რა თქმა უნდა, გალის რ-ნის ასე სამარცხვინოდ ჩაბარება და ბრძოლის ველიდან გამოქცევა ეხებოდა ამ რაიონიდან არჩეულ სხვა დეპუტატებსაც, პირველ რიგ-

ში, კი თვითონ ვახტანგ ყოლბაიას, მაგრამ მათ მაშინ სხვა საზრუნავი ჰქონდათ - თანამდებობების დათრევა, ანუ საშოვარი.

დიახ, ყოველგვარი სამანის გადაჯეგვით, გაუმაძღრად იბღუჯავდნენ მაშინ ეს ე. წ. დეპუტატები დევნილთა შემწეობას, იყვნენ რა მთავრობის საპასუხისმგებლო თამანდებობებზე, ისინი ასობით მკვდარ სულს აფორმებდნენ დევნილად და ითვისებდნენ მათ შემწეობას.

დევნილთა შორის დღეს თუ ვინმე ავლენს იმ საქციელს, რაზედაც ვახტანგ ყოლბაიამ წაიყროყინა, ეს, ისევ და ისევ, აფხაზეთის ხელისუფლებაში მოკალათებული ბოროტმოქმედი ნომენკლატურის მიერ ხელშეწყობილი მათი აქტივისტებია.

წუთჩაფიქრება: როგორც ზურაბ ზარანდიამ ერთხელ გაიხსენა, აფხაზეთის ა/რ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ გოგიამ (იგი დღეს მიმალვაშია და იძებნება), რომელიც „დევნილთა საქმეებს კურირებდა“, სენაკში ზონალური თათბირი ჩაატარა თავის ჩინოვნიკებთან იმაზე თუ როგორ განაწილებულიყო დევნილთა შემწეობა და ჰუმანიტარული დახმარება. მან ნება დართო თავის თანამშრომლებს ათ-ათი „მკვდარი სული“ გაეფორმებინათ.

ამბობენ, რომ ზოგიერთები ამას არ სჯერდებოდნენ, მაგალითად დღეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს დავით გვაძაბიას კინაღამ ასამდე „მკვდარი სული“ ჰყოლია გაფორმებული.

ზურაბ ზარანდიამ, რომელიც ჩანს, მოისყიდეს, ბოლოს გადათქვა მის მიერ გამოვლენილი და თითქმის ყოველდღე გაჟღერებული ცოდვისკითხვები.

ამიტომ, ვ. ყოლბაიას ბრალდების მიმისამართება, ისევ და ისევ ვ. ყოლბაიას და მისი თანამოსაქმეების მიმართულებითაა საჭირო.

დევნილ მოსახლეობას სხვა საზრუნავი აქვს, მათ არა აქვთ ოდაბადე, სამსახური, ბინა...

რა თქმა უნდა, ასეთი განწყობის ადამიანები ვერ მოაბამენ თავს და არც ქმნიან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის მსოფლმხედველობას, მის შესაბამის სტრატეგიას. ისინი სახელმწიფოს ხაზინაში შეღწეული მღრღნელები და ზნეობასთან სისხლაღრეულ (ინცესტურ) მდგომარეობაში მყოფი გარეწრები არიან მხოლოდ.

აი, ვინ ედავება გამოღმიდან გაღმა საწყალ, დაუცველ, უმწეო, სულში ჩაფურთხებულ დევნილებს.

... მახსოვს, 1991 წლის ზაფხულში ვახტანგ ყოლბაია, იმხანად აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის პირველი მოადგილე, ანუ თანამდებობრივად მეორე კაცი აფხაზეთში, შს სამინისტროსთან შემხვდა იქვე მცხოვრები ჩემი მეგობრის ბინიდან გამოსულს.

ერთმანეთთან მისალმების შემდეგ, შევატყვე, ისეთი კმაყოფილი იყო, ბავშვს რომ მოეფერება უფროსი. ეტყობა გენერალმა გივი ლომონაძემ, რომლის კაბინეტსაც ის სტუმრობდა, რაღაც-რაღაცეები მოუწონა.

მანამდე, 1991 წლის იანვარში მე ის გავაკრიტიკე (სოხუმის რ-ნის გაზეთი „შრომა“ 1991 წ. 10 იანვარი) ქ. სოჭში გამომავალ ერთ რუსულენოვან გაზეთში გამოქვეყნებული წერილისათვის, რომელშიც იგი საბჭოთა ხალხთა „ლენინურ ძმობას“ ესარჩლებოდა („Абхазия“—общесоюзная газета Верховного Совета Абхазской АССР“).

ამის საპირწონედ ერთ-ერთ შეკრებაზე მიპასუხა, იმ სკოლაში, სადაც შენ დირექტორად მუშაობ, სასწავლო ნაწილის გამგეს აქვსო შენზე მეტი უფლებაო?

ამასთან დაკავშირებით მე განვუმარტე, რომ ამ თანამდებობაზე ქართველებმა სასწავლო-ნაწილის გამგედ კი არ მიგავლინათ, არამედ პოლიტიკურ ლიდერად გაგიწინამძღოლათ, - ვიყავი მე სასწავლო ნაწილის გამგედაც და სისწორეს ამ თანამდებობიდანაც ვიცავდი მეთქი. როგორც ხედავთ, ის მაშინაც და დღესაც თავს მოიაზრებდა და მოიაზრებს არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი მოსახლეობის პოლიტიკურ მოსარჩლედ და ზნეობრივ წინამძღოლად, არამედ წითელი გენერლის გივი ლომინაძის თითისქნევათა უსიტყვო აღმსრულებლად. რაც შეეხება გივი ლომინაძეს - მისთვის სამშობლო ძალიან აბსტრაქტული შინაარსი გახლავთ.

იმის თაობაზე, რომ გენერალი გივი ლომინაძე დიდწილად გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში საბედისწერო მოვლენების განმაპირობებული, თანაც კრემლიდანური დაკვეთების შესაბამისად აკეთებდა ამას, ამაზე დღეს კინაღამ კედლის გაზეთიდანაც კი იუწყებიან: ***„- მოგესხენებათ, სუკს თანამშრომელთა დიდი ბაზა ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, კგბ-სთან კავშირები არ გაწყდა?***

- ზოგიერთმა ადამიანმა თავისი პიროვნული მრწამსიდან და სინდისიდან გამომდინარე, შეიძლება, იმპერიულ სტრუქტურებთან საქმიანობა შეწყვიტა, მაგრამ, როგორც გადმოცემით ვიცი, ეს სტრუქტურა ისეთნაირად იყო ორგანიზებული, როგორც შტატიანი, ასევე უშტატო თანამშრომლების მიმართ ისეთ გავლენას ინარჩუნებდა და იმდენი კომპრომატები ჰქონდა შეგროვებული, რომ დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურ უმრავლესობაზე გავლენას ინარჩუნებდა. მაგალითად, გივი ლომინაძე, რომელიც, ფაქტობრივად, სუკის მაღალჩინოსანი იყო, რომელმაც ძალიან სერიოზული გავლენა მოახდინა აფხაზეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ეს არის პიროვნება, რომელიც ქართველების განიარაღებას ხელმძღვანელობდა აფხაზეთში, თუ მოსახლეობის დემილიტარიზაცია მოხდებოდა, ეს მხოლოდ ქართველების ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო. ამ პიროვნებამ ქართველების აბსოლუტური განიარაღება მოახერხა, შემდეგ ამოღებული იარაღი სოხუმის მექანიკურ ქარხანაში კი არ მიიტანა, სინამდვილეში ქარხნის ხელმძღვანელობას უშუალოდ ზეწოლის ქვეშ ცნობა გამოართვა, რომ ქარხანაში ის იარაღი განადგურდა.

- ასე დაწვრილებით საიდან იცით ?

- ვიცი პიროვნებამ, რომელიც ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა, ამისთვის მიიღო შს სამინისტროს გენერლის წოდება, ეს იყო გივი ლომინაძე, პირველი, ვინც მას გენერლობა მიულოცა, ვლადისლავ არძინბა იყო (მკითხველს ვთხოვ, გაიხსენოს ჩემი საუბარი იმაზე, თუ როგორ დაახასიათა გივი ლომინაძე ვლადისლავ არძინბამ 1992-93 წლების საომარი ავანტიურისა და უმოწყალო სისხლისღვრის წინმსწრებად. ასევე მეხსიერების ყულაბიდან ამოქექქოს ბატონ შოთა გორგომის განმარტება იმაზე თუ ვინ დანიშნა იგი მინისტრის თანამდებობაზე აფხაზეთში. სერ. საჯ.). პიროვნება, რომელმაც არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობა არ გამოდევნილიყო, ბედის ირონიაა, რომ ის დღეს იმ საკანონმდებლო ორგანოს წევრად ითვლება, რომელიც დევნილთა ინტერესებს უნდა გამოხატავდეს. რისთვის მიიღო გენერლობა გივი ლომინაძემ? ფაქტობრივად, ის იარაღი, რომელიც უნდა განადგურებულიყო, ქარხნის დირექტორზე ზეწოლის შედეგად გაკეთდა ცნობა, თითქოს განადგურდა. მეტი საილუსტრაციო მიზეზი რა გინდა. ასეთ ადამიანებზე ამ კანონის მისადაგება ძალიან მარტივია.

- თქვენ მოითხოვთ რომ ეს კანონი ამოქმედდეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატების მიმართ?

- მოვითხოვ, ეს კანონი ამოქმედდეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც თავის დროზე სუკის საშტატო განაკვეთით მუშაობდნენ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში, გამოვლენილ იქნან და საზოგადოებისათვის ცნობილი გახდნენ“... (გაზეთი „ახალი თაობა“, 2011 წ. 30 ივნისი).

* * *

როგორც მოგახსენეთ, იმთავითვე, ამოისაჯდომა თუ არა სავარძელი, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, ჯერ კიდევ პოლკოვნიკმა გივი ლომინაძემ, მოახერხა აფხაზეთში ვითომ ქართული პარტოკრატიის ფაქტობრივ ხელმძღვანელად თავდადგენა, მაგრამ ამ მდგომარეობაში მუხლმოსამაგრებლად მას სჭირდებოდა 1. კიდევ უფრო ქმედითი თანამდებობრივი ბერკეტები და 2. ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „დამრაზმავის, სულისჩამდგმელისა და „ამღორძინებლის“ რეპუტაცია. მის მიმართ ამ აზრს სხვადასხვა ნაირსახეობებით იზიარებს ცნობილი მოღვაწე და სო-ხუმელი ექიმი ნაპო მესხიაც („როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, თბ. შპს „ჩხორია“ 2009 წ., გვ. 41), როდესაც აღნიშნავს, რომ მან აფხაზეთში „მრგვალი მაგიდის“ სახელით მოღვაწე ნუგზარ მგალობლიშვილი, ავთანდილ დავითაია, თემურ მჟავია, თემურ ლორთქიფანიძე, შოთა ჯღამაძე, ზაურ კვარაცხელია, დალი სილაგაძე და სხვები თავის (ე. ი. გივი ლომინაძის) აქტივისტებად აქცია (ის ამას სხვა სიტყვებით, კინაღამ შეგინების წესით ამბობს).

თუ ამათ რიგებს ასევე მივათაოსნებთ მანანა ძოძუაშვილს და დავამატებთ იმას, რომ ამ ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, თავად გივი ლომინაძემ - საბჭოთა ჩეკისტმა და წითელმა გენერალმა გაუპიროვნა ეროვნულ მოძრაობაში სათანადო ადგილი, ხოლო ზოგიერთ მათგანს (ნუგზარ მგალობლიშვილს მაგალითად) ჩამობანა თუ მიუჩქმალა ზვიად გამსახურდიას დამსმენის და ჩამშვების სახელი, თავად განსაჯეთ, რა შმორიც მიენიაღვარა ეროვნული მოძრაობის სიწკონდე-სიანკარეს. საერთოდ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მაბეზღრობა ნუგზარ მგალობლიშვილის თვისება მარტო კი არა, ჯიშისმიერი მოთხოვნილებაა: 2003 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში - „ვინ ჩაშალა ცხუმ-აფხაზეთში ერის დემოგრაფიული პროგრამა“... სხვებთან ერთად ვსაუბრობ რევაზ კემულარიას მიერ მერაბ კოსტავას ფონდის სახელგამტეხი საქმიანობის დახლართვის შესახებ.

ის, რომ ეს ღიად დავწერე, წიგნში შევიტანე, ხოლო წიგნი საქართველოს ყველა საუნივერსიტეტო ქალაქის ბიბლიოთეკას გადავეცი, ნიშნავდა იმას, რომ მე ამას არ ვასაიდუმლოებდი.

აი, აქ ნუგზარმა შესაშური „ჩაშვების“ წესით აცნობა რეზოს, სერგიმ გაგაკრიტიკაო.

სხვა რამეც შითითხნა, მაგრამ ეს მის სინდისზე იყოს.

სამწუხაროდ, რატომღაც თავმოტყუებულმა საზოგადოებამ იგუა „მრგვალი მაგიდის“ ფეხაწყობილ სიმწყობრეში „კოლხური კოშკის“ სააფხაზეთო „ციხიონიდან“ თვით ჩეკისტი გივი ლომინაძე „დამჯდარიყო ქურდად“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის „სანდო და საჭირო კაცად“ დაადგინა იგი.

დიახ, ეს ასე იყო, მაგრამ კიდევ უფრო სათავშიცემო სულ სხვა რამ გახდა: - აფხაზეთის აგრესიულ-სეპარატისტული ეთნოკრატიის მსგავსი, ვითომ ქართული პარტოკრატიაც, უფრო ზუსტად, ახლა უკვე აფხაზეთში „ქართული ეროვნული მოძრაობის „მახვშად“ სახელგავარდნილი გივი ლომინაძის შანტრაბა, აფხაზეთში „მრგვალ მაგიდად“ ფეხმომაგრების შემდეგ, დაიდგინა რა თავი ეთნოკრატიულ „აიდგილარასთან“ თანამოსაქმედ, ძალიან ბევრ საკითხში კრემლის მითითებათა მიხედვით „კოლხური კოშკის“ საწინააღმდეგოდ გარიგდა, რამაც ხელი შეუწყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისებას, რასაც მოჰყვა ამ მხარის ქართველთა (აფხაზთა) გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

მართალია, ამის შესახებ ძირისძირამდე ჩაძიებით ვერა, მაგრამ შედარებით სწორად წერს ხსენებულ წიგნში ბატონი ნაპო მესხიაც, როდესაც იგი „აიდგილარასთან“ ასეთ თანამშრომლობაში ფაქტებით ამხელს ამ ხროვას (გვ. 41-42).

ამავე საკითხზე თუ რა იბღავლა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ - ლორიკ მარშანიამ, ანუ თუ როგორ ერეოდა „მრგვალი მაგიდის“ საარჩევნო პოლიტიკაში არათუ ვლადისლავ არძინბა, ხელსისხლიანი ვლადიმერ აშხაწავაც, რანაირი ხელისბიჭობით ედგა მას გვერდში ნუგზარ მგალობლიშვილი, ეს უკვე გითხარით.

გივი ლომინაძისა და მისგან მართული ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ (ნუგზარ მგალობლიშვილი, მანანა ძოძუაშვილი და ა. შ.) დანაშაული კიდევ უფრო დიდია 1990 წლის 4 დეკემბერს, როდესაც გაიმართა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რაზედაც ზემოთაც გვქონდა მოკლე საუბარი.

როგორც მოგეხსენებათ, სწორედ ამ პოლიტიკური აქტით გახდა შესაძლებელი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლიდანური დივერსიების, მათ შორის სისხლისღვრის ლაგამამოდება, ვნებათაღელვის ქუჩიდან საკანონმდებლო სივრცეში გადატანა და დაპირისპირებულ მხარეთა შორის ცივილური ურთიერთობის მიღწევა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ იგი განაპირობა „კოლხური კოშკის“ ცნობიერებამ და მისმა სახლიკაცურმა ძალისხმევამ.

ამის შესახებ მეც და სხვებსაც საკმაოდ გვიწერია, მაგრამ ამჯერადაც გვერდს ვერ ავუვლით მას და ორიოდე სიტყვით შევეხები იმ საბედისწერო ნაბიჯებს, რითაც გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და ა. შ. ჯერ კიდევ მორევიდან ვერ ამოსულ ეროვნულ საქმეს დოლაბივით ჩამოეკიდნენ ყელზე.

არადა, ვიმეორებ და კარგად გაისიგრძეგანეთ, იმ ვითარებაში, როდესაც კრემლმა მოახერხა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დაღვრილიყო სისხლი, როდესაც აფხაზეთის ასსრ-ის ხელისუფლების „абхазец“-ური ნაწილი თბილისს დაუპირისპირდა და პირდაპირ მოსკოვს დაექვემდებარა, მეტიც, მთელი აფხაზეთი დენთის კასრზე შემჯდარი აღმოჩნდა, „კოლხურმა კოშკმა“ შეუძლებელი შეძლო - მან მოახერხა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჩასანგრებული მხარეების მოლაპარაკების მაგიდასთან მოწვევა და სახელისუფლო სუბორდინაციის, ანუ კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა.

აქ მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი მოხერხდა იმ ვითარებაში, როდესაც აფხაზეთის ასსრ საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული პროპაგანდის წყალობით მიიჩნეოდა არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდ, არამედ „არაქართულ ქვეყნად“, რომელიც „ანექსირებული იყო საქართველოსაგან“. ისიც უნდა ითქვას, რომ კრემლში დიახაც მზადდებოდა საბუთი, რათა აფხაზეთში აგრესორ-სეპარატისტებისათვის შემოეშველებინათ „ანექსირებული აფხაზეთის“ სტატუსი.

დიახ, „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ ამ მხარის სახლიკაც მოსახლეობაში სახალხო სიბრძნის საზოგადოებრივ ძალისხმევაში გასაგნება და ძუძუმტეთა ლასკარული დაკვეთის შესაბამისი საფიხვნო, რომელშიც არავითარი წვლილი არ მიუძღოდა არც ეთნოკრატ-სეპარატისტთა „აიდგილარას“, არც აფხაზეთში „ქართული“ პარტოკრატიის „გამრგვალმაგიდებას“ და ა.შ. პირიქით, მათ ეს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენეს, თანაც ისე, რომ საკუთარ ვერაგობათა სახალხო ძეგლისდებაში შენიღბვით მორიგი ქვეშქვეშობები და ვირეშმაკობები აიკვარცხლბეკეს.

კიდევ და კიდევ ვიმეორებ, ასე იყო თუ ისე, იმ ვითარებაში, როდესაც კრემლის დაკვეთის შესაბამისად დღის წესრიგში იდგა ჩრდილო-დასავლეთ საქართ-

ველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა (ხომ გითხარით, - ეს სახალხოდ განაცხადა კიდეც 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების წინმსწრებად საქართელოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მესამე მდივანმა, იდეოლოგიის კურატორმა საიდ თარკილმა), დიახ, ეს სესია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსი, მიუხედავად მისი ზოგიერთი არასრულყოფილი მხარისა, მეტიც, საღალატო შენაკადებებისა, იმ დროს ერთადერთი, დადებით შედეგზე გათვლილი მოვლენა იყო.

წინამდებარე სესიის წინა დღეებში, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მისი დღის წესრიგი, ჩვენ გამოვთქვით აზრი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების არჩევა ერთ, დაუქუცმაცებულ პაკეტად განეხილათ და ერთობლივად ეყარათ კენჭი მისთვის.

მაგრამ ერთია აზრის გამოთქმა და მეორე მისი ქმედითად შესრულება. არც ერთი ჩვენთაგანი, ვინც ამ აზრს გამოვთქვამდით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არ ვიყავით.

სამაგიეროდ გვყავდა საიმედო ხალხი, ვისთვისაც შეიძლებოდა ამ დავალების გაპიროვნება. ამასთან დაკავშირებით იმხანად, ვასილ კადენეცს - საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველ მდივანსა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მასთან ერთად დონარა ხარაიშვილს ქ. სოხუმის თევზკომბინატის მუშასა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს უნდა დავყრდნობოდით.

ვასილ კადენეცისა და დონარა ხარაიშვილისთვის ამ დავალების გაპიროვნება მოხდა საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველი მდივნის, ანუ იმავე ვასილ კადენეცის კაბინეტში, რომელსაც ვესწრებოდით სოხუმის რაიონის პოლიკლინიკის მთავარი ექიმი პავლე კვიკვინია, სოხუმის რაიონული გაზეთის „კომუნისტური შრომის“ რედაქტორი შალვა წულეისკირი, სოხუმის რაიაღმასკომის თავმჯდომარე თემურ კალანდია, ქ. სოხუმის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი თამარ ოდიშარია, სოხუმის რ-ნის გუმისთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა კეკელია, სოხუმის რ-ნის თავისუფლების I საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე დავით შონია და თქვენი მონა-მორჩილი სერგი საჯაია - იმხანად სოხუმის რ-ნის თავისუფლების №1 საშუალო სკოლის დირექტორი.

დაბეჯითებით გარწმუნებთ, რომ ორივე დეპუტატმა ყველაფერი იღონა ამ დავალების შესასრულებლად, მაგრამ ეს საქმე ჩაშალა გივი ლომინაძის დაღალატებამ.

აქ უნდა განიმარტოს მთავარი: თუ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეების საკითხს (პირველ თანამდებობაზე აფსუა, ხოლო მეორე თანამდებობაზე ქართველი უნდა არჩეულიყო) ერთ პაკეტად განიხილავდნენ და ასე უყრიდნენ კენჭს, მაშინ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველი მოსახლეობის კანდიდატურა პრაქტიკულად ვერ დაიბლოკებოდა აგრესორ- სეპარატისტთა მიერ, ხოლო ჯერ თუ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, შეთანხმების მიხედვით „абхазец“-ს (თანაც ვლა-

დისლავ არძინბას) შემოუძღვებოდნენ ამ სავარძლისაკენ, „არჩევის“ შემდეგ იგი აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გაამწესებდა ისეთ „ქართველს“, რომელიც ქართველი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესს კი არ დაიცავდა, არამედ აგრესორ-სეპარატისტთა დაკრულზე კრემლიდან შემოჩეჩებულ ჰანგებს დაამღერებდა.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და შეგახსენებთ, რომ ვლადისლავ არძინბამ ამ მხრივ მეტზე გაქაჩა, - მან მერე და მერე საერთოდ არ განიხილა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი და ამ მოვალეობას თავაუტკივებლად ასრულებდა თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვლადიმერ მიქანბა - პირწავარდნილი აგრესორ-სეპარატისტი.

საქმე ის გახლდათ, რომ ამ სესიაზე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არ დანიშვნა ვლადისლავ არძინბაზე არანაკლებ აძლევდა ხელს აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ გივი ლომინაძეს.

მისი დაფარული გეგმის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ იგი თვითონ უნდა დანიშნულიყო, თან ისე, რომ შს მინისტრის თანამდებობაც შეეთავსებინა. საამისოდ კი ჯერ ნიადაგი მომზადებული არ ჰქონდა, კიდევ სჭირდებოდა ცოტა ხანი.

მართალია, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 4 დეკემბრის წინ ქართულ მხარეს მთავრობის თავმჯდომარედ ნაგულისხმევი ჰყავდა ცნობილი ნეიროქირურგი ნაპოლეონ მესხია, ასევე, ამ თანამდებობას ქვეშქვეშურად ეპოტინებოდა ზოგიერთი სხვაც (პროფესორი ზაურ კვარაცხელია პირველ რიგში, ასევე დავით გულუა - შემდგომში აფხაზეთის შს მინისტრი, შესაბამისად გენერალი და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისებაში თავისი წვლილის შემტანი), მაგრამ გივი ლომინაძის აქტიურობა აგრესორ-სეპარატისტებმა ქმედითად გამოიყენეს: ამ საკითხში ქართველების შეუთანხმებლობამ მათ საშუალება მისცა, შეექმნათ ხედი, თითქოს გაგებით ხვდებიან გივი ლომინაძის აქტიურობას და წინადადება წამოაყენეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი უფრო გვიან განეხილათ (სხვათაშორის ზემოთ ხსენებული დავით გულუა, რომელიც იმხანად ქ. სოხუმის ე. წ. ფიზიკის ინსტიტუტად წოდებულ ცნობილ საიდუმლო ბირთვული კვლევის ობიექტზე მუშაობდა პარტბიუროს მდივნად, ხოლო ეს უწყება სუკ-ის პატრონაჟის ქვეშ საქმიანობდა, გივი ლომინაძესთან ერთად, „მრგვალი მაგიდის“ ერთი ნაწილის კანდიდატად მიიჩნეოდა შემდგომში აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე (თუ როგორ უერთგულა გივი ლომინაძესთან ერთად ბატონმა დავითმა „მრგვალ მაგიდას“ და საერთოდ ეროვნულ ხელისუფლებას, ამაზე ამ წიგნში კიდევ გვექნება საუბარი).

დავუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო საკითხს: როგორც ჩანს, ამ დავალების შესრულება ვასილ კადენეცმა სხვა ქართველ დეპუტატებთანაც სცადა, რომელთაც ეს აზრი მყისვე აცნობეს გივი ლომინაძეს.

აქ კი ასეთ ქვეშქვეშობებში გამობრძმედილმა გივიმ ვახტანგ ყოლბაიას გაახმოვანებინა აზრი იმაზე, რომ **„ქართველი გივი ლომინაძის გულმხურვალე მამულიშვილობას“** არაქართველი ვასილ კადენეცის **„რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკობა“** უადგილოდ ებლანდებოდა ფეხებში. ამით შეურაცხყოფილი ვასილ კადენეცი ამ სესიაზე საერთოდ არ მივიდა, ხოლო მარტო დარჩენილი დონარა ხარაიშვილის მცდელობა **„ენით უთქმელ თავხედობად“** შეფასდა თვით „ქართული“ მხარის მიერ.

დათქმულ უფრო „გვიან დროში“ კი ვლადისლავ არძინბამ, მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ეს, საერთოდ არ განიხილა მეთქი წინამდებარე საკითხი, - როგორც იტყვიან, „გადააგდო“ გივი ლომინაძე, რომელმაც უფრო ადრე თვითონაც ვირეშმაკულად დააღალატა („გადააგდო“) ქართული მხარე.

მართალია, გივი ლომინაძემ - აფხაზეთის შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ამ ჯერზე ვერ განახორციელა თავისი ვირეშმაკული მიზანი, - დანიშნულიყო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, მაგრამ მოახერხა სხვა რამ: იგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) თანდათანობით გახდა აფხაზეთის „ქართული“ პარტოკრატიის პირველი კაცი, რაც შექმნილ მიზნობრივ ვითარებაში იმავდროულად აფხაზეთის ქართული მოსახლეობის წინამძღოლობასაც ნიშნავდა, <u>რადგან თავსმოხვეულ პოლიტიკურ ცრუმოძრაობათა გზაჯვარედინთან ქართული მოსახლეობა სახალხო სიბრძნისაგან დაცლილი, - მანანა ძოძუაშვილის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და ა.შ. საეჭვო „ჰოოპუნას“ აყოლილი, წინგაუხედავი და, რაც მთავარია, პირღია აღმოჩნდა.</u>

თვით ვახტანგ ყოლბაია, ზემოხსენებულ სესიაზე აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის (ვლადისლავ არძინბას) პირველ მოადგილედ არჩეული, ანუ თავისი თანამდებობის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკაში მეორე კაცი, გივი ლომინაძის კაბინეტში პატაკის ჩასაბარებლად ბეჯითი ბავშვივით გარბოდა პირველი დაძახებისთანავე.

* * *

ძალიანაც რომ მინდოდეს, იმგვარადაა გასაგნებული, რომ გვერდს ვეღარ ავუვლი 1991 წლის მოვლენებში გივი ლომინაძის ორპირულ ძალისხმევას და იმავე წლის დეკემბრისა და 1992 წლის იანვრის პუტჩის დროს მის ღალატზე ვისაუბრებ. დიახ, ძალიან საეჭვო გახლავთ გივი ლომინაძის საქმიანობა 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვრის პირველ კვირაში (შემდგომ პუტჩისტების მხარეზე ღიად რომ გადავიდა საყოველთაოდაა ცნობილი).

პირველი, რაც ამ მხრივ უნდა ითქვას, გახლავთ ის, რომ 1991 წლის დეკემბერს იგი აფხაზეთში ვითომ ზვიად გამსახურდიას მხარდასაჭერად (მიაქციეთ ყურადღება: ზვიადის მხარდასაჭერად და არა ეროვნულ-სახალხო ხელისუფლების გვერდში დასადგომად) აგროვებდა გულმხურვალე პატრიოტებს, თვითმფრინავით

ჩამოჰყავდა თბილისში, შემთხვევითი პირების თანხლებით აგზავნიდა მათ უზენაეს საბჭოსთან. არა შესაბამისი კვალიფიკაციისა და თითქმის უიარაღო ახალგაზრდებს ბედის ანაბარა სტოვებდა ტყვიის ქარცეცხლის პირისპირ და ა. შ.

როგორც მოგახსენეთ, ეს ყველაფერი საბედისწეროდ დასრულდა: ხელის ერთი მოსმის წესით ჩამოყვანილთა შორის ბევრი პირველად იყო თბილისში, ცუდად ერკვეოდნენ გარემოში, ამიტომ, არაერთი მათგანი მძიმედ დაიჭრა, ზოგიერთი დაიღუპა, არ მომხდარა ამ ადამიანების ბრძოლაში არც დაწესრიგებულიი ჩაბმა და არც ორგანიზებული გამოყვანა იქედან. უფრო მეტიც, როდესაც გივი ლომინაძემ დაინახა, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობა რამოდენიმე დღის საქმე გახდა, იგი გაემიჯნა მის მიერვე ჩამოყვანილ მამულიშვილთა უკვე უქმედუუნარო სიმრავლეს.

ამის შემდეგ გივი ლომინაძე პუტჩისტების დავალებათა შესრულებას დაუფარავად და მიზანმიმართულად შეუდგა, მან მოხალისედ დაიდგინა თავი აფხაზეთში მათი მითითებების შემსრულებლად: მისი ძალისხმევით დაიწყო ე.წ. აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს შექმნა, თუმცა, შესაქმნელი არც არაფერი იყო, მანამდე არსებული „ქართველთა“ პარტნომენკლატურული „დირექტორიადი“, რომელიც „მრგვალი მაგიდის“ მიმდევრად აცხადებდა თავს, გარდაიქმნა ამად. არადა, ამ დროს, თანახმად ზვიად გამსახურდიას მოწოდებისა, საჭირო იყო, <u>არ გავბმულიყავით კრემლისა და მათი ადგილობრივი მეგზურების - აგრესორ-სეპარატისტების მიერ დაგებულ მახეში. დრომ აჩვენა, რომ „ქართული“ პარტოკრატიაც კრემლს მოუძღვებოდა.</u>

ჟღარუნს უნდა ჩანაცვლებოდა სახლიკაცური დიალოგი, მაგრამ გივი ლომინაძის მიერ ფაბრიცირებული „ახალი პარტია“ უკიდურესი წინგაუხედაობით, მისივე ილეთებით პასუხობდა აგრესორ-სეპარატისტთა ძირგამომთხრელობას, რითაც ქმნიდა საფუძველს, „абхазец“-თა სულიერ მამებს „ტანჯულ“ მდგომარეობაში წარმოეჩინათ თავი და „ქართველი ოკუპანტებისაგან სამშობლოს გათავისუფლებისთვის ეზრუნათ“.

ე. წ. ახალი პარტიის („აფხაზეთის ეროვნული ერთიანობის საბჭოს“) შტაბი 1992 წლისათვის ასე გამოიყურებოდა: პოლკოვნიკი ალეკო ლომინეიშვილი (გივი ლომინაძის პირველი მოადგილე შს სამინისტროში, გაპიროვნებული ფაქტობრივი ფუნქციით ამ „პარტიის“ აღმასრულებელი დირექტორი), ბორის კაკუბავა, ზურაბ პაპასკირი, შალვა წულეისკირი, დიმიტრი ჯაიანი, გივი მეშველიანი, მალხაზ პატარაია, გენო ადამია, გურამ გაბისკირია, დუდუ გულორდავა, მარინე ჯღამაძე, ალექსანდრე ჯიქია, იური ქვაჩახია, თორნიკე კილანავა, ჯონი ლატარია, გივი ლომინაძე, თამაზ ნადარეიშვილი, ალიოშა მიქაძე, მერაბ ფაცია, მურმან სულუხია, დავით როგავა, ჟანა ჭელიძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ შენგელია, ჯანი ეზუგბაია, ვახტანგ ფრუიძე, დავით სიგუა და სხვანი.

ისინი მოღალატეებად თვლიდნენ და დახვრეტით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც რაიმენაირ ლოიალობას გამოიჩენდა ან საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მომხრეების მისამართით (რომლებსაც „ზვიადისტებს“ ეძახდნენ), ან კიდევ აგრესორ-სეპარატისტების ბანაკში რომელიმე ნაკლებ ასტვენილს დაუწყებდი ძებნას.

* * *

რაკიღა ხუნტამ ყველანაირი სამართლებრივი ბერკეტი მოსპო აგრესორ-სეპარატისტთა მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედოსხეულიდან ჩამოგლეჯის წინააღმდეგ საზემოქმედოდ, გივი ლომინაძემ, როგორც პუტჩისტების ფაქტობრივმა „ნამესტნიკმა“ აფხაზეთში, საბედისწერო ავანტიურა წამოიწყო, რამაც არანაკლებ, ვიდრე სეპარატისტთა დიდმპყრობლობამ, განაპირობა კიდეც ტრაგიკული მოვლენები. ორივე უგნურება კი კრემლიდანური შემოჩეჩება გახლდათ.

გასაგებია, აგრესორ-სეპარატისტები საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული დივერსიების მეშვეობით, ყოვლად უსაფუძვლოდ - ძალადობით გაფორმებული „სატიტულო ერის“ შინაარსში აფარებდნენ თავს. ყოველივე ამას თან ახლდა მათი გამობრძმედილობა ავანტიურებში და მრუდე „სამართლებრივი“ ხერხების დიდოსტატური ფლობა. ამაზე დაყრდნობით აგრესორ-სეპარატისტებმა მოახერხეს კრემლის ქვეშქვეშობების ათარეშება, რასაც მოჰყვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია და ანექსია. უფრო მეტიც, პირღიად დარჩენილი, საკუთარ სააფხაზეთო ვინაობაში ჩაუხედავი აქაური ქართველების თვალწინ შესძლეს ეს ბოროტება მსოფლიოსათვის წარეჩინათ „абхазец“-თა „თვითგამორკვევისათვის მშვიდობიან ბრძოლად“.

ეს ჯერჯერობით უთოფო ომი, როგორც ცნობილია, მათ 1992 წლის 23 ივნისს ე. წ. აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის ამოქმედებით დაასრულეს, საპროვოკაციოდ აღმართეს ახლად დამტკიცებული „სახელმწიფო დროშა“ და საქართველოდან ყოველ მხრივ დამოუკიდებელი მდგომარეობა გამოაცხადეს.

ყოველივე ეს თავაუტკივლებლად მოხდა ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, სადაც ქართველმა დეპუტატებმა, მათ შორის ბატონმა ნაპო მესხიამ, ვერაფერი ვერ დაუპირისპირეს „абхазец“-თა დეპუტაციის ავანტიურისტულ, უსამართლო და უსინდისო, მაგრამ საქმის ცოდნით ორგანიზებულ გამოხდომებს.

ამის მიზეზი კი ის იყო, რომ თავის დროზე წითელი გენერლის გივი ლომინაძის სამუშაო კაბინეტში შედგენილ „ქართული“ მხრიდან დეპუტატობის კანდიდატთა სიაში შეიყვანეს არა საქმის მცოდნე და ქმედუნარიანი ადამიანები, არამედ გივი ლომინაძისათვის მისაღები, ძირითადად უვიცი, საპარლამენტო საქმისათვის გამოუსადეგარი მედროვეები.

სწორედ ამიტომ, როგორც ადრე (1990 წ. 28 ოქტომბერს) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში (1991 წ. 29

სექტემბერს) დელეგირებული „ქართული“ დეპუტაცია დანაშაულებრივად უნიათო და ამასთან ერთად ბოროტმოქმედულად ორპირი აღმოჩნდა ძირითადად.

შედეგიც შესაბამისი დადგა.

აღმოჩნდა რა ასეთი სიცხადის წინაშე, გივი ლომინაძემ თავის პოლიტიკურ თანამოსაქმეებზე და უკვე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოდან მის მარიონეტებად გადაქცეულ ქართველ დეპუტატებზე დაყრდნობით, სეპარატისტული ხელისუფლების თვითნებობათა გასწვრივ დაიწყო აფხაზეთის ა/რ-ის ქართული ხელისუფლების ფორმირება. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 1. ამას, შექმნისთანავე, მოჰყვებოდა შეიარღებული კონფლიქტი ან 2. უკეთეს შემთხვევაში ყველგან და ყველაფერში იქნებოდა პარალელური სახელმწიფო სტრუქტურები. მაგალითად იქნებოდა ორი - „ абхазец“-ური და „ქართული“ მთავრობა, ორი სასამართლო, ორი პროკურატურა და ა.შ.

ბუნებრივია, ამ ყველაფერს მოჰყვებოდა ჯახი.

როგორც გახსოვთ, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) მოვლენები უფრო უარესად განვითარდა და ამაშიც დიდია გივი ნიკოლაევიჩის „დამსახურება“: ვლადისლავ არძინბამ თბილისურ ხუნტას დასტყუა „წესრიგის დასამყარებლად“ შეიარაღებული თოფოსნების სოხუმში შემოყვანა, რაც, ისევ და ისევ, „ქართული“ მხარის, უფრო ზუსტად, „ქართული ზეპურობის“ (ელიტის) უვიცობამ და დოყლაპიობამ „ქართულ-აფხაზურ“ კონფლიქტად გაასაჯარისა.

ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია, თორემ იმ არეულ დროში, როდესაც გაუქმებული იყო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითადი კანონი, ანუ არ არსებობდა აგრესორ-სეპარატისტთა ვერაგობებზე სამართლებრივი ზემოქმედების ბერკეტი, ირგვლივ ყველა და ყველაფერი შარზე იყო და ჩასაფრებული მტერი შესაფერის დროსა და საბაბს ეძებდა, - თუ მაინც და მაინც იარაღით უნდა მომხდარიყო წესრიგის დამყარება, შესაიარაღებლის მეტი რა იყო ადგილობრივ ქართველებში, თანაც ეს ავმოსურნეს არ ათქმევინებდა, „ქართველები აფხაზებს დაესხნენ თავსო“, კონფლიქტი კი მიიღებდა შიდააფხაზეთური დაპირისპირების ხასიათს და არა „ქართულ-აფხაზური ომის“ მიზნობრივ სახეს.

მაგრამ ადგილობრივები ძირითადად ხომ მეგრელები (ე. ი. იგივე აფხაზები, ამ სიტყვის დედანი მნიშვნელობით) იყვნენ, რომელთაც გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და ა. შ. არ ენდობოდნენ. არადა, ეს ომი თითქმის მთლიანად მათ მხრებს დააწვათ შემდგომ.

ეს ერთი, მეორეც, - ასეთმა უგნურებამ, იმ დროს, როდესაც საომარი ავანტიურისადმი აგრესორ-სეპარატისტთა სამზადისს სათანადო საინფორმაციო დივერსიით უზრუნველყოფდა და მას ზურგს უმაგრებდა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოსკოვის პროპაგანდისტული ინდუსტრია, „абхазец“-ურ მხარეს ხელ-ფეხი გაეხსნა მორიგჯერ შეეთითხნა ბრალდება „ქართველთა დამპყრობლობის“ შესახებ. აქედან გამომდინარე, მსოფლიო საზოგადოებრიობისა და **თვით გაეროს შესაბამისი**

სამსახურების წინაშე თავისთავად დგებოდა საკითხი „ქართველთა მიერ აფხაზეთის ანექსირების“ სტატუსის შესახებ. მოვლენების ასეთი გალიანდაგება აგრესორ-სეპარატისტებს საშუალებას აძლევდა შეექმნათ ხელოვნური ხედი „დამპყრობთაგან' („ოკუპანტთაგან“) სამშობლოს გათავისუფლებისა და თავაუტკივებლად განეხორციელებინათ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

ამავე დროს თავსმოხვეული ტერმინოლოგია და სტერეოტიპი, რომლითაც ეს ავანტიურა განიმარტებოდა სხვადასხვა დონეზე, ქართული მხარის უვიცობითა და თანამონაწილეობითაც კი, ნებით თუ უნებლიედ, ჩვენს საწინააღმდეგოდ განაწყობდა ნეიტრალურ საზოგადოებას, რადგან მას საქმის არსში გარკვევის არც სურვილი ჰქონდა და არც დრო.

იგი ასე სვამდა კითხვას: ვისსა და ვის შორის მიმდინარეობს დაპირისპირება? პასუხი: ქართველსა და აფხაზს შორის. სად ხდება კონფლიქტი? პასუხი: აფხაზეთში.

რა უნდა ქართველს სხვის ქვეყანაში - აფხაზეთში თუ დამპყრობი არაა?!. აი, რა დებულება მუშაობდა მაშინ ჩვენს წინააღმდეგ, რომელსაც ქართული პარტოკრატია და პუტჩისტების „ჰოოპუნას“ გარდა სხვა საპირწონე არ გააჩნდა.

დიახ, სამწუხაროდ ასეთი დივერსიული სტერეოტიპების დამკვიდრებას დღემდე ვუწყობთ ხელს, რადგან უკვე ჩვენს საზოგადოებას, თავისი წვრთნაშეუსმენლობის გამო, თვითონაც არ სჯერა, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა!

ამ მხრივ, რაც შეეხება აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოს, მან თავისი არსებობის 26 წლის მანძილზე ერთხელაც ვერ მოიცალა, ეზრუნა იმისათვის, რათა შემუშავებულიყო აფხაზეთის დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია, რაც მთავარია, დროსთან შეჯერებული დედანი მსოფლმხედველობის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებაში განეხილათ და მიეღოთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის სახელმწიფო პროგრამა.

ის, რომ მსოფლიოსათვის „ქართული“ და „აფხაზური“ სხვადასხვაობად განიმარტა, უფრო გასაგებად რომ ვთქვა - საქართველო და აფხაზეთი სხვადასხვა ქვეყნებად გათვალსაჩინოვდა, აგრესორ-სეპარატისტებისათვის უკვე იყო უდიდესი საინფორმაციო გამარჯვება, დანარჩენი დროის საქმე გახლდათ.

ეს დრო დღემდე ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს.

ამრიგად, თავისი რიტორიკით გივი ლომინაძის „პოლიტიკური“ ბანდა ტოლს არ უდებდა აგრესორ-სეპარატისტთა დივერსიულ ათარეშებას და მათთან ერთად საფრთხეს უქმნიდა როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, ასევე აფხაზეთის მოსახლეობის უსაფრთხოებას.

* * *

მკითხველს შევახსენებ, რომ მართალია, ჩემს რამოდენიმე წიგნში კი მაქვს მიმოხილული აგრესორ-სეპარატისტთა სახიფათო ცეცხლობანები, მაგრამ ამჯერადაც საჭიროდ ვთვლი ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგი რამის შეხსენებას: **„1991 წლის 22 დეკემბერს საოკუპაციო შტურმი რუსიზმისგან სამართლებრივად თავდაღწეული, დამოუკიდებელი საქართველოს დედოსხეულში კრემლის მიერ შემონაღმული ყველა ჭურვიდან ერთდროულად დაიწყო. თუ თბილისში მას „სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის“ ლოზუნგები ებოძა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მან მიიღო „რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის თვითგამორკვევისათვის“ ბრძოლის ხასიათი: თავისი უფლებამოსილების გადამეტებით 1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული იქნა უკანონო დადგენილება, რომლის საფუძველზეც აფხაზეთში შეიქმნა მონონაციონალური სამხედრო შეიარაღებული ძალები. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ე.წ. სამხედრო საბჭო, რომლის 9 წევრიდან 6 აფხაზეცი, 2 არმენი და 1 რუსი გახლდათ. იმავე აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1992 წლის 25 იანვარს მიიღო კანონი „სსრკ არსებობის შეწყვეტასთან დაკავშირებით აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მოქმედების შესახებ,“ რომლითაც სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) რუსიზმის წაქეზებით დედოსხეულს - სრულიად საქართველოს წაჰგლიჯა, რაც 1992 წლის 23 ივლისს „სამართლებლივად“ გაამყარა ე. წ. 1925 წლის ე. წ. კონსტიტუციის თვითმარქვიული და ცალმხრივი ამოქმედებით.**

აფხაზეთის სეპარატისტულ ეთნოკრატიას ასეთი „საპარლამენტო“ თარეშის საბაბი და საფუძველი შეუქმნა თბილისში საოკუპაციო რეჟიმის მიერ მართვის ნამესტნიკური ინსტიტუციის აღდგენამ და მათ მიერ ქვეყნის ოკუპირებასთან ერთად, საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის გაუქმებამ“ (ესაა ამონარიდი ჩემი წიგნიდან „აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიზეზები და შედეგები“, თბილისი, 1999 წ. გვ. 17-19).

შეგახსენებთ, რომ ვლადისლავ არძინბამ, რომლის „არჩევა“ აფხაზეთის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ გივი ლომინაძისა და მისი პოლიტიკური შანტრაბის მიერ „ქართული მხარის გამარჯვებად“ მიიჩნეოდა, - ზურგში ბებუთის ჩაცემის წესით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტი, - კი იყო პუტჩი დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ თბილისში გახლდათ და იმხანად დამხობილი არ იყო, ყველანაირ კანონზე გადალაჯებით 1991 წლის 29 დეკემბერს შექმნა ე.წ. აფხაზეთის „სამხედრო საბჭო“, რომლის შემადგენლობაში სულგაყიდული ქართველის მეტი რა იყო მის გარშემო, მაგრამ ვაჟა ზარანდიასთანა „ქართველიც“ კი არ გაიჭაჭანეს ვლადისლავ არძინბას ბანაკში.

ახლა შეადარეთ: თბილისში საქართველოს მოღალატეებმა მხოლოდ 1992 წლის 2 იანვარს შექმნეს ე. წ. სამხედრო საბჭო.

* * *

5. კაცღმერთული საფიხვნო, რომელმაც ხალხი სათავისო კვარცხლბეკად ამოიქვეშა: - სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1990 წლის 4 დეკემბრის სესია აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში

ამ დროისათვის საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ (პოლიტიკურმა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა- თავისუფალმა საქართველომ“) ხელისუფლება 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების საფუძველზე ჩაიბარა.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში)იმხანად აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა - უკვე წითელმა გენერალმა გივი ლომინაძემ, თავის გარშემო „ქართული საქმისათვის სამალისხმევო ფართი-ფურთი“ მისგან მართვად მიზანსცენებად აამოქმედა. როგორც არა ერთხელ ვთქვი, იმავდროულად იგი გახდა „ქართული“ პარტოკრატიის ფაქტობრივი დირექტორ-განმკარგულებელი, რის საფუძველზეც „ქართული საქმე“ არა „მრგვალ მაგიდაში“, არამედ მის კაბინეტში წყდებოდა იმ მიზანმიმართულებით, რაც მას მოეპრიანებოდა. აქ უბედურება ის იყო რომ შედეგის თვალსაზრისით მეტად საეჭვო, მკვდრადშობილი აღმოჩნდა ეს ყველაფერი. პირველი, რაც მოახერხა ე.წ. აფხაზეთის „მრგვალმა მაგიდამ“, ანუ გივი ლომინაძემ, ის იყო, რომ (რამდენჯერ გავიმეორო?!) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარადგინა დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაში იყო, კი ბატონო, ორიოდე პატიოსანი კაცი, მაგრამ თავისი კომპეტენციით ის არ გახლდათ მზად საპარლამენტო მუშაობისათვის, თანაც აფხაზეთის მოსახლეობაზე კონსტრუქციული გავლენის თვალსაზრისით მას არ გააჩნდა სახალხო აღიარება. მათ შორის, უმეტეს შემთვევაში, ჭარბობდა მედროვე, მომხვეჭელი, ორპირი, სულხრწნადი და ხელნაცდური გამონახირება. ეს ყველაფერი უფრო გვიან გაცხადდა. მანამდე ამ უვინაო ადამიანებს მხოლოდ იმიტომ მისცა ხალხმა ხმა, რომ ისინი „მრგვალი მაგიდის“ სახელით მიასაღეს საზოგადოებას.

ამ ვითარებაში გივი ლომინაძემ „ქართული“ პარტოკრატიის პოლიტიკურ ლიანდაგზე გამწევად („პარავოზად“) გამოიყენა „მრგვალი მაგიდისადმი“, უფრო სწორად, ზვიად გამსახურდიასადმი სრულიად სახალხო თანადგომა და მხარდაჭერა, მაგრამ ბოროტად ჩაიჯიბა იგი და ამ გამწევს გამოაბა მეთქი (და დაიჯერეთ) საპარლამენტო მუშაობისთვის ძირითადად უმაქნის ადამიანთა მიზნობრივი გასაგნებანი (მე ვამბობ, - საპარლამენტო მუშაობისთვის, თორემ, მათ სხვა მხრივ ჯვარი ეწეროთ, მით უფრო, რომ დიახ, მხოლოდ ორიოდე არის მათ შორის ეროვნული ხელისუფლების ერთგულად დარჩენილი).

მეორე, რაც გივი ლომინაძემ და აფხაზეთის ე. წ. „მრგვალმა მაგიდამ“ პირდა-პირ ჩაშალა, იყო ის, რომ სეპარატისტულმა მხარემ კრემლის წაქეზებით არ მიიღო 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობა, რაც იმავე კრემლმა გაასა-ჯარისა „აფხაზი ხალხის გადაწყვეტილებად“, თუმცა, იყო არაერთი სახალხო ოლაგე, საიდანაც სათანადო გზის გაკვალვა შეიძლებოდა.

არადა, რამხელა წინგაუხედაობა იყო, რომ ამ მხრივ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მაშინ მთლიანად დაეყრდნო გაიძვერა გივი ლომინაძესა და ვირეშმაკ ნუგზარ მგალობლიშვილის „მოსაზრებებს“.

საზოგადოებისათის, ბუნებრივია, საინტერესოა, იყო თუ არა რაიმე სახის მზაობა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით სეპარატისტთა შორის კი არა, აფსუა მოსახლეობის წიაღში.

რა თქმა უნდა, იყო და თანაც არაერთი. უნდა დაიჯეროთ ესეც, თვით სეპარატისტების დაყოლიებაც შეიძლებოდა ამაზე.

უპირველეს ყოვლისა, გუდაუთსა და ტყვარჩელში, სადაც მაშინ არჩევნები ჩაიშალა და ეს „სადაც ჯერ არს“ გაფორმდა მეთქი „აფხაზი ხალხის ბოიკოტად,“ იყვნენ ადამიანები, რომლებიც, საბედნიეროდ, აფხაზეთის მომავალზე სხვანაირი შეხეულების იყვნენ, ვიდრე ამას კრემლიდანური ლექციონარი ასაჯაროებდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა ჯობდა, თუნდაც პირწავარდნილ სეპა-რატისტს ეყარა კენჭი, რა უბედურება ეს იყო ამ შემთხვევაში, უმთავრესი ხომ კეთ-დებოდა, - საფუძველი გამოეცლებოდა რუსიზმის პროვაკაციას - „აფხაზი ხალხის ბოიკოტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი!“!..

საქმეც ისაა, რომ უფრო უკეთეს ვითარებასთან გვქონდა საქმე: ეს იყო ბორის ადლეიბას, ვლადიმერ კობახიას და სხვათა, მათ შორის კონსტანტინე ოზგანის სურვილი, როგორმე გამოენახათ საერთო ენა ქართველებთან. კიდევ ერთხელ გეუბ-ნებით, ვიცი, ვინცაა თითეული მათგანი, განსაკუთრებით კი კონსტანტინე ოზგანი, იმაზე უფრო მეტად ვიცი, ვიდრე ამაზე ღაღადებდნენ თვითმარქვია „ექსპერტები“, მაგრამ ფაქტია, ამის მზაობა მას ჰქონდა. რამდენადაც ჩემთის ცნობილია, რომ გივი ლომინაძემ, ჩემი ბლოკირების შემდეგ, აკაკი გასვიანის მეშვეობით სცადა ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ აკაკი ამას გივი ლომინაძესთან დათათბირებით მოინდომებდა, ხოლო ბატონი გივი, ბუნებრივია, ჩაშლიდა ამ საქმეს. ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეც მოხდა.

მესამეც: იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ და პირადად ზვიად გამსხურდიამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) შესძლო აგრესიული სეპარატიზმის პოლიტიკური თავნებობების კანონისადმი დაქვემდებარება, აღადგინა მმართველობაში პოლიტიკური სუბორდინაცია, უნდა ითქვას დაუფარავად, ეროვნულ ხელისუფლებას გამოეპარა აფხაზეთში „ქართული“ პარტოკრატიის (ანუ „аб́хаз́ец“-ობის ტყუპისცალის) ძირგამომთხრელობა, რომელ-მაც მოასწრო ყველაზე ბრჭყვიალა ეროვნული ლოზუნგების ქვეშ თავშეფარება. მის

მიერ გამოვლენილი ორპირობებიდან ყველაზე საბედისწერო იმხანად აღმოჩნდა 1990 წლის 4 დეკემბრის სესია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოსი, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გივი ლომინაძის კოლაბორაციულმა საქმიანობამ საყრდენი ჩაუხერხა სამოქალაქო თანხმობისაკენ ათვლილ ნაბიჯებს: უკვე მოგახსენეთ და კიდევ გიმეორებთ შემთხვევას, რომელსაც შეეძლო შემოებრუნებინა ისტორიის ჩარხი.

ჩვენ, ქართველთა ერთი ნაწილი, საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის პირველი მდივნის, იმავდროულად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატის ვასილ კადენეცისა და ასევე დეპუტატ დონარა ხარაიშვილის მეშვეობით, ხომ ვთქვი, რომ ვცდილობდით, სესიაზე ერთ პაკეტად განხილულიყო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა არჩევა. ეს ერთი (თუ ღმერთი გწამთ, არ მითხრათ ახლა, რომ ვიღაცასთან უშნოდ ვიყავი „შეკრული“).

მეორეც: როგორც კი გახმაურდა ის ამბავი, რომ გივი ლომონაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ მიერ „საგულითადო“ არჩევანი ვლადისლავ არძინბაზე შეჩერდა და მისი კანდიდატურა სასურველად წარუჩინეს „მრგვალ მაგიდას“, - ამან შეაშფოთა არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობა, არამედ განგაში ატყდა თვით სეპარატისტული ეთნოკრატიის ერთ ნაწილში, განსაკუთრებით ბორის ადლეიბა, კონსტანტინე ოზგანი (ის კი არადა, მათი იატაკქვეშური ორგანიზაციის ე. წ. უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთი თავკაცი გრიშა აიბაც) და სხვებიც, ასევე, საღად მოაზროვნე, აფსუა ხალხის წარმომადგენლობა ერთი და იგივე ტექსტით ამტკიცებდა, რომ **„ვლადისლავ არძინბა დაღუპავდა „абхазец“ ხალხს, ამიტომ, არ შეიძლებოდა მისი არჩევა თავმჯდომარედ“**-ო.

როგორც ცნობილია, „მრგვალი მაგიდის“ აფხაზეთის წარმომადგენლობამ ვასილ კადენეცი და დონარა ხარაიშვილი ფაქტობრივი მდგომარეობით აწ უკვე გივი ლომინაძის თანაშემწედ გადაქცეულ ვახტანგ ყოლბაიას წელსქვემოთა ილეთების საფუძველზე არც მიიღეს სასაუბროდ. ამის შემდეგ ვასილ კადენეცი (ესეც ვთქვი უკვე) საერთოდ არ მივიდა სესიაზე პროტესტის ნიშნად, მარტო დარჩენილმა ქალბატონმა დონარამ კი ის შესძლო, რომ ამბავი გამოიტანა.

მახსოვს, სესიიდან გამოსულმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, სოხუმში, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილ ხალხს მიმართა, „დღეს საქართველომ გაიმარჯვაო“!..

- როგორო, მიაძახა ხალხმა.

- როგორ და ვლადისლავ არძინბა ავირჩიეთო.

- გავიმარჯვეთ კი არა, დავღუპილვართო, იბღავლა ცნობილმა სპორტსმენმა ალიოშა ესებუამ (ნესტორ ესებუას გამნარყმა), რომელიც 1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების დროს მმიმედ დაშავდა, მკვდარი ეგონათ და ქ. სოხუმის ერთ-ერთი საავადმყოფოს მორგში „გადაასვენეს“.

შეცბუნებულმა ნუგზარმა ეს პროვოკაციააო, ხალხს მოუნდომა დანამუსება. ამის პასუხად იქვე მდგარმა თამაზ შამფრიანმა უყვირა: გეყოფაო ახლა, ამას დრო გვიჩ-

ვენებსო... ბატონი ალიოშა ესებუა, ნამდვილად სამახვშო კაცი თუ პროვოკატორია, მაშინ დაქცეულა ქვეყანა და ესა�ო!..

ეს იყო პირველი გარიგება ვლადისლავ არძინბასა (უფრო სწორად აგრესორ-სეპარატისტებსა) და გივი ლომინაძე-ნუგზარ მგალობლიშვილის პოლიტიკურ არ-ტელს, ანუ ე. წ. „ქართულ“ პარტოკრატიას შორის.

წინ იქნება უფრო უარესი, 1991 წლის სექტემბრის გარიგება.

ის, რომ კონსტანტინე ოზგანი სეპარატისტულ მხარეზე სერიოზულად განი-ხილებოდა აფხაზეთის ა/რ-ში ხელისუფლების თავკაცად, ამაზე ერთ საინტერესო მასალას გადავაწყდი ამასწინათ: მოგეხსენებათ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-ტეტში მუშაობდა წარმოშობით გუდაუთის რ-ნის სოფელ ოთხარის მკვიდრი როლანდ ნიჟარაძე.

ზემოთ მქონდა პატივი მის მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერზე სხვათა-შორის მესაუბრა. ეს კაცი ამჟამად აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობაში საქმიანობს გა-ნათლებისა და კულტურის მინისტრად.

ყველაფრის მიუხედავად, ბატონი როლანდის ორგვერდიანი წერილი ჟურნალ „რიწა“-ში (2016 წ. №3) სრულ სიმართლეს ღაღადებს, მართალია, აქ აღწერილი შეხვედრა აკაკი გასვიანსა და გრიშა აიბას შორის 1992 წელს შემდგარა, მაგრამ ორი წლის წინანდელ მოვლენებსაც იხსენებს იგი, რომლის ერთ-ერთი დამბრკოლებე-ლი, როგორც გითხარით, ბატონი კაკოც იყო გივი ლომინაძის **გვერდით: „გვითხრა, რომ არ მოსწონდა თბილისისა და სოხუმის დღევანდელი ხელისუფლება. რომ აფხაზეთის უხუცესთა საბჭომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ კონსტანტინე ოზგანის კანდიდატურა შეარჩია, მაგრამ თბილისმა რატომღაც უარი თქვა მათ წინადადებაზე და მხარი არძინბას დაუჭირა.**

- კონსტანტინე ოზგანი ტრადიციების კაცია, - უბრალო და შინაური, უყვარს საკუ-თარი ერი და ქართველები. ის ჩემს ხელში გაიზარდა, იცის, რომ აფხაზებს ერთადერ-თი ერი (ქართველებს გულისხმობდა) მფარველობდა და ყოველთვის მის გვერდით იყო. ღმერთმა გვიშველოს! თუ არ მოვკვდი, ამ დღეებში შევეცდები გუდაუთაში ჩავი-დე და უხუცესთა საბჭო შევკრიბო...“

არ ვიცი რატომ, მაგრამ აი, ასეთი განწყობები „ადგილებიდან“ თბილისში ბა-ტონ ზვიადთან არ მიჰქონდათ.

მეტსაც გეტყვით. ზემოთხსენებულ სესიაზე დაისვა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღ-ლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის საკითხი. პირველ მოადგი-ლედ აირჩიეს საქართველოს კპ გალის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ვახ-ტანგ ყოლბაია, მეორე მოადგილედ, ანუ მაშინდელი საბჭოთა პარტნომენკლა-ტურული წესის მიხედვით აფხაზეთში მცხოვრები დანარჩენი ხალხების (ე. ი. არა-აფსუებისა და არაქართველების) წარმომადგენლად წამოაყენეს ვასილი კადენეცის კანდიდატურა. ამის წინააღმდეგ წავიდა თვითონ ვახტანგ ყოლბაია (გივი ლომინაძე გაახმოვანა) - იგი რაიკომის მდივანიაო!.. სწორედ აქ როგორ არ გაიცინებ სიმწრისა-

გან (თვითონ ვინ იყო, საიდან მოდიოდა), ბატონმა ვახტანგმა სწორედ ამ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ გამოაქვეყნა ის ცნობილი წერილი, რომელშიც, როგორც გითხარით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ადიდებდა და საბჭოთა კავშირის დაშლის წინააღმდეგ გამოდიოდა,

ამასთან დაკავშირებით, ვიღაცეებმა ურჩიეს ვასილ კადენეცს, მივიდეთ ნუგზარ მგალობლიშვილთან და ვთხოვოთო, რაზეც მან უპასუხა, რომ ერჩია, მტვირთავად ემუშავა, ვიდრე ნუგზარის, იგივე „პეტოვიჩის“ რეკომენდაციით დანიშნულიყო სადმე...

საქმე ისაა, რომ ვასილ კადენეცი, როგორც ვლადისლავ არძინბას აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის მოწინააღმდეგე, არც ვლადისლავს და არც გივის (ამდენად, ვახტანგს) ხელს არ აძლევდათ.

სხვათაშორის, ბატონმა ვასილი კადენეცმა შემდგომში გაარკვია, რომ ნუგზარს მასზე უთქვამს, - ის არმენთა შავრაზმელური ორგანიზაციის „კრუნკის“ წევრია და თვითონაც არმენია წარმოშობითო.

აქ სხვა რამეში იყო საქმე, ნუგზარ მგალობლიშვილსა და „კომპანიას“ მიაჩნდა, რომ მეგრელები „აფხაზებს შეეკვრებიანო“ და „არაკეთილსაიმედო“ ვინაობად ადგენდნენ მათ.

ვასილის მამა კაზაკი იყო, ძირძველ მეგრელებში, ანუ ნამდვილ აფხაზებში ჩამოსიძებული, ამდენად, პატარა ვასია მეგრულ, ანუ ქართულ გარემოში გაზრდილი და ვინაობა შენარჩუნებული, მეგრელობდა (ქართველობდა).

ამასთან ერთად, იმავე ნუგზარმა თბილისში დააბეზღა ჯემალ საჯაიაც, დედა არმენი ჰყავსო (ბატონმა ჯემალმა რომელიღაც შეხვედრაზე არმენებს თავიანთ მშობლიურ ენაზე მიმართა, გაკვირვებულ ნუგზარს უკითხავს, საიდან იცის ასე კარგად ეს ენაო, დედა ჰყავსო არმენი, უპასუხნიათ მისთვის მოცლილებს...

ამ კაცუნამ იმწამსვე აცნობა ეს „ზემდგომ“...

რა მაგის პასუხია და მეც მომწვდა ე. წ. არმენული საკითხით: ზვიად გამსახურდიასა და ვაჟა ადამიასთვის უთქვამს, არმენებს ესხმისო ავტომატით და ატეررორებსო!..

ვიხსენებ ამ ყველაფერს და ვიბღავლო მინდა... რა თავსატეხები ჰქონდა ქვეყანას და რაში გვითრევდა ეს უწიგნური!

<u>თუმცა უწიგნური უძახე შენ, დედა უტირა ეროვნულ მოძრაობას.</u>

ან როდის და სად გამოავლინა ქართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ანტიარმენული მიზნები?!. ჩვენ ნებისმიერის, მათ შორის ვაიარმენების დიდმპყრობლურ ჩასაფრებას ვებრძოდით, <u>თორემ, აფხაზეთში 1918-21 წლებში მოღვაწეობდა არმენი ქრისტოფორ ავდალბეკიანი - ქართული სახელმწიფოებრიობის საიმედო დასაყრდენი, დიდება მის და მისთანათა სახელს!..</u>

მივუბრუნდეთ ზემოთხსენებულ საკითხს: მართალია, ამ სესიაზე გივი ლომინაძისა და მისგან მართვადი ვითომ „მრგვალი მაგიდის“ კოლაბორაციული ბუნე-

ბისა თუ ორპირობის გამო ვერ მოხერხდა საჭირო საორგანიზაციო დასკვნების გაკეთება, რამაც დღემდე უნუგეშოდ დააღალატა ჩვენი სახელმწიფოერივი მომავალი, მაგრამ ასეთი არამზადობის წიაღშიც ვერ აილაგმა და მაინც განხორციელდა სასურველი, - მოხდა მთავარი - აფხაზეთის მოსახლეობამ მახვშ-ხევისბერული ძალისხმევითა და საჩინო ადამიანების მეცადინეობით შეამზადა ნიადაგი, მართალია, ჯერ კიდევ რუსიზმის მიერ გამოინკუბატორებული ეთნოკრატიის საეთნოდივერსიო რეზერვაციაში (ხართაში), მაგრამ ცნობიერების ქვეშეცნეულ წიაღში მოინდომა, საღ სახლიკაცურ აზრს ესადავა ვნებათა ღელვისათვის. ამავე დროს საზოგადოებაში დაგროვილი გაუგებრობები მშვიდ გარემოში, გონივრული გასიგრძეგანებით გადაჭრილიყო. საოცარი რამ აღსრულდა: აფხაზეთის ხელისუფლების ეთნოკრატიული ნაწილი ქართულ მხარესთან და ამ მხარეში დანარჩენ არაქართველ მოსახლეობასთან ერთად აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მისი ეროვნულ-სახალხო ხელისუფლების ზემდგომობას.

* * *

სხვათაშორის, უნდა ვთქვა კიდევ ერთხელ ხმამაღლა, რომ მე მართლა ვიყავი და ვარ დაუზავებული ე. წ. დიდარმენული ბაცაცობის, გაუტანლობისა და ორპირობის მიმართ, მაგრამ სამგზის ამაზე უფრო თანამდგომი ვარ იმ არმენთა, რომლებიც ჩვენთან კეთილმეზობლობის გასწვრივ, თავიანთი მშობლიურობისა და ვინაობის სადარაჯოზე დგანან და საქმით დაგვიმტკიცეს ეს.

ასე, მაგალითად, სოხუმის რაიონის სოფე ლახალშენის (გუმის)ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რუსულ სექტორზე, სადაც ძირითადად არმენი მოსწავლეები გვყავდა, მე გამოვყავი ფაკულტატივის საათები, რათა არმენ ბავშვებს არმენთა ისტორია, ლიტერატურა და, რაც მთავარია, წერა-კითხვა ესწავლათ.

ამავე დროს ქართულ სექტორზე ქართველ მოსწავლეებს იმავე ფაკულტატივის საათების საფუძველზე ჰოვანეს თუმანიანისა და ა. შ. შემოქმედების მოხედვით პირადად ვასწავლიდი კეთილმეზობლობისა და თანადგომის სიბრძნეს.

არმენებთან ამგვარი დამოკიდებულება განვაგრძე სოხუმის რ-ნის თავისუფლების # 1 საშუალო სკოლაშიც, სადაც დირექტორად მოსახლეობის მოთხოვნით დავინიშნე 1989 წლის 1 ოქტომბერს. დიახ, აი, ასე „ვატერორებდი“ არმენსაც, ქართველსაც და მათგან მოვითხოვდი დიდი ჰოვანესისადმი მიმოწაფებას.

ცნობისათვის: ჩემი ასეთი საქმიანობის შესახებ 1990 (თუ 1991) წელს, ზუსტად არ მახსოვს, დაინტერესდა აფხაზეთში გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ საკუთარი კორესპონდენტი და მგონი ამაზე გამოაქვეყნა კიდეც მასალა არმენულ გაზეთში.

* * *

საგანგებო კრებულები სჭირდება იმ ცილისწამებათა თავმოყრას, რომლებიც გივი ლომინაძის სამსახურებსა და ნუგზარ მგალობლიშვილის ავყიურ ხმაბოდვებში მიზნობრივად ისაგნებოდა ჩემზე.

გულუბრყვილო და გამოუცდელი არ ვიყავი: ქუჩისფსკერულობების, ორპირობისა და ქვებუნაგობების მეტი რა მქონდა ნანახი დროის გაუტანლობაში, მაგრამ ასეთი ხრწნადი სულითა და კაცთსატანჯველი მონდომებით შემოშხეფებული სიმყრალე სწორედ რომ სატანური ტვინის შთაგონებით ხმოვანდებოდა ყველა გზაჯვარედინზე, ნებისმიერ სულმოსათქმელ ადგილზე, სადაც ადამიანები იკრიბებოდნენ. ჩემი გალანძღვა გადავლის წესით სოხუმში „ქართული“ პარტოკრატიისათვის „სახელმწიფო პოლიტიკა“ გახდა!..

<u>გასაგებია, გივი ლომინაძეც, ნუგზარ მგალობლიშვილიცა და „კომპანიაც“ ამ ციდაკაცობაში დაინტერესებული მხარეები, ანუ ამ საქმის (სულცდუნებების) მწარმოებლები იყვნენ. მათ ჰქონდათ მიზანი - ჩემი საზოგადოებრივი „გაუვნებელყოფა“, მაგრამ დღემდე ვერ ამიხსნია, თვითონ საზოგადოებას რატომ აბედნიერებდა ის, მე თუ მართლა ისეთი ვიქნებოდი, როგორადაც მასურათხატებდა გივი ლომინაძისა და „პეტოვიჩის“ პოლიტშანტრაბა.</u>

იმხანად ნუგზარს თბილისში მერაბ კოსტავას ფონდის გამგეობაში ჩამოეტანა ამბავი, თითქოს მე ვსარგებლობდი ბერძნებთან ნათესაობით, აქედან გამომდინარე, იმათ, ვის სახლსაც ვიყიდდი, ვურიგდებოდი იმაზე, რომ „საჩემო ქრთამის სახით შეძენილი ქონებაც“ საბერძნეთში დაებინავებინათ, რათა შემდგომში გამომეყენებინა, ვითომცდა ყველა შესყიდულ სახლში ჩემი წილი მქონდა და ა.შ.

გარდა ამისა, ჩემს გარშემო გივი ლომინაძის მიერ მოჩენილი ე. წ. „დაცვა“ თავისი საქციელით, ანგარებით, თავხედობით, ჭორაობით, ბილწსიტყვაობითა თუ ყიამყრალი „ხუმრობებით“ ეწყალდიდებოდა ჩემი სახელგატეხვის წამლეკავ მდინარებას.

გიმეორებთ, ამ შემთხვევაში მე საზოგადოების უდარდელობა მიკვირს მხოლოდ: მათი თანხმობით მიწასთან გამასწორეს, მარტო კი არა, თავიც დაიღუპეს, რადგან, ნებით თუ უნებლიედ, სწორედ იმათ გვერდით დადგნენ, ვის საქმიანობასაც ჩრდილოდასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გასხვისება, ათასობით ადამიანის განადგურება და გამოძევება მოჰყვა და არც ერთ მათგანს სურვილიც არ გასჩენია, საკუთარ „მე“-ში სინდისი მოეძია. მით უმეტეს, რომ „ურმის გადაბრუნების“ შემდეგ მაინც უნდა დაენახათ, რომ არავითარი ქონება მე საბერძნეთში არა მქონია (ამაში ხომ უნდა დაერწმუნებინა მათი ყურდახშობა იმ სიღატაკის გორკიაფას, რა ვითარებაშიც დედაჩემი და ძმა დავასაფლავე), „ვცხოვრობდი“ შიმშილობის ზღვარზე, არ ვყოფილვარ „კოლხური კოშკის“ მტერი, პირიქით, მათ, ვინც ამას მაბრალებდა, თავად ესროლეს ამ სიდიადეს ან გამსროლთა გვერდით დადგნენ.

დიახ, არავითარი სინანული, არანაირი მზაობა სააღმსარებლოდ, ეს ხალხი კვლავ იმ ნედლეულად დარჩა, ისევ რომ გამოიყენებენ სიმართლის გადასაქელად, სამშობლოსათვის ზურგში მახვილი ჩასაცემად და ა.შ.

ეს მტკივა მე და კისერზე ჩამოკიდებული დოლაბივით მიმყვება იმქვეყნიური ზვირთების უკიდეგანობაში, რადგან ამგვარი მასა ბრბოა, რომელიც ყოვლად გამოუსადეგარია სამშობლოსთვის საგიორგიანოდ ან საქრისტემხედროდ. აქედან გამომდინარე, სხვა დანარჩენი თვით გივი ლომონაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილის ქვეშქვეშობათა პირობებშიც მოგვარებადი იყო, ოღონდ ჭკუა უნდა გყოფნოდა, - არ გამხდარიყავი იმპერიათა ხელში ერთჯერად მოხმარების საგანი.

* * *

არ ვიცი, უნდა გითხრათ თუ არა, მაგრამ კაცი, რომელმაც მას შემდეგ მიამბო ეს, როცა გაიგო რომ წინამდებარე წიგნი იწერებოდა, საქმეში არა თუ საფუძვლიანად ჩახედული გახლავთ, წონადი სიტყვა ეთქმოდა იმ სათანადო წრეში, სადაც ზნეობა კაცობის საწყაოა (ამ ადამიანის ვინაობასა და მისი მონაყოლის შესახებ უფრო დაწვრილებით შემიძლია საუბარი შესაბამის სამსახურებთან თუ ისინი თავიანთ კეთილსინდისიერებასა და სახელმწიფოებრივ ძალისხმევაში დამარწმუნებენ).

როგორც ჩანს (ყოველ შემთვევაში, წყარო ამას ირწმუნება), გივი ლომინაძეს, ჯერ კიდევ აფხაზეთში გამინისტრებამდე ჰქონია ნუგზარ მგალობლიშვილთან კითხვა-მოკითხვის საშუალება. ამის შესაბამისად, ერთ-ერთი იატაკქვეშური შეხვედრა, რომელსაც ზვიად გამსახურდიაც და ნუგზარ მგალობლიშვილიც უნდა დასწრებოდნენ, გივი ლომინაძისათვის არც თუ ძნელად გამოსაცნობი არხებიდან მიუბეზღებიათ (ეგებ ვცდები, მაგრამ ეს შეიძლება, იყოს ცნობილი „სუდილიშჩე“ კოკა გაწერილიას ბინაზე, სადაც ნუგზარ მგალობლიშვილმა და ბორის კაკუბავამ ბატონ ზვიადს ცილი დასწამეს). გივი ლომინაძეს არ გასჭირვებია ამ შეხვედრის (ან რომელიმე სხვის) ფირზე გადასაღებად თავისი ხელისბიჭი შეეგზავნა იქ, რათა სათანადო პროვაკაციისათვის გამოეყენებინა მის სამსახურს იგი მომავალში.

ეს ცოდნია ბატონ ზვიადსაც, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლის (1990 წ. 28 ოქტომბერი-14 ნოემბერი) შემდეგ, მას საქართველოს რესპუბლიკის ახლადდანიშნული შს მინისტრისთვის - დილარ ხაბულიანისათვის (ვაი, უბედურო ჩვენო თავო!) დაუვალებია, აფხაზეთის ასსრ შს სამინისტროში საკადრო საკითხები განეხილა (თუ ეს ასეა, მაშინ მისი ხალხი ან თვითონ რად დაიკარგა მანამდე?!).

იმავე ნოემბერში ახალი მინისტრი „შესაშური სიბეჯითით“ ჩამოსულა სოხუმში, რათა „საძმოდ“ წოდებულ მისი შეიარაღებული დასაყრდენის აფხაზეთურ ნაწილთან ერთად (იყო ასეთი მოფართიფურთე, მაგრამ თავისი მიზნებით საეჭვო ორგანიზაციული სიმრავლე) დაეზვერა ამ მხრივ ვითარება. იმის მიუხედავად, რომ

ამ დროისათვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველთა მოძრაობა, ფაქტობრივად, გივი ლომინაძის საცეცებით იმართებოდა, მეტიც, მან მოახერხა აფხაზეთიდან პირწმინდად მის მიერ შერჩეული და მხარდაჭერილი „კადრები“ შეეგზავნა ეროვნულ ხელისუფლებაში, წითელი გენერალი მისთვის ჩვეული გამჭრიახობით გრძნობდა იმასაც, მისდამი ნდობა ბატონი ზვიადის მხრიდან, სულ ცოტა, განმტკიცებას საჭიროებდა.

სოხუმში ჩამოსულ დილარ ხაბულიანს აქაურმა „საძმოს“ წევრებმა (30-მდე კაცმა) ბანკეტი გაუმართეს აგუძერაში, ვინმე ნოდარ კუჭუხიძის საკუთარ რესტორანში, სადაც გივი ლომინაძე არ დაუპატიჟნიათ. სანამ დილარ ხაბულიანი და „საძმოს“ ბიჭები რაიმე არსებითის გადასაწყვეტად მოითათბირებდნენ, გივი ლომინაძესა და მის პირველ მოადგილეს ალექსანდრე (ალეკო) ლომინაშვილს არათუ აწონილ-დაწონილი ჰქონდათ ვითარება, არამედ ისიც იცოდნენ, „თითეულ „საძმოელს“ თუ რამდენი ჰქონდა წნევა“. ისინი მიადგნენ ნოდარ კუჭუხიძის რესტორანს, სადაც ბიჭები ის-ის იყო, ტაბაკს მიჯდომოდნენ.

ეს ასე იყო დიახაც, მაგრამ ვითომ არაფერი,ამავე დროს დარბაზის კარებიც ჩაერაზათ (აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ასეთი რესტორნების პატრონები იმხანად „ ბაგისკოცნითი“ ურთიერთობით სარგებლობდნენ შს სამინისტროსა და სახელ-მწიფო უშიშროების კომიტეტთან, ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ შეკრებილი საზოგადოების საუბარი ისმინებოდა, ამიტომ გივი ლომინაძემ კარგად იცოდა ახალი „მინისტრისა“ და მის თანამეინახეთა განწყობა).

ბატონმა გივიმ საქმისათვის თავის მობმა იცოდა. თანამეინახეთა განწყობას – „ცა ქუდად არ მიგვაჩნიაო“, დაუპატიჟებლად მოსულმა სტუმრებმა სათანადო საპირწონე - ვითომ თავმდაბლური მიამიტობა მიაგებეს და ყოველგვარი ღირსების გარეშე დააკაკუნეს ჩარაზული სარკმლის მინებზე, რათა შიგნით შეეშვათ. ასეც მოხდა.

ამის შემდეგ, როგორც ეს წყარო ირწმუნება, ბატონი ზვიადის ზურგს უკან, პრინციპით „გული გულს იცნობს და ღონე ღონესო“ - მოხდა სათანადო გარიგება, გივი ლომინაძემ 2 მილიონი საბჭოთა მანეთი დაასაწყობა (1 დოლარის კურსი იყო მაშინ 83 საბჭოთა კაპიკი) და იგი მისთვის საიმედო პიროვნების მეშვეობით „სადაც ჯერ არს“ მიიტანა (ამ კაცის ვინაობაც შემიძლია, დავასახელო ქვეყნის უსაფრთხო-ების სამსახურებში).

ამის შემდეგ გივი ლომინაძის მიმართ, დღევანდელი სიტყვით რომ ვთქვათ, შესაბამისი პიარი ამუშავდა: აფხაზეთში ყველა წაღმა გადადგმულ ნაბიჯს გივი ლომინაძეს მიაწერდნენ, მას შეუცვლელ, ერთგულ და ქვეყნისათვის საჭირო კაცად უსურათხატებდნენ ბატონ ზვიადს.

ამვე დროს, როგორც ეს წყარო ადასტურებს გივი ლომინაძე, რომელსაც მარტო ე.წ. „ГАИ“-ს ფსოუს პოსტიდან ყოველდღე შემოსდიოდა 100 000 (ასი ათასი) მანეთი, ახალი მინისტრის ჯიბესაც მნეობდა: მან მოახერხა და იმ კაცის ძმა, რომელმაც

2000000 (ორი მილიონი) მანეთი ჩაუტანა „ეროვნული ხელისუფლების“ შს მინისტრს, - „უსაფრთხოების განსამტკიცებლად“ ახალი მძღოლი დაუნიშნა, რომელიც მანამდე ჩვეულებრივი „გაიშნიკი“ გახლდათ ეფრეიტორის წოდებით. იგი უცებ გახდა კაპიტანი, დღეს კი გენერალია.

ამ მომავალი გენერლის, ანუ გივი ლომინაძის თვალ-ყურის გარეშე ნიავი ფარდას ვერ შეარხევდა მაშინ საქართველოს რესპუბლიკის შს სამინისტროში.

არის ერთი ანდაზა, **„ძრობამ თქვა, ერთი ფეხისდასაბიჯებელი მომეცი და დასაწოლს მე თვითონ ვიპოვიო“.** აქაც ასე მოხდა, ბატონი გივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტახტზე შინაურ კაცად გაიშხლართა.

მისი საქციელიდან ისე ჩანდა, რომ ყველგან და ყველაფერში ზვიად გამსხურდიას დავალებას ასრულებდა, მისთვის თავგასაწირად მზად იყო, საკუთარ მამას ერჩია...

თუ როგორ უერთგულა გივი ლომინაძემ ზვიად გამსახურდიას, ამის დასტურია 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერი, როდესაც ზვიად გამსხურდია სამეგრელოს უღრანებში შეხიზნული დევნილი იყო, ხოლო გივი ლომინაძე საგანგებო სახელმწიფო მინისტრი სამეგრელოში, სადაც მის დაუკითხავად ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა. ჰოდა, სწორედ გივი ლომინაძის თალსაფხიზლო მოსაზღვრულობის წიაღში დაიღუპა იგი საეჭვო ვითარებაში, ტყვიადახლილი და იცით ეს, - ბოქვენის ძვლებჩალეწილი... ასეთი გახლავთ სიცხადე!...

* * *

გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ უგუნურებისა თუ პროვოკაციის მორიგი გამოვლენა გახლდათ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სტუმრობასთან დაკავშირებული მოვლენებიც 1990 წლის ოქტომბერში, როდესაც მას გუდაუთის რაიონში უნდა მოენახულებინა და მოელოცა ლიხნის მრავალსაუკუნოვანი, ქართული ასომთავრულით მოღაღადე ტაძარი.

ამ ღვთივსათნო საქმეს გივი ლომინაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილის საეჭვო გულმოდგინებამ მორიგი არამზადობა მიანაღმა.

მოგეხსენებათ, 1990 წლის 28 ოქტომბრისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალისხმევით, პირველად საბჭოთა სინამდვილეში, დანიშნული იყო მრავლპარტიული არჩევნები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსი. ბუნებრივია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), იმ დროს, როდესაც ყველანაირი პოლიტიკური სუბიექტი ცდილობდა საკუთარ ყულაბაში სათანადო ქულების მოგროვებას, გივი ლომინაძეც, როგორც „მრგვალ მაგიდას“ თვითმარქვი-

ად მიტმასნილი (და შემდგომში მასში თვითდამკვიდრებული), ეცდებოდა ასეთ ქულათა ყველა საშუალებით, მათ შორის საძრახი ხერხით მოძიებას.

სწორედ ამ მიზნით, როგორც გითხარით, უწმინდესისა და უნეტარესის სურვილისათვის, - მოეთვალიერებინა, შესახლიკაცებოდა და დაელოცა აქაური (გუდაუთის რაიონის) მოსახლეობა, სცადა მან, მიება თავისი ვერაგული გეგმები.

ზემოთ, რამოდენიმე ადგილზე უკვე მოგახსენეთ, ამ დროს გუდაუთის რაიონში არიან აფსუათა სახალხო ნდობით აღჭურვილი ცალკეული პიროვნებები (განსაკუთრებით კონსტანტინე ოზგანი) და საბედნიეროდ, სახალხო ძალებიც კი (მაგალითად, ე. წ. უხუცესთა საბჭოს ერთი ნაწილი გრიშა აიბას ხელმძღვანელობით), წარმოიდგინეთ, რამხელა წინგახედული და საწმოხონო იქნებოდა, ქართულ მხარეს მოეძია გუდაუთის მოსახლეობის ერთი ნაწილის მხრიდან ასეთი მზაობა და მათ წარმომადგენლებთან ერთად ხლებოდა კათოლიკოს-პატრიარქს გუდაუთის რაიონში მოგზაურობისას.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შემდგომში კონსტანტინე ოზგანმა ვასილ კადენეცთან საუბრისას სულ მამისა და დედის საფლავები უგინა ჩვენი ხალხების დამაახლოებელი ხიდის ჩამხერხავებს (მისი სიტყვებია). ეს კი, იმ საგუდაუთო შემთხვევაში, ნებით თუ უნებლიედ, როგორც გინდათ ჩათვალეთ, გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და „კომპანია“ გახლდათ.

არავითარ შემთხვევაში არ გჩრით სასურველს, კონსტანტინე ოზგანი თანამიმდევრული სეპარატისტი იყო, მაგრამ მოტივაციაც ჰქონდა ქართულ მხარესთან საურთიერთოდ გარიგებულიყო.

მოკლედ, გივი ლომინაძის თვითმარქვიული, გნებავთ დანაშაულებრივად უგუნური თვითშემოქნედებითი გადაწყვეტილებით, ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა უწმინდესმა და უნეტარესმა, მას „დაცვად“ აახლეს აწგანსვენებული გენო ადამია ერთი „ძველბიჭური“ ყაიდის მოწესე (შემდგომში ედ. შევარდნაძის მიერ გენერლის სამხრეებმოკერებული) და მისგვართა კრებითობა. რაც ყველაზე სათავზაროა, გივი ლომინაძის მითითებით მათი მანქანების საბარგულები გაიძეძგა ცეცხლსასროლი იარაღით.

ამაზე დიდ საზიანოს უწმინდესისა და უნეტარესის ღვთივსათნო ხელგამოღებას - დაელოცა ხალხი, მტერიც ვერ მოუწყობდა. დედა ეკლესიის ავტორიტეტს რა უნდა მიშხეფებოდა უფრო შემზარავი, რადგან კათოლიკოს-პატრიარქის ძლევამოსილი იარაღი მხოლოდ ჯვარი და ლოცვა გახლავთ.

ამ დროს წითელმა გენერალმა მას ქვეშქვეშურად გამოაყოლა (ვავა და კიდევ ვავა!) შეიარაღებული თანმხლებლები. ამას სახელი თქვენ თვითონ დაარქვით!...

გუდაუთის რაიონში უწმინდესისა და უნეტარესის შებიჯებისთანავე, რაღაც საამდროოდ ჩასაფრებულმა ძალებმა მყისვე აცნობეს „იქ, სადაც საჭიროა“, შეიარაღებული ქართველების „შებლატავება“ (უკაცრავად, იმას, რაც ხდებოდა, ასე ჰქვია). გუდაუთაში მობოგინე ექსტრემისტული წყობის თავგახურებულებმა, რომლებიც

არაკეთილმოსურნედ მიეჭრნენ ასეთი ვერაგული მოულოდნელობით გაოგნებულ კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს და მის თანმხლებ პირებს, უბოდიშოდ ამოაყირავეს საბარგულებიდან ცეცხლსასროლი იარღები და დაიწყო ამისდაშესაფერისი ურთიერთობის რკვევა.

როგორც ხმა გამოვიდა, გივი ლომინაძის მიერ შერჩეულმა „დაცვამ“, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ვერ აჩვენა ქრისტესმხედრობის ნიმუში. მხოლოდ უწმინდესისა და უნეტარესის სიბრძნემ და გუდაუთელ უხუცესთა დროულმა წინგახედულობამ გადაარჩინა ვითარება ფეთქებადსაშიშ განვითარებას (თუმცა, არც ის, რაც მოხდა, ზღვის ნიავი არ იყო).

გივი ლომინაძეს, მასთან ერთად, პირველ რიგში აკაკი გასვიანს, ნუგზარ მგალობლიშვილსა და ა. შ., რომელთა მეშვეობით ცდილობდა „абхазец“-ური მხარე ქართველებისკენ გამოღწევას, რომ გაეთვალისწინებინათ შესარიგებლად აფსუათა ერთი ნაწილის მზაობა, რომელიც, მართალია, ცალკეული პიროვნებებისაგან, მაგრამ პიროვნებას გააჩნია, კი ბატონო, კანტი-კუნტად, მაგრამ მაინც რომ არსებობდა, მაშინ უწმინდესისა და უნეტარესის მოგზაურობა გუდაუთის რაიონში მიიღებდა ძუძუმტეობისა და სახლიკაცობის გადღესასწაულების ხასიათს. იგი აქაურ მოსახლეობაში გაამუხლმაგრებდა სახალხო ნდობას და მეტიც, იმ ამომრჩეველს, რომელთა მეშვეობით კრემლმა დროსა და სივრცეში გაასაგნა „აფხაზი ერის ბოიკოტი“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების მიმართ“, მბჟუტავ ნდობას არ ჩაუქროდა, სხვა სახეს მიიღებდა საზოგადოებრივი მზაობაც და იგი თავად გადაიქცეოდა იმ დარაზმულობად, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებდა ამ არჩევნების ქმედუნარიანობაზე.

<u>ამრიგად, თვით აგრესიული სეპარატიზმის რიგებში, დიახ, მისი ეთნოკრატიის წიაღში, მეტიც „абхазец“-ური ცნობიერების ასათარეშებელი შტაბის სადისლოკაციო სივრცეში - გუდაუთის რაიონში ცალკეული პიროვნებების სახით იყო ანგარიშგასაწევი პოლიტიკური სიცხადე, რომელსაც ხელს არ აძლევდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან წინმსწრებმტკიცებითი (აპრიორული) აკვიატებისა და „ხიშტით მიგებების“ წესით თანაარსებობა.</u>

რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კრებითობა, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საბჭოთა დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის შედეგი, ძალიან ბუნდოვნად იცნობიერებდა, ზოგჯერ სულაც არ ითვალისწინებდა მათ ცხვირწინ - ლიხნის მრავალსაუკუნოვან ტაძარზე ქართულად აღაღადებულ ვინაობას, უფრო პირიქით იქცეოდა, მაგრამ ურთიერთყურისგდების საჭიროება უეჭველი უბედურების პირისპირ რომ აუცილებელი იყო, ამას მკაფიოდ ხედავდა - აქედან გამომდინარე, რაღაცის დასათმობად ის მზად გახლდათ.

<u>ამ კრებითობის ყველა გამობილიკებას ქართული საზოგადოებისაკენ სალკლდედ დაუდგა გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილის, აკაკი გასვიანისა</u>

<u>თუ სხვათა ორპირული ქვეშქვეშობები და საბოლოო შედეგის თვალსაზრისით - ბოროტმოქმედული ცრუმოძრაობები, რითაც ქართულმა საზოგადოებამ, უფრო სწორად, „მრგვალი მაგიდის“ ანალიტიკურმა ცენტრმა არც კი იცოდა, რომ თვით აგრესიული სეპარატიზმის შიგნით არსებობდა ასეთი სახალხო რესურსი.</u>

როდესაც ამდენი წლის შემდეგ ამ საკითხს ვიხსენებ, მიკვირს და ვერ ამიხსნია, რა ისეთი ჯადო-კლიტე ედო ამ მონდომებას, რომ ერთმანეთისკენ სასახლიკაცოდ ვერ გააღწია.

ნუთუ, ამდენად შეიძლებოდა, გაგეწირა შენი ქვეყანა, სახელმწიფო, ხალხი, ბოლოს და ბოლოს საკუთარი შვილები, სანათესაო, რომ ჩაგეხერგა ეს გზები?!.

არადა, თვალწინ მიდგას ნელი თარბას, სეპარატისტული ეთნოკრატიის ერთ-ერთი აგრესიული წარმომადგენლის თვალები, როდესაც ის საქართველოს კპ სოხუმის რაიკომის მეორე მდივნის დინა რეკვავას შუამდგომლობით შემხვდა და მერაბ კოსტავას ფონდში ერთი საკითხის მოგვარება მთხოვა (იხილეთ ჩემი წიგნი „ვინ ჩაშალა“...).

ნებისმიერი ძალისხმევა ჩვენის მხრიდან ამ მიმართულებით, რათა „კოლხური კოშკი“ ამომწურავად ყოფილიყო მოვლენებში გათვითცნობიერებული, იბლოკე-ბოდა და ეროვნულ მოძრაობასთან დაპირისპირებად განიხილებოდა აწ უკვე გივი ლომინაძის ქვეუწყებად გადაქცეულ სააფხაზეთო „მრგვალ მაგიდაში“.

გარდა ამისა, კიდევ ერთი საიმედო სვლაგეზი აღმოჩნდა წიხლამოკრული: საქმე ისაა, რომ ქ. სოხუმის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის - ჯონი გუბაზის გარშემოც თავმოყრილი იყო აფსუა ხალხიდან გამოსული წინგახედული, საღად და სწორად მოაზროვნე პიროვნებათა ანგარიშგასაწევი ვინაობები, რომელთაც ასევე სურდათ საკითხების შეჯერება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ამ მიზნით ჯონი გუბაზმა თავის მოადგილეს - გულივერ მელიას (ქართველს) სთხოვა, მოესინჯა სამერმისო გზები.

სამწუხაროდ, ისევ და ისევ წითელი გენერლის - გივი ლომინაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილისათვის გულივერ მელია საბჭოთა პარტფუნქციონერად განიხი-ლებოდა და მის ძალისხმევებს შედეგი არ მოჰყოლია.

უმნიშვნელო წვრილმანია?! შეიძლება, მაგრამ ასეთი „წვრილმანებით“ მოხერ-ხდებოდა იმ საავმოსურნეო ხვრელების ამოგოზვა, საიდანაც საომარმა ავანტიურამ შემოითარეშა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში!

დიახ, გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და „კომპანია“ დგას ამ ბოროტმოქმედებისა და საუკუნის ღალატის უკან.

რა თქმა უნდა, აქ ოდნავადაც არ მავიწყდება არც კრემლის დივერსიული მიზნები და აღარც აგრესორ-სეპარატისტთა ვერაგობანი, მე სხვა რამ მაუბედურებს, - როგორ აღმოჩნდა ჩვენში ამდენი მოღალატე?!.

* * *

ამ ბოლო დროს გარკვეულ წრეებში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ასევე, იმავდროულად ამჟამად საქართველოს პარლამენტის წევრი ქალბატონი ადა მარშანია ყოვლად უსაფუძვლოდ განიხილება იმ „მეტრად“, რომლის თვალსაწიერში უნდა გასიგრძეგანდეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხი.

არაა ეს ასე!..

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ქალბატონი ადა, ისევე, როგორც მამამისი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლორიკ მარშანია, ძირითადად თბილისისაკენ იყურებოდა, იყურება და, მიუხედავად საცდურისა, არ მიმხრობია კრემლიდანურ პროვოკაციებს, - ქართველი ერი არ მიუჩნევია მტრად. სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 20 მარტის ჩაშლილი არჩევნების წინ მათი სახელი და გვარიც ვუხსენე ბატონ ზვიადს იმათ სიაში, რომლებიც ქართველებს ზურგში მახვილს არ ჩასცემდნენ.

ვინც ჩახედული ბრძანდება აგრესიული სეპარატიზმისა თუ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შინაარსში, დამეთანხმება, რომ ეს არაა პატარა საქმე.

მაგრამ დღეს, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციის საკითხი მოითხოვს ოქრომჭედლური სიზუსტით მოზომილ ნაბიჯებს, <u>ამ საქმის მტრებად დავიდგენთ თავს თუ არ ვაღიარებთ, რომ ქალბატონ ადას ამ მიმართულებით გარდა ემოციური გაბრახუნებისა და აწივლებულ ბგერათა მჭიდიდან დაცლისა, წონადი განმარტება იმისა თუ რატომ უნდა იყოს აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში - არ გააჩნია.</u>

აფხაზეთი მისთვის დღესაც მოიაზრება იმ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპით, რომელიც ბოლშევიკურმა რუსეთმა დააკანონა. იგი ამ ქალბატონისათვის არ გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო.

ეს ერთი, მეორეც: ქალბატონ ადა მარშანიას გავლენა აფსუა მოსახლეობასა და დევნილთა საზოგადოებაზე არის ნულის ტოლი.

მესამე: მიუხედავად იმისა, რომ იგი აგერ უკვე კინაღამ 22 წელია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს წევრი გახლავთ, აფხაზეთში ვერ დაასახელებთ საარჩევნო ოლქს, სადაც მან კენჭი იყარა ამ ინსტიტუციაში შესაღწევად. იგი, 1992 წლის 11 ოქტომბერს ხუნტის მიერ ედუარდ შევარდნაძის „გასალეგიტიმურებელი“ ე.წ. არჩევნების გზით მოხვდა საქართველოს პარლამენტში, საიდანაც 1995 წელს კოპტირებული იქნა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში (დამეთანხმებით, რომ კოპტირება, როგორც სამართლებრივ-ორგანიზაციული დასკვნა, დეპუტატის შინაარსთან წინააღმდეგობაში გახლავთ... და მეორეც, როგორც მაშინ გამოითქვა აზრი ამ ე. წ. არჩევნების წინმსწრებად 2 ოქტომბერს ხუნტამ მტერს ჩააბარა ქ. გაგრა, რათა საფრთხეში ჩავარდნილი მოსახლეობის ყურადღება ხუნტის „არჩევნების -აუცილებლობაზე“ მიეპყრო).

მეოთხე: მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ადა „გააფთრებული“ ებრძვის ყველგან და ყველაფერში კორუფციას, იგი არათუ არ „ამჩნევს“, თავისი საეჭვო ლეღვისფოთლობით ხელს უწყობს კიდეც ე. წ. აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებაში დღემდე აულაგმავ ელიტარულ კორუფციას.

მე ვერ ვიხსენებ, რომ სადმე მას გია გვაზავა, დავით გვაძაბია, ანზორ წოწონავა, გივი ლომინაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და ა. შ. ხელმრუდობისათვის ან სულნაცდურობისათვის დაეგმოს.

ის კი არადა, მან თვითონ მამამისის, აწგანსვენებული ლორიკის ხსოვნას არ სცა პატივი, როდესაც ნუგზარ მგალობლიშვილს ხელი შეუწყო მხილებიდან თავდაძვრენაში. საქმე ისაა, რომ (ხომ შემოგკივლეთ ეს!..) ბატონი ლორიკი 1991 წლის 29 სექტემბერს კენჭს იყრიდა აფხაზეთის ა/რ-ის უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

როგორც ერთხელ უკვე ზემოთ გითხარით, მას შემდეგ, როცა გივი ლომინაძე, ანუ მისგან მართვადი აფხაზეთის ე. წ. „მრგვალი მაგიდა“ (ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავია, თემურ ლორთქიფანიძე და ა. შ.) გაურიგდა აგრესიული სეპარატიზმის ლიდერებს, 28 სექტემბერს ბატონ ლორიკს საკუთარ სახლში, ღამით ნუგზარ მგალობლიშვილმა და თემურ მჟავიამ, თანმხლებ კრიმინალებთან ერთად მოსთხოვეს, თავი მოეხსნა ვლადიმერ არდაშის ძე აშხაწავას - სასარგებლოდ, რომელიც 1992-93 წლების საომარი ავანტიურის დროს უმწეო და მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის ერთ-ერთი ჯალათი გახლდათ (როგორც მითხარით, პირადად ხელმძღვანელობდა უმწეოთა დახვრეტებს).

ბუნებრივია, ბატონმა ლორიკმა ამაზე უარი განაცხადა. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რადგან ეს შემთხვევითობა არაა, ეს ბოროტმოქმედება და ქვეყნის ღალატია: გაიმართა არჩევნები, ლორიკ მარშანიასა და ვლადიმერ აშხაწავას შორის გამოცხადდა მეორე ტური (გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“, 1991 წ. 1 ოქტომბერი). მეორე ტური დაინიშნა ასევე კელასურის №65-ე საარჩევნო ოლქში ჩემსა და თემურ მჟავიას შორის. ეს ყველაფერი უკვე ვთქვი, მაგრამ იმ მხრივ მიაქციეთ კიდევ ერთხელ ყურადღება, ასეთ წვრილმანში რომ არხეინობს ეშმაკი.

სწორედ ამ გარიგების საფუძველზე (გივი ლომინაძის მეორე შეთანხმება, უფრო სწორად „სდელკა“ ვლ. არძინბასთან) ოფიციალურად გამოცხადებული მეორე ტურის ჩასატარებლად არავის შეუწუხებია თავი: ხელაუკანკალებლად და პირდაპირ გადავლის წესით ოჩამჩირეში დეპუტატად დაინიშნა ვლადიმერ აშხაწავა, ხოლო სოხუმის რაიონის კელასურის №65-ე საარჩევნო ოლქში თემურ მჟავია, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბატონ ლორიკსა და აქ მე, ძალიან ცოტა გვაკლდა გამარჯვებამდე.აი, ამ კაცს (ნუგზარ მგალობლიშვილს) ადა მარშანია გვერდში დაუდგა და მასთან ერთად ხელი მოაწერა შესაბამის სამსახურებში 2011 წელს გაგზავნილ საჩივარს - სერგი საჯაიამ მიხეილ სააკაშვილზე კრიტიკული წიგნი დაწერაო.

დავბრუნდეთ უკან: სხვათაშორის, იმავე არჩევნებზე, 1991 წლის 29 სექტემბერს, გივი ლომინაძემ, ნუგზარ მგალობლიშვილმა და ა. შ. ქ. სოხუმის № მე-6

სარჩევნო ოლქში ქართულ საზოგადოებას მოუწოდეს და თავიანთი აქტივისტებისა თუ კრიმინალების მობილიზებით ყველაფერი გააკეთეს, რათა არ გაემარჯვა ვასილ კადენეცს ან ნიკოლოზ მისტაკოპულოს და დეპუტატად გასულიყო ვიქტორ ივანეს ძე ვასილიევი, რომელსაც „მრგვალი მაგიდის“ (უფრო სწორად, გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილის, მანანა ძოძუაშვილისა და ა. შ.) მხარდამჭერი სატელევიზიო მოწოდება უმაგრებდა ზურგს.

მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ვასილი კადენეცი ჩვენთან ერთად გამოაძევეს აგრესორებმა, არც ნიკოლოზ მისაკოპულოს უორპირია ქართველებთან. ხოლო ვიქტორ ვასილიევი დღემდე აგრესორ-სეპარატისტთა დასაყრდენია ოკუპირებულ სოხუმში, ამასთან დაკავშირებით არც გივი ლომინაძეს, არც ნუგზარ მგალობლიშვილს და ა. შ. ისიც არ განუცხადებიათ, ვერ გავთვალეთ და დასანანი შეცდომა მოგვივიდაო.

პირიქით.

* * *

6. თქმულა: „ბორდელს ვერ გახსნი იმ ქალაქში, სადაც ბოზები არ დაშლიგინებენ“ - დიახ, 1991 წლისათვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართული საზოგადოება ეროვნულ მოძრაობაში მიზნობრივად დელეგირებული დესტრუქციული ძალების მიერ მოიაზრებოდა მხოლოდ ბიომასად, კინაღამ მხოლოდ ანკეტურ გროვად, მეტიც, „დამუშავებულ“ ელექტორატად, ანუ პოლიტიკურ ბორდელად.

სამწუხაროდ, საგანგაშო ის გახლდათ, რომ ასე მხოლოდ გივი ლომინაძისა და ნუგზარ მგალობლიშვილის მიერ <u>დალოზუნგებულ მწყობრში კი არ იდგენდნენ თავს, ამად გადაქცევა, დიახ, დიახ, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, თვითონ საზოგადოებას სურდა. ეს იყო ღვთისწყრომა, ასე დღესასწაულობდა ეშმაკი, თორემ სხვა შემთხვევაში ჩიხიდან გამოსავალს კი იპოვიდა კაცი.</u>

ის, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული ფრაქციის სრული შემადგენლობა „არჩეულია“ აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებელ, ანუ წითელ გენერალ გივი ლომინაძის კაბინეტში ნუგზარ მგალობლიშვილისა და და ა.შ. თანამონაწილეობით დაზუსტებული სიის მიხედვით, საზოგადოებისთვის არ უნდა დარჩეს „რა მოხდა მერეს“ დარ მოვლენად. ის კი არა და, შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ ეს სია, ისევე, როგორც მთელი საარჩევნო კომპანია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებისა, შეთანხმებული გახლდათ აგრესიული სეპარატიზმის ეთნოკრატიასთან - უფრო ზუსტად, ვლადისლავ არძინბას ბანაკთან. რაც დრო გავა, უფრო და უფრო გამომზეურებულ ვერაგობაში გამოვლინდება საუკუნის ღალატი.

ამ მხრივ, მართალია, ნაპო მესხიას წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ (თბილისი, 2009 წ.), კი გახლავთ მთელი რიგი შეუსაბამობებით დახუნძლული,

მაგრამ მასში არის ზოგიერთი პირველ წყაროული მტკიცებულება, რომელიც გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ მოღალატური საქმიანობის დადასტურებას წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბატონ ნაპო მესხიას მსჯელობაში ამ საკითხზე, რომელიც სწორედ მაშინ ისაგნებოდა წიგნად, როდესაც მას აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა, იმ დროის მოვლენათა მიზეზ-შედეგებში გარკვევას თუნდაც იმიტომ მოითხოვს, რომ იგი თავისი წიგნის მე-3 გვერდიდან ბოლო, 360-ე გვერდამდე თვითონ გივი ლომინაძის მიერ პირადად მისთვის „მიამხანაგებულ-მიმეგობრებულ“ პიროვნებებს სახიფათო გულუბრყვილობით ზნეობის საწყაოდ და „გულითად მეგობრებად“ მიიჩნევს. არადა, ისინი ჩვეულებრივი მედროვე, გაიძვერა, მომხვეჭელი და ქვეყნის (განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) უსაფრთხოების ფეხებზე დამკიდებელი გახლდნენ (კ. ჯაჭვლიანი, ა. გასვიანი).

ამავე დროს, პირდაპირ უნდა ვთქვა, ბატონი ნაპო მესხია, რომელიც კი ბრძანდება მაღალი დონის ნეიროქირურგი, მაგრამ ეს სულაც არაა წინაპირობა იმის (ძალიან რბილად რომ ვთქვათ), რომ იგი დიდოსტატურად ერკვევა მიზნობრივ-გაიძვერული პოლიტიკის ვერაგობათა ხლართებში.

პირველი, რაც უნდა ვიცოდეთ მისი წიგნის გაცნობისას, გახლავთ ფაქტების აღნუსხვის მეტ-ნაკლები სისწორე და არა მათი მისეული კომენტარები. დიახ, ამ ფაქტების აკრიალოსნებისას იგი მოვლენებს არავითარ შემთვევაში არ აყალბებს განგებ, შეიძლება შეცდეს, მაგრამ ესეც ადამიანური თვისება გახლავთ.

ამავე დროს, ბატონი ნაპო ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა. ეს ყველაფერი საკუთარი თვალით დაინახა, კი ბატონო, მის მიერ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული დასკვნა, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლევა ეპოქის სახეზოგად სურათს, მაგრამ მოვლენათა კონტურები მოთვალსაწიერებულია: ის, რაც მისი, როგორც თვითმხილველის ცხვირწინ დაიყარა, ორ ფერში - შავ და თეთრ რაობაში ნამდვილადაა შეთვალიერებული. არაა ეს ცოტა, თუ იმასაც ვიტყვით, რომ ამ წიგნში ავტორმა გაბედა ეთქვა ნაწილობრივი, ფრაგმენტული, მაგრამ მაინც სიმართლე, - გივი ლომინაძე არ ასრულებდა საქართველოს მოსახლეობის მიერ 1991 წლის 31 მარტს სახალხო რეფერენდუმზე გამოხატულ ნებას.

ამის გასწვრივ, იმის „მტკიცება“, რომ ნაპო მესხიას მის მიერ თანამოსანგრედ მიჩნეული ერთ-ერთი დეპუტატი, ვითომცდა, გვერდში ედგა ან კიდევ იგი, ბატონი ნაპოს შთაბეჭდილებით კინაღამ მახვშად თავდადგენილი, ერთგულებდა ეროვნულ-სახალხო ღირებულებებს, დრო ადასტურებს ამას, ძალიან დიდი მიამიტობაა. თუმცა, ვიმეორებ, წიგნში დანახულია მთავარი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) „ქართული“ პარტოკრატიის კოლაბორაციული ვინაობა და გამცემლური ბუნება.

რაც შეეხება ღრმად პატივცემულ ნაპო მესხიას თანამოსანგრეებად მიჩნეულ-თაგან ამ ერთ-ერთს, იგი ღმერთმა გაანათლოს, მაგრამ მისი გადეპუტატება თავად გახლდათ იმის მტკიცებულება, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში სამო-ღვაწეოდ ქართულმა მხარემ ვერ შეარჩია ისეთი სადეპუტატო დარაზმულობა, რო-მელიც თავისი კომპეტენტურობით და პოლიტიკურ ცრუმოძრაობებში გარკვეუ-ლობით, რაც მთავარია, ეროვნულ-სახალხო მიზნების მოძლიერებას პირადი ამბიციების დათმობით შეეშველებოდა და ამით აგრესორ-სეპარატისტთა გამობ-რძმედილობას მიეპირწონებოდა.

ამიტომ, ეს „დეპუტატი“, რომელიც ამ დროისათვის ქ. სოხუმის სადგურში კი არ ტაქსაობდა, საკუთარი მანქანით „ჭიჭიკოობდა“ (ერთი და იგივე არაა), ბიჭვინ-თის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის, ქიაჩისა და ილორის მადლმოსილ ხატთა სუ-ლიერ ან ცნობიერ თვალსაწიერში ვერ იქრისტესმხედრებდა. ის იმის კაცად უნდა დარჩენილიყო, ვინც ამ მარაქაში ყოვლად დაუმსახურებლად გარია (ვიმეორებ, ქართული საზოგადოებისთვის ასეთი დეპუტაციის თავსმოხვევა რომ თავიდანვე წასაგები მოვლენა იყო, ეს ჩვენი კუთხის ქართველობას არც დაულანდავს, რადგან ისე ხელმარჯვედ გამოათაყვანეს, ამით შეურაცხოფილადაც არ უგვრძვნია თავი).

მართალია, ბატონ ნაპო მესხიას ამ წიგნში, როგორც მოგახსენეთ, დიახაც არის სწორად დანახული და შეფასებული მოვლენები, მაგრამ არის ასევე არ შემჩნეული ქუჩისფსკერულობაც, რომლის არ დანახვა და მით უფრო, მასზე თვალის დახუჭვა, არ მეტყველებს ავტორის მიუმცდარობაზე.

ასე მაგალითად, დროის წალაზღანდარებისას დეპუტატად აღზევებულ სად-გურზე მომარიფათე „ჭიჭიკოს“, რომელსაც ბატონი ნაპო მესხია „ბაგისკოცნითი“ მიმართვებით ანებივრებს და „ზნეობის კვარცხლბეკად“ გვინიშანსვეტებს, ომის დაწყებამდე (1992 წლის 14 აგვისტო) ორი კვირით ადრე ნაპო მესხია სრულიად ნებაყოფილებით განდობია იმ კონსტრუქციულ ურთიერთობათა შესახებ, რომლი-თაც ქართული მხარისკენ გამობილიკებას ცდილობდნენ კონსტანტინე ოზგანი და მისი მომხრეები.

კიდევ ერთხელ ხმამაღლა გეუბნებით, ყურმოკვრით მარტო კი არა, ზედ-მიწევნით ამომწურავად ვიცი კონსტანტინე ოზგანის არა თუ პოლიტიკური და ზნე-ობრივი ანატომია, საფუძვლიანად შევისწავლე მისი ახალგაზრდული გატაცებებიც. კი ბატონო, მას ყოველთვის დისკომფორტს უქმნიდა მის მშობლიურ გუდაუთის რაიონში, კერძოდ სოფელ ლიხნში მრავალსაუკუნოვანი ქართული ტაძარი რომ კოლხად მუხლმაგრობს და ჩვენი ასომთავრულით აშინაარსებს ამ მხარეს. გადმოცემით კი არა, ჩემი ყურით მაქვს განაგონი 1989 წლის 1 აპრილს გაგრაში, ქართველთა მიტინგზე კონსტანტინ „კონსტანტინოვიჩის“ მრისხანე მოწოდებები, გჭირდებათ? რა ჩამოგითვალოთ მეტი?

... მაგრამ კონსტანტინე ოზგანი, იმით იყო ამ დროისათვის საინტერესო, რომ მას მოვლენათა განვითარების ყველა სვლაგეზი გათვლილი ჰქონდა და შესაძ-

ლებლად მიიჩნევდა ქართულ მხარესთან პოლიტიკურ თანაარსებობას საერთო სახელწიფოში.

კრემლის ვერაგული გეგმებისა და უფრო უარესი სახუნდარის გასწვრივ, უკეთესის მიღწევამდე მისგან ეს არ იყო ცოტა.

<u>ახლა მეტი თქვენ დამისახელეთ, რომელიც შედეგში გადაგვეზარდა და მე დიდი ბოდიშითა და თავზე ნაცრის გადაყრით წავიღებ უკან ჩემს სიტყვებს.</u>

ეს განდობა, როგორც ბატონი ნაპო წერს (ზემოთხსენებული წიგნი, გვ. 63), ყოფილი „ჭიჭიკოს“ გარდა მოისმინა აკაკი გასვიანმა და ჯემალ გამახარიამ. მართალია, ავტორს მიაჩნია, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, რომელიც მხოლოდ ამ სამმა კაცმა იცოდა მის გარდა, არავითარ შემთხვევაში არ გაითქმებოდა ამ ოთხი კაციდან, მაგრამ იგი უმალვე ცნობილი გახდა გივი ლომინაძის „მთავარი ბანაკისათვის“ (ელგუჯა გვაზავა, ეთერ ასტემიროვა, დავით გვაძაბია, ნუგზარ მგალობლიშვილი, რაისა ქარაია და ა.შ.), რომელთაც დროის დაუკარგავად, აგრესორ-სეპარატისტთა კვალდაკვალ, საქმე საომარ ავანტიურამდე მიიყვანეს. საოცარია და ამის შემდეგ ბატონ ნაპოს კიდევ სჯერა, რომ ეს საიდუმლო რაგადობა, რომელიც მათ შორის შედგა, გივი ლომინაძეს „ზღვიდან მონაბერმა ნიავმა მიუტანა“. რა ვქნა, პირდაპირ უნდა ვთქვა, - კაცი, რომელიც სახელმწიფო მოღვაწეა, ასე გულუბრყვილო დასკვნებს არ უნდა აკეთებდეს...

ეს საომარი ავანტიურა კი იმისათვის იყო საჭირო, რომ შესრულებულიყო კრენლიდანური დაკვეთა, რაც ადგილობრივ კოლაბორაციონისტებს გაუნაღდებდა „ფეხის ქირას“. „ჭიჭიკო“ სწორედ მათი კაცი იყო და არა ბატონ ნაპო მესხიას თანამოსანგრე.

ამასთან დაკავშირებით უფლისა და ერის წინაშე ვაცხადებ ერთ ცნობილ, იმ დროისათვის ფართოდ გახმაურებულ ამბავს: ზემოთხსენებული „ჭიჭიკო“ დევნილობაში (1994 წ.) მაღალ თანამდებობაზე გაიქაჩა (შემდგომში ეს თანამდებობა თავის იატაკქვეშა გულისსწორს დაუტოვა, რადგან ბატონ ნაპო მესხიას დაპირისპირებულთა საღმავლო კიბეზე კიდევ უფრო დაწინაურდა).

ჰოდა, როგორც ამბობენ, 1994 წელს ბატონი „ჭიჭიკოს“ ალალ დას დასჭირდა რამოდენიმე ათასი დოლარი. მას, ვისაც ამის მოსაკრებლად მიადგა, ვალის გასტუმრების ვადა ასე დაუთქვა: **„ორ თვეში ჰუმანიტარული დახმარების ახალი პარტია შემოვა, მას გავაფულებ და შენც გაგისტუმრებო“ (იგი ამ მიმართულებით მუშაობდა).**

არა მგონია, ბატონ ნაპო მესხიას არ გაეგო მის მიერ „სანდო“ კაცად მიჩნეულის ასეთი „მოღვაწეობა“ აქ, დევნილობაში. თუ ვერ გაიგო, - პოლიტიკოსად არ ვარგებულა, ხოლო თუ გაიგო და, ამ შემზარავი სულგაყიდულობის მიუხედავად, დევნილ საზოგადოებას მაინც უნდომებს თვალებში ნაცრის შეყრას, თან ჩვეულებრივ მედროვეზე, უვიცზე, ვირეშმაკზე და ჯიბგირზე წესიერი კაციაო ამბობს, ეს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, არანაკლები დაღალატებაა საქმის.

ბატონი ნაპო მესხიას წიგნი დაწერილი და გამოცემული იყო, როდესაც 2010 წელს სწორედ მე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა წინააღმდეგობა გავუწიე ამ ინსტიტუციაში გამეფებულ ელიტურ, ჯგუფურ თუ ორგანიზებულ კორუფციას. მეტიც, თავი გავიმეტე და თავისი სახელი დავარქვი მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობითა და აგრესიული გლობალიზმის (ტექნოკრატიული დასავლეთის) თითისქნევათა შესაბამისად ქართველი ერის გატყუებას განადგურებისაკენ. ამ უთანასწორო ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ წერილობით მივმართე ბატონ ნაპოს - სახალხო დეპუტატს - გამოსარჩლებოდა დღეს დევნილი მისი ამომრჩევლის სახალხო განაწესს და დაეცვა თავისი კოლეგების მიერ გაუპატიურებული უმწეო თანამოძმეთა უფლებები, ლაჩრულად გაიტრუნა და ჩემი ძალისხმევა „მეტი საქმე არა მაქვსო“-დ შეფასდა იმავე საწერ მაგიდასთან, სადაც ის წიგნი დაიწერა.

მან მაშინ ხმა არ ამოიღო, მარტოდმარტო შემატოვა რეჟიმის განუკითხაობას და როდესაც კენტად დარჩენილს მომერივნენ, ამის შემდეგ მისი „გაუვნებელყოფა“ დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ასეც მოხდა.

პირდაპირ ვიტყვი: ე.წ. ქართველთა ის პარტოკრატიული კოლაბორაცია, რომელზედაც ბატონი ნაპო საუბრობს, რა თქმა უნდა, ქვეყნის მოღალატე და გამყიდველია. იგი არასდროს არ გახლდათ ერისთვის გარჯილი ძალისხმევა. კი ბატონო, როდესაც ბატონი ნაპო მესხია მათ საუკუნის ღალატში სდებს ბრალს, ეს სისწორეა, მაგრამ ყოფნა-არყოფნის მორევში გადაგდებული დევნილი საზოგადოებისათვის ზურგში ბებუთის ჩაცემის შესახებ მის მიერ გაჟღერებული მხილებები „ქართული“ პარტოკრატიისათვის ადვილად ასაცილებელი მოქნევა აღმოჩნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ყოველთვის მოქმედებდა არა სახალხო ნების, არამედ ამპარტავნული აკვიატების კარნახით: ამხელდა არა იმიტომ, რომ ხალხს თანამოსანგრეობდა, არა, - იმისთვის, რომ ეს ამ წუთში მას თვითონ სჭირდებოდა!..

ამასთან ერთად, მისმა პოლიტიკურმა არაკომპეტენტურობამ და ძნელად საურთიერთო ხასიათმა, განსაკუთრებით მცდარმა სწავლებამ **„პატარა ტურა დიდ ტურას ატყუებდაო“,** ნებით თუ უნებლიედ (შედეგი ერთია), დააღალატა არა მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი ქართველობის სახალხო ნება, არამედ ვერ უზრუნველყო სეპარატისტული მხრიდან შედარებით წინგახედულად მოაზროვნე პიროვნებების საქმიანი ურთიერთობა ქართულ მხარესთან, სათანადო რწმუნების მქონე ერისკაცებთან თუ სახელმწიფო მოღვაწეებთან. კონსტანტინე ოზგანი მისი საშუალებითაც ცდილობდა, - არ მისულიყო საქმე სისხლისღვრამდე.

აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი, რომლებზეც დამოკიდებული იყო ჩვენი ხალხების ბედი, როგორც წესი, ხვდებოდა არა საჭირო მიმისამართების მიხედვით, არამედ ჩასაფრებულ ავმოსურნეებთან.

გარდა ამისა, თავის წიგნსა და წერილებში ბატონი ნაპო მესხია მიუტევებელი სიმცდარით „აშუქებს“ საქართველოს შესახებ მთელ რიგ საკითხს, რითაც, არც თუ იშვიათად, მტრის წისქვილზე თავად ასხამს წყალს. ყოველივე ამით აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს), სამეგრელოს, საერთოდ სრულიად საქართველოს რაობა-ვინაობაზე საუბრისას მან ფუძემდებლური და საფუძვლიანი გაკვეთილები უნდა მიიღოს საქმეში ჩახედულთაგან, რათა მისი, როგორც ავტორის ამწუთიერი გაავება არ მოემსახუროს საქართველოს კიდევ უფრო დაქუცმაცების მომხრეთა მიზნებს. არ გახდეს „ჩხოუშიას მოლაყბეთა“ მხარდამჭერი ზურგის ქარი.

არადა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბატონი ნაპო მესხია შემთხვევითობამ გადაარჩინა დახვრეტას, როდესაც უგნურმა მომხდურებმა ჩრდილო კავკასიიდან, რომლებიც ქართველთა გენოციდით საკუთარ ხალხსაც უსამარებდნენ მარადიულ-ყოფას, მის მშობლიურ სოფელ ოტობაიაში (გალის რ-ნი) ჩვეული თავხედობითა და სიხეპრით „დაკითხეს“ იგი.

რუსიზმის ძუძუნაწოვმა გოშიებმა კითხვაზე „Кто ты?!“ პასუხი დაუწუნეს ბატონ ნაპოს, რადგან მან გაუბზარავი ხმით მიუგო - „Я грузин...“

მათ სხვა პასუხი სურდათ, ისეთი, დღეს ოკუპირებულ გალის რაიონში კრემლის მხარდაჭერით გამომავალი ე. წ. გაზეთი „Гал“ რომ ახმოვანებს.

ასეთი პასუხისათვის დასახვრეტად გაყვანილ ნაპო მესხიას, რომელსაც ვერანაირი მიწიერი ძალისხმევა ვერ გადაარჩენდა იმ წუთს, ჩანს, უფლის მადლმოსილებამ გადააფარა ხელი მაშინ.-, რადგან ამ საქციელით ცოტნეს დარი გმირობა ჩაიდინა. ეს თვითონ მას უნდა ახსოვდეს მუდამ.

* * *

რუსებს აქვთ ზედმიწევნითი ზუსტი გამოთქმა (ეს ბუნებრივია, რადგან მათ ასე გამოყენებულთა დასტები ჰყავთ): „პრედატელ ეტო ვსეგდა ატრაბოტანნი მატერიალ“ („გამცემი (მოღალატე) ყოველთვის გამოყენებული (გადამუშავებული) ნედლეულია-ო“).

ცხადია, ეს სიბრძნე გვაფრთხილებს, რომ არამზადა და სულით საპყარი ვერასოდეს ვერ გახდება გმირი (მამულიშვილი), რადგან მხეცის ინსტიქტებამდე დაშვება ასეთ გარემოში გახლავთ ერთ-ერთი სტრატეგიული მოთხოვნილება, ანუ ზნეობის ჩასანაცვლებელი ნებადართულობა.

ე. წ. სიტყვის თავისუფლება, რომელიც აგრესიული გლობალიზმისთვის სხვა არაფერია, თუ არა მიზნობრივი დეზინფორმაციის ინდუსტრია (ეკონომიკა), სავალდებულოა სადივერსიო ეთნოფაბრიკაციების სივრცეში.

ამას მოითხოვს დიქტატორათა დოქტრინალური ზემოქმედება, აქე-დან გამომდინარე, ზეპური (ელიტარული) ნომენკლატურა სწორედ ისეთ სიმრავ-ლედ დგინდება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საყოველთაო ქვეყნისმგრევლობა.

გივი ლომინაძის, ნუგზარ მგალობლიშვილის და ე.წ. „კომპანიის“ მოვალეობაც სწორედ ეს გახლდათ.

ასე, რომ საქართველო ერთი პატარა ქვეყანაა გოლიათი ნიანგებისა თუ მომცრო ტურების გარემოცვაში, რომელსაც ჭკუით მომწყემსვა სჭირდება, აი, ასეთი წინგახედულება გადაგოზეს ამ მედროვეებმა.

ბატონ ნაპო მესხიას წიგნში ეს სწორადაა ასახული: „**თამადობდა გივი ლომინაძე. სადღეგრძელო ითხოვა გენერალმა გია გულუამ (იმ დროისათის სოხუმის კომენდანტმა): „მე მინდა შემოგთავაზოთ ორი თენგიზის, ბატონ თენგიზ სიგუას და ბატონ თენგიზ კიტოვანის სადღეგრძელო, რომლებმაც გადაწყვიტეს აფხაზეთის პრობლემები“** (გვ. 107).

საუბარია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის ორი ნაცადი მეგზურის - ედუარდ შევარდნაძისა და ვლადისლავ არძინბას მიერ საომარი ავანტიურის პრივოცირების გამო „ქართული მხარის“ მიერ ქ. სოხუმში, ე. წ. ი. სტალინის აგარაკზე (სადაც დროებით ცხოცრობდა გივი ლომინაძე) გამართულ საბანკეტო ღრეობაზე. სხვათაშორის, ეს ბანკეტი თავის მხრივ აღწერილი აქვს ჯაბა იოსელიანსაც, რომელიც იხსენებს, რომ მას ნუგზარ მგალობლიშვილი და ჯემალ გამახარიაც სრულუფლებიან წევრებად ესწრებოდნენ, რომლებიც თავს ამით უბედურად არ გრძნობდნენ.

ნათქვამია, „ტარანი თვლითაოო“, არის მეორე ბრძნული და საგაკვეთილო გამონათქვამიც (რაზედაც ზემოთ მქონდა საუბარი), „ნიგოზი მუქთად სათაგურშია’“...

არ ვიცი, ე. წ. ზვიადისტები რამდენად მოხალისედ აღმოჩნდნენ აქ, მაგრამ მეორე დღეს ამ დროსტარების საფასურად ჯემალ გამახარია, ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ მჟავია და „კომპანია“ უკვე ხუნტისტების მიერ ამუშავებული აფხაზეთის ტელევიზიის ეკრანიდან არწმუნებდნენ ხალხს, რომ ეს (ე.ი. საომარი ავანტიურა) იყო საუკეთესო გამოსავალი, ანუ თითქმის გაიმეორეს წინა საღამოს გაჟღერებული ხმაბოდვური სადღეგრძელოები.

<u>მთელი უბედურება ის იყო, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში დაწყებულ საოკუპაციო სამზადისს კრემლისას აქ მოქეიფეებმა და შემდეგ ტელევიზიით გამოსულებმა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“ დაარქვეს, რითაც ადრე აფხაზეთის ასსრ-ად „გასხვაქვეყნებულ,“ ანუ სასიკვდილო სარეცელზე მიარტახებულ ქართულ შინაარსს ამ მხარეში საკუთარი ხელით საფეთქელთან მიაჭედეს საკონტროლო ტყვია.</u>

* * *

როდესაც საუბარია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ცნობილი ნეიროქირურგის, ბატონი ნაპო მესხიას წიგნზე „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, ვიმეორებ, მიუხედავად იმისა, რომ მასში ცალკეული მონაკვეთები, მართალია, ფრაგმენტულად, მაგრამ სისწორითაა შემჩნეული, გასიგრძეგანებული და

შეფასებული, საერთო ჯამში იგი მაინც ვერ გახდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა რაობაში საგაკვეთილო განმარტებით გამძღოლი მოძღვრება.

ბატონი ნაპო, როგორც მოსაქმიანე, წარმოადგენს რა თვითონაც ე.წ. ქართული პარტოკრატიის შედეგს (მერე რა, რომ ადამიანობის თვალსაზრისით მას არც გივი ლომინაძე და არც ნუგზარ მგალობლიშვილი წელამდეც ვერ სწვდებიან), იგი არ არის ამ „ქართული“ კოლაბორაციის ფეხაწყობასთან მსოფლმხედველობრივად გამიჯნული. აქედან გამომდინარე, ის მხოლოდ ორგანიზაციულად მიიერიშებული მხარეა, მასთან ნომენკლატურულადაა დაპირისპირებული. ამავე დროს, მათივე, ანუ გივი ლომინაძისეული და ა.შ. ილეთებით იბრძვის „ქართული“ პარტოკრატიის მაღალ საფეხურზე თვითდასამკვიდრებლად, არ თაკილობს ქვედადინებურ ძალებშიც კი მოკავშირეთა მოძიებას, რაც მისდაუნებურად თვითონ მას უქმნის უხერხულობას საქართველოს ეროვნულ-სახალხო ინტერესებთან. ყოველივე ამის გამო, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი დამარცხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაპო მესხიას იმხანად ყველაფერი ჰქონდა, - სახლიც, საშუალებაც, არ ციოდა და არც შიოდა, გავლენიან კაცად მიიჩნეოდა არა მხოლოდ „ქართველთა“ პარტოკრატიულ ელიტაში, თვით აგრესორ-სეპარატისტთა წრეებშიც, მისი დამარცხების მთავარი მიზეზი გახდა სურვილი **„ცოტა ეროვნული მოძრაობიდან წამოღებული, ცოტა ხუნტისეულისთვის მიემშობლიურებინა“.** ასე არ ხდება. ან იატაკქვეშეთი უნდა გაიპიროვნო, ანდა იატაკსზემოთა ჭერქვეშეთი.

ამ ბრძოლაში მეც დავმარცხდი, მაგრამ წავაგე სულ სხვა მიზეზით, - ყველგან და ყოველთვის ვუპირისპირდებოდი „ქართული“ პარტოკრატიის ორპირულ ბუნებას, რომელმაც ამის გამო მოახერხა „მრგვალ მაგიდაში“ ჩემი ბლოკირება იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლებიც შემდგომ თავად დაუპირისპირდნენ „მრგვალ მაგიდას“, ანუ ქართველი ერის ნებას.

* * *

7. საყოველთაო ჰოოპუნა (ილუზორული ხედვა), რომელმაც საბედისწერო სიმცდარეში გაგვისიგრძეგანა მოვლენები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში): საკუთარ თავზე გადამწვარმა თივის ზვინმა დამარწმუნა, რომ იქ, სადაც ღვთისმოშიშობა ცხოვრების წესია, გამორიცხულია ხელცდუნებაც, სულმოკლეობაცა და სილაჩრეც. ასეთი საზოგადოებრივი მზაობა კი, თავის მხრივ, პოხიერებაა რწმენისთვის, ხოლო ისეთი სახალხო ფეხაწყობიდან, სადაც რწმენა გაინიშანსვეტებს, გაძევებულია ანგარება, ღალატი, ორპირობა...

მკაფიოდ გავიმეოროთ: ***იყო რა ასეთი ღირებულებებისაგან დაცლილი გივი ლომინაძისა და მისი პოლიტიკური შანტრაბის - ნუგზარ მგალობლიშვილისა და „კომპანიის“ ყოველდღიურობა, მათ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეროვნულ-სახალხო ფეხაწყობა ჩაითრიეს საყოველთაო „ჰოოპუნაში“ (ილუზი-***

აში), რომელმაც საზოგადოებას მცდარად გაუსიგრძეგანა ამ მხარეში მოვლენები (და არა მხოლოდ აქ). დიახ, მიზნობრივად მოხერხდა მაშინ ჩვენი საზოგადოებრიობისათვის არაერთი ილუზიის შემონაღმება. ეს ყველაფერი ქართველ ერს მიასაღეს და გონებაში მიუხრახნეს იმგვარად, თითქოს რაღაც საწმოხონო ხდებოდა.

ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, „კოლხური კოშკის“ ქონგურებიდან მოსაზღვრული „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველო“ ყავლგასულ მიზნად გადასაწყობდა. შესაბამისად. პოლიტიკური ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდის“ სრულიად საქართველოური, გნებავთ ზოგადკავკასიური (პონტო-კავკასიის გონითი განფენის სივრცისეული) შეხედულებები მსოფლმხედველობრივ მიმართულებად და საძალისხმევო იდეოლოგიად არ იქცა (ვერც იქცეოდა) გივი ლომინაძე - ნუგზარ მგალობლიშვილის გარშემო, უბრალოდ, ასეთი პოლიტიკური აბრა მათ გამოიყენეს თავიანთ სამწყობრო ბაქნად (პლაცად), რომელზეც მოხერხდა ამ მხარის მოსახლეობის ჯოგური შერეკვა.

ასეთი გახლდათ თავზარდამცემი სიცხადე, მაგრამ კიდევ უფრო საბედისწერო ის გახლავთ, დიახ, მთავარი უბედურება ისაა, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა თავზარდაცემული, შეგინებული და გაოგნებული არ რჩება გივი ლომინაძე-ნუგზარ მგალობლიშვილის ქმედუნარიანი ძირგამომთხრელობით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, რომელიც ამ წუთამდე მიწაზე ვერ დატეული თავხედობით გვაყრის თვალებში ნაცარს.

ცხრაგზის სამწუხაროა (და არა მოულოდნელი) ჯემალ გამახარიას მედროვული არჩევანი. ამ ბოლო დროს, როცა აქ აღვირახსნილად მობოგინე სულიერ ხრწნადობასა თუ კორუფციას არა მხოლოდ ლეღვის ფოთლად დაუდგინდა, თანამოსანგრედაც დაუდგა.

ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ჯაბა იოსელიანის მიერ თავის წიგნში „მესამე განზომილება“ დადასტურებული შემთხვევა, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლიდანური სცენარის მიხედვით საომარ ავანტიურაში ჩაბმასთან დაკავშირებით აღწერილია ე.წ. ქართული მხარის, სინამდვილეში ხუნტისა და ადგილობრივი „ქართული“ პარტოკრატიის მიერ გივი ლომინაძის თამადობით გადახდილი ბანკეტი, რომელზეც გვქონდა კიდეც ზემოთ საუბარი. აქ სხვებთან ერთად ღრეობდა ნუგზარ მგალობლიშვილის პოლიტშანტრაბაც და მათ მარაქაში, მნიშვნელობა არა აქვს რანაირად მოხვდა, ყოველივე ამას ეგუებოდა ბატონი ჯემალ გამახარიაც. ეს შემთხვევა ასევე არანაკლებ ვრცლად აქვს აღწერილი თავის ზემოხსენებულ წიგნში ბატონ ნაპო მესხიას, ის კი არადა, მის მიერ, როგორც გახსოვთ, <u>დამოწმებულია ზოგიერთი სადღეგრძელოც, რომელთა ბოროტმოქმედული არსი დღემდე სისხლად ახველებს სრულიად საქართველოს.</u>

ვიმეორებ, როგორც წესი, ასეთ ღრეობაში მონაწილეობა თავის საფასურს ითხოვს, რაც იმ დღეებში ადგილობრივი ტელევიზიით გადაიხადეს აქ დასახელებულმა ნუგზარ მგალობლიშვილმა, მისმა პოლიტიკურმა თანამოსაქმეებმა და, როგორც

გითხარით, მათთან მიჯირითებულმა ჯემალ გამახარიამ, როცა ამ ბანკეტის შემ-დეგ, ნაბახუსევზე ტელევიზიის ეკრანიდან გაამართლეს ამ სისხლისღვრაში ჩაბმა.

* * *

წუთშესვენება რუბრიკით: „დევნილთა ხარჯზე შექმნილი სამთავრობო ფუ-ფუნება“:

როგორც ზემოთ აღვნიშნე და წინა წიგნებშიც ვწერდი, იმის ჯილდოდ - ჯემალ გამახარია გადასულიყო გია გვაზავას ბანაკში, არ წყდება მის მიმართ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან საეჭვო გულმოდგინებით მოზიდული ფულადი კომპენსაციები.

არადა, აი, რას და როგორ ნაძირლობას (ჯემალის სიტყვებია) ხედავდა იგი 2010-2011 წლებში გია გვაზავას მუშაობაში, - ამის გასათვალსაჩინოებლად ჩემს აზრს კი არა, 2016 წლის მარტში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საგანგებოდ გამოცემული გაზეთის „აფხაზეთის“ (№2) მასალას დავიმოწმებთ: **„თანამდებობრივი გარიგებები აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში“ :**

„ელგუჯა გვაზავასა და ჯემალ გამახარიას შორის უკომპრომისო დაპირისპირება უსიტყვო ერთგულებასა და სიამ-ტკბილობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც ე. გვაზავამ „დიდსულოვნად“ უბოძა მისი მოადგილეობა დეპუტატ გამახარიას. მსგავსი „პოლიტიკური ქორწინება“ უმაღლეს საბჭოში ნაცადი ხერხია და მას, როგორც წესი, ბედი იმ დეპუტატს არგუნებს, რომელსაც უფრო ძლერი კომპრომატი გააჩნია მის „მოყვასზე“. შესაძლებელია, ბატონ გამახარიას უკვე გადაავიწყდა ის არგუმენტი-რებული ბრალდებები, რომლებსაც თავმჯდომარეს უყენებდა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც საბუთები არ ტყუიან და არც გვაზავას არ დავიწყებია მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები. იტყვიან „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“, ალბათ ამიტომაც თავმჯდომარემ მის მამხილებელ დეპუტატს, არც მეტი არც ნაკლები, მოადგილეობა შესთავაზა. როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხმაც არ დააყოვნა და ბატონ გამახარიას უცაბედად გადაავიწყდა ყველა ის ბრალდება, რასაც გვაზავას უყენებდა და „დიდსულოვნად“ დათანხმდა შეთავაზებულ „საპატიო“ თანამდებობას.

წარმოგიდგენთ ამონარიდებს 2011 წლის 24 იანვრს აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ბარამიას სახელზე დაწერილი მოხსენებითი ბარათიდან, რომელშიც ბატონი ჯემალ გამახარია ბრალს სდებდა ე. გვაზავას უმაღლესი საბჭოს საქმიანობის პარალიზებასა და არაეფექტურობაში (სტილი დაცულია).

„ - ე. გვაზავამ თითქოს ყალბი მილიონები გაუფორმა აპარატის რამდენიმე თანამშრომელს, ჩაურიცხა მათ სამილიონო თანხები, შემდეგ კი დაავალა აპარატის უფროსს, ეს თანხები უკანვე აეკრიფა და პირადი მიზნებისათვის თავად გამოიყენა.

- ზ. ზარანდია ადანაშაულებს ე. გვაზავას, რომ შესყიდვების კანონის უხეში დარღვევით არ გამოაცხადა ტენდერი, მაგრამ შეადგინა ყალბი ოქმი და მერე

მეგობრისაგან საბაზრო ღირებულებაზე ბევრად უფრო ძვირად - 19200 დოლარად შეიძინა გაუმართავი პერსონალური ავტომანქანა.

- ზ. ზარანდიას მტკიცებით, ე. გვაზავამ მას კანონიერი გზით შესყიდული კონდიციონერების მოტანა აუკრძალა და სადღაც მის მიერვე ნაშოვნი უვარგისი კონდიციონერის, როგორც ახალშეძენილის ისე გაფორმება დაავალა. ამ გზით ე. გვაზავა თითქოს აპირებდა ვალი დაებრუნებინა ზ. ზარანდიასთვის, რასაც ეს უკანასკნელი არ დაეთანხმა".

აღნიშნულ მოხსენებით ბარათში დაფიქსირებულ ფაქტებთან დაკავშირებით ჯემალ გამახარია თხოვს მთავრობის თავმჯდომარეს სათანადო ზომების გატარებას და იქვე აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. ის წერს:

„ - ასეთია ზ. ზარანდიას მიერ წამოყენებული ძირითადი ბრალდებები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, ბრალდებათა ადრესატები არ აღიარებენ, მაგრამ ამავე დროს ყველაფერს აკეთებენ, რათა არ შედგეს სპეციალური კომისია და საკითხი არ იქნეს სათანადოდ შესწავლილი. ამან კი უკიდურესად დაძაბა სიტუაცია უმაღლეს საბჭოში, მოახდინა რა მისი ნაწილობრივი პარალიზება, ბატონი ე. გვაზავა ვერ მართავს სიტუაციას, იგი როგორც ორგანიზატორი სუსტია, აპარატი ფაქტობრივად გამოსულია მისი კონტროლიდან და როცა სურს და როგორც სურს ისე აშანტაჟებს მას. უმაღლესი საბჭოს ოფისში სუფევს ანტისანიტარია, ვერ შეისვლება ტუალეტში, იქვე ყრია და ნადგურდება არქივი, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. არ არსებობს შრომითი დისციპლინა. ამ ვითარებაში, ბუნებრივია, შეუძლებელია ეფექტური მუშაობა, ამომრჩევლებთან (დეპუტატებთან) შეხვედრების ორგანიზება, აქტიური იდეოლოგიური და კანონშემოქმედებითი საქმიანობა".

ყოველივე ზემოთ თქმული, ვფიქრობთ, რომ ნათელყოფს, თუ რა ვითარებაა და როგორ იმართება პროცესები აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში და იყო თუ არა სამართლიანი ის ბრალდებები, რომლებიც შეეხებოდა აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს საქმიანობას.

* * *

თუმცა, ჯერ სად ხარ, - ასეთი სიამტკბილობისათვის აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯემალ გამახარიასთვის, როგორც ერთი დაშინებული, ჩურჩულით მოსაუბრე, მაგრამ საქმეში ჩახედული „დეპუტატი" ამტკიცებს, დიახ, დიახ, ამ ბოლო ერთი წლის მანძილზე მისთვის მისი ახლო ნათესავისა თუ ერთ-ერთი ძმის არასამთავრობო ორგანიზაციის სახელზე მიზნობრივად ჩაირიცხა სამას ათასამდე ლარი, რომლის ანგარიშზე დაჯდომის შემდეგ მისი ათვისება, გათეთრება და „გაიმასქნება" ხელსიმარჯვის საქმეა - ეს სიმარჯვე აქ უდაოდ გააჩნიათ.

ამასთან შედარებით რა მოსატანია, მაგრამ ამ ბოლო დროს ბატონ ჯემალს სულ უფრო და უფრო აგზავნიან ასეთ პრესტიჟულ მივლინებებზე, ზოგჯერ ცალკე, ზოგიერთ შემთხვევაში მის თანამოსაქმე გია გვაზავასთან ერთად (გაზ. „აფხაზეთი",

№1, 2015 წ. დეკემბერი), რა თქმა უნდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ასე მოიარა ბატონმა ჯემალმა პარიზი, სადაც 2 812 ლარი შემოეჭამა, ხოლო საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე - „ბრილიანტის ხმა“, რომელიც იტალიის ქალაქ ფლორენციაში გაიმართა, დამეგობრებული გია გვაზავასა და ჯემალ გამახარიას სტუმრობა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს 12 ათას ლარამდე დაუჯდა.

სხვათაშორის ასეთი მივლინებებით არც თუ იშვიათად სარგებლობს ნუგზარ მგალობლიშვილი, ეს გასაგებია, მაგრამ „ოპოზიციონერი“ ადა მარშანიაც თუ ამ მარაქაში აღმოჩნდებოდა, ნამდვილად არ მეგონა, აი, რატომაა, რომ ქალბატონი ადა, რომლის ფხიზელი მზერა ყველგან ხედავს ხელმრუდობას, ამას ვერ ამჩნევს თავის სამუშაო დაწესებულებაში.

სწორედ ამიტომ დავუპირისპირდი 2010, 2011 წლებში აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში გამეფებულ კორუფციას, ჯემალ გამახარია „გვერდში მედგა“ და „მამხნევებდა“ მაშინ, მაგრამ დახეთ, როგორ შეიცვალა ვითარება, ჯემალი თავად იქცა ყოველივე ამის შედეგად ხელმომთაბარ კაცად.

კაცმა რომ თქვას, ღვთისწყრომა მძვინვარებს აქ და ჯემალ გამახარია ყოველივე ამის თანამონაწილეა (გაზეთი „აფხაზეთი“, 2015 წ. დეკემბერი, №1):

„აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თუ დავუსვამთ კითხვას - თუ რას აკეთებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი შემადგენლობა აფხაზეთში მათ დასაბრუნებლად, ზრუნავს თუ არა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, იცავს თუ არა მათ ინტერესებს, მათგან მივიღებთ ერთ და იმავე პასუხს, რომ არა თუ ზრუნავს, არამედ თითქმის 25 წელი გავიდა, რომ მათ არ აურჩევიათ საკუთარი წარმომადგენლები და, როგორც იტყვიან, სახეზე არც კი იცნობენ მათ. ყოველივე ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ სამწუხაროდ ის გარემოება, რომ თავად დეპუტატები, რომლებმაც აფხაზეთიდან დევნილები სრულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა, მოხერხებულად სარგებლობენ დევნილთა უიმედობით და მათ ხარჯზე იწყობენ საკუთარ კომფორტს.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება საგულდაგულოდ ასაიდუმლოებენ მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ ინფორმაციას, ჩვენ გთავაზობთ მათი სამთავრობო ფუფუნების ამსახველ ცალკეულ დოკუმენტებს, რომელიც თქვენ ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით იმაზე, თუ რამდენად კომფორტულად გრძნობს თავს დევნილი ხელისუფლება.

ძვირფასო დევნილებო, შესაძლოა, ეს თქვენთვის დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ჩვენი „მარადიული“ დეპუტატები იმის გამო, რომ აგერ 25 წელია „უანგაროდ“ და „ერთგულად“ გვემსახურებიან, საკუთარ თავს მაღალ ხელფასთან ერთად (რომელიც ერთი დევნილის 4 წლის შემწეობას უდრის) დაუნიშნეს ყოველთვიური კომპენსაცია სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებისათვის 700 ლარის ოდენობით...“

* * *

გაზეთის წინამდებარე ნომერში ამ მასალებს თან ახლავს შესაბამისი ილუსტრაციები და განმარტებითი ტაბულები.

გახსოვთ, წინა წლებში თუ როგორ ვამხელდი ამ დაწესებულებაში აღებ-მიცემობის შემთხვევებს, როდესაც „ხალხის მსახურები“ უბოდიშოდ იჯიბავდნენ დევნილთა თანხებს.

მაშინ ჩემს მიერ აღნიშნული ბოროტმოქმედებები „ვერ აღმოაჩინეს“ მიხეილ სააკაშვილის დროს პირადად ბაჩო ახალაიასა და სოსო თოფურიძის მითითებების შემსრულებელმა სათანადო სამსახურებმა, მაგრამ ამას დღეს, მადლობა ღმერთს, სხვებიც ხედავენ და საქართველოს პროკურატურა მაინც ჯიუტად დუმს:

„ალბათ გაინტერესებთ მრავალათას ლარიანი ჯამაგირის მქონე ე. გვაზავასა და ვ. ყოლბაიას, ასევე მათ რჩეულ დეპუტატებს, ხომ ნამდვილად ემსახურებათ შესაბამისი კლასისა და პრესტიჟის ავტომობილები. შეგვიძლია დაგამშვიდოთ, რომ ეს ნამდვილად ასეა, 2014 წლის HYUNDAI IX 35 64500 სწორედ ამდენი დაგვიჯდა ე. გვაზავას ოცნების ავტომობილის შეძენა. რა თქმა უნდა, კომფორტისადმი ლტოლვაში თავმჯდომარეს არც სხვა დეპუტატები ჩამორჩებიან და მით უფრო მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ყოლბაია“.

* * *

და ერთიც: ბატონი ჯემალი 2010 წელს ამჩნევდა, რომ ქალბატონ ოლგა ნაგარნინა უკანონოდ ირიცხებოდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მაშინ იგი აღიარებდა, რომ **„ოლგა ნაგარნინა წლების განმავლობაში იყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, დაკარგული ჰქონდა საქართველოს მოქალაქეობა, მოიხედავად ამისა უკანონოდ ინარჩუნებს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სტატუსს, რაშიც მას ხელს უწყობს უმაღლესი საბჭოს უკანონო თავმჯდომარე ე. გვაზავა“ (გაზეთი „აფხაზეთი“, 2015 წ. დეკემბერი, №1).**

ამჯერად ოლგა ნაგარნინას უკანონო დეპუტატობის ხელშემწყობი ჯემალ გამახარიაც გახდა.

ფუი, ეშმაკს, რამ გამოათაყვანა ელექტორატად და არა ხალხად დარჩენილი დევნილთა საზოგადოება, რომ ამ ჯიბის ქურდებს შოლტით არ ერეკება. ეს მათი საქმეა, რაც უნდათ ის აკეთონ, მაგრამ მე რა ვქნა, ვინმე ბრძენმა თანამემამულემ რომ მკითხოს, <u>რა გრჯიდა, არ იცოდი, რომ პოლიტიკურ ბოსელში მოხალისედ თავდადგენილი სიმრავლე არ გაგიხდებოდა თანამოსანგრედო, რა ვუპასუხო მაშინ?!.</u>

ნეტავ, შემეძლოს სახლიკაცი არ ვუწოდო მათ!..

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ჯემალ გამახარიამ 1994 წლიდან ჩემს წინააღმდეგ ყველანაირი სულმდაბლობა იკადრა, მე მას ეს ყველაფერი შევუნდე, რათა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, სადაც მისი კოლეგები დასაჯდომ სკამსაც არ უთმობდნენ მაშინ, ძმად დავუდექი, ჩემს სამუშაო ოთახში ყველა პირობა შევუქმენი და თანხებიც მოვიზიდე მისი ღირებული შრომების გამოსაცემად.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მოძღვართანაც მე მივიყვანე და ჩემი გავლენით ეზიარა. არავითარ შემთვევაში არ ვნანობ ამას.

სამწუხაროდ, ეტყობა, მას არ გააჩნია საკაცო ხაწა - ქრისტესმხედრული სული. მახსოვს, 2003 წლის ზაფხულში (ის მაშინ საქართველოს პარლამენტის წევრიც გახლდათ), აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს სესიაზე (რომელსაც სხვადასხვა ტელევიზია მთლიანად იწერდა), სიტყვით გამოსვლისას დაცვის რომელიღაც „ვერზილა“ წევრმა კისერზე მოხვია ხელები, ტრიბუნას მოაშორა და გარეთ გაათრია.

ასეთი საქვეყნო დამცირება (ეს შემთხვევა საზღვარგარეთაც გავრცელდა ტელევიზიებით) მისთვის, როგორც იმხანად აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსანი ვალერი შაკაია ამბობდა შემდგომ, რაღაც საეჭვო, „ქვეშგამოსვლისნაირი“ გარიგებით დასრულებულა.

ამასთან ერთად, როგორც ჩანს, მისთვის თანამდებობა საშუალება კი არ არის მეცნიერული ქმედუნარიანობისათვის, - საკაცღმერთო კვარცხლბეკია მხოლოდ.

1992 წლის 1-3 ნოემბერს ე.პ.მ. „ჭყონდიდელის“ ხელმძღვანელები გროზნოში ვიყავით მოლაპარაკებაზე, რათა აღგვეკვეთა ძმათაშორისი სისხლისღვრა.

ე. წ. კავკასიის კონფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას ერთ-ერთი მასპინძელი ჩემი აზრით ნებადართულს გასცდა, რასაც შესაბამისად ვუპასუხე.

სამწუხაროდ, ეს არ მოეწონათ ჩემს პოლიტიკურ თანამოსანგრეებს. ამის შემდეგ შევხვდით იჩქერიის პრეზიდენტს ჯოჰარ დუდაევს - ზოგადკავკასიურად და სამართლიანად მოაზროვნე პიროვნებას.

მისი თაოსნობით „абхазец“-ებთან სამშვიდობო მოლაპარაკებაში საშუამავლოდ გამოგვყვა ჩეჩენთა დელეგაცია.

სოხუმში ჩამოფრენის შემდეგ გადაწყდა გუდაუთში ჩასვლა. „ჩვენს“ წრეში ჯემალს გამოუთქვამს აზრი, რომ მე ცუდი დიპლომატი ვარ და მიზანშეუწონელია ჩემი ჩასვლა საგუდაუთო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად. მოკლედ „მომტეხეს“ და გამეპარნენ.

ეს არაა მთავარი. 5 ნოემბერს გუდაუთში ჩასულებმა შეადგინეს ე.წ. დოკუმენტი (ე. წ. გუდაუთის პროტოკოლი), რომელზეც ჯემალ გამახარია ხელს აწერს არა იმას, რომ კონფლიქტი კრემლიდანაა პროვოცირებული, არამედ საქართველოსთან კონფლიქტის მხარედ აფხაზეთს მიიჩნევს, ხოლო თვით აფხაზეთი არა ავტონომიურ რესპუბლიკად, არამედ კონტექსტის მიხედვით საქართველოსაგან დამოუკიდებელ რესპუბლიკადაა აღიარებული. (იხილეთ სერგი საჯაია, „როდესაც თორმეტსავე სავარძელზე იუდა გაიშხლართა“, II ნაწილი, თბილისი, 2001 წ.).

ზემოთ ვახსენე, რომ რაღაც წვლილი მეცა მაქვს შეტანილი მისი მართლაც საჭირო წიგნების გამოცემაში. ახლა ვაზუსტებ: რაღაცა კი არა, ლომის წილი გავიღე ამისთვის საჭირო თანხების მოსაძიებლად.

ამის შემდეგ ის გახდა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. როდესაც 2014 წელს დაისვა საკითხი, გამოცემულიყო აფხაზეთიდან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან) გამოსული მწერლების კრებული „ლიტერატურა და ხელოვნება“ (თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“), როგორც გადმომცეს, აფხაზეთის ა/რ-ის განათლებისა და კულტურის მინისტრის დიმა ჯაიანის მითითებით სარედაქციო კოლეგიას ვახტანგ ყოლბაიასთან, ჯემალ გამახარიასთან და აწგანსვენებულ გენო კალანდიასთან შეუთანხმებია, რომ არც ერთი სტრიქონი ჩემი ნაწარმოებებიდან ამ წიგნში არ გაჭაჭანებულიყო.

გასაგებია, ჯემალ გამახარია არაა ისეთი ნაძირალა, როგორიცაა გივი ლომინაძე, გია გვაზავა, ანზორ წოწონავა, დავით გვაძაბია და ა. შ. მაგრამ ჩემს თავზე ვიწვნიე, არც ისე უანგაროა, მოყვასისათვის მოქნეულს ხელი აუკრას.

როდესაც დღეს ჯემალ გამახარია, გივი ლომონაძე, ნუგზარ მგალობლიშვილი და ა.შ. „გულაჩუყებით“ მოგვიწოდებენ რაღაც მათ მიერ გააბლაბუდებული მორიგი ვირეშმაკობისაკენ გასანაბიჯებლად, ეს კი არაა გამოსავალი, სულ სხვაა ხსნის ხაწა,- ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ისტორიულ სისწორეში გაშინაარსება და საზოგადოების მონანულ სხეულზე - ქენჯნის პერანგის ტარება, რაც საფუძვლად უნდა დაედოს სამერმისო გზების მოძიებას ჩვენი ოდაბადისაკენ.

* * *

აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) „ქართული“ პარტოკრატია ქართული ასომთავრულით აღაღადებულ ამ მხარის გაშინარსებას არც და ვერც ამკვიდრებდა მსოფლიო მასშტაბების საზროვნო წესრიგში. იგი ჯიუტად იდგენდა (და იდგენს) თავს კრემლიდანური ეთნოკრატიის (ე.წ. „абхазец“-ობის) პარტოკრატ, ანუ „მოძმე ქართველ“ თანამოსაქმედ.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1989 წლის 15 ივლისის საღამო, როცა აგრესორ-სეპარატისტთა თარეშმა უკვე მოისაქმიანა ის, რასაც უნდა უზრუნველეყო ქართველთა ეთნიკური წმენდის (მორიგი „ფერგანის“) დასაწყისი.

სადღაც კი მიწერია, მაგრამ კიდევ უნდა გავიხსენო: მას შემდეგ, რაც ქართველობა ასე უმოწყალოდ დაარბიეს, მიმოვიხედე და ვერსად დავლანდე „ქართული მხარის“ ლიდერები (ისინი, ვინც ამად იდგენდნენ თავს).

სასწრაფოდ გავეშურე ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობისაკენ, სადაც იმხანად შეთავსებით განთავსებული იყო „ქართველთა ეროვნულ მოძრაობად“ თვითდადგენილი სიმრავლის შტაბი (მარტო არ დამტოვეს და ფეხდაფეხ გამომედევნა ქვ. ეშერის წისქვილკომბინატის ხუთიოდე მუშა, რომელთაც დარბევის გამო თავპირი დასისხ-

ლიანებული ჰქონდათ, სხვათაშორის არც დარეჯან ფარჯანაძეს მივუტოვებივარ, იმავე საწარმოს ტექნოლოგსა და ეროვნული მოძრაობის წევრს).

თეატრის კარები ჩარაზული დამხვდა, ბრახუნზე დაცვის წარმომადგენელმა გამოიხედა, ჩემი შეშვება შენობაში არ ინდომა, მაგრამ ხელისკვრით განზე მოვისროლე და პირდაპირ თეატრის დირექტორისა და სამხატვრი ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, გოგი ქავთარაძის კაბინეტისაკენ გავემართეთ.

აქ დაგვხვდნენ გოგი ქავთარაძე, მიხეილ წულაძე- საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ნაპოლეონ ქარქაშაძე - საქართველოს სუპტრო-პიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, ოთარ ზუხბაია - აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, გენო კალანდია - საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების მდივანი და თემურ ლორთქიფანიძე - ნუგზარ მგალობლიშვილის თანამოსაქმე, შემდგომში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი.

აღშფოთებულმა ვუყვირე საიმედოდ ჩასანგრებულებს, - ხალხი რატომ მიატოვეთ, წამოდით, მათ პატრონი სჭირდებათ მეთქი (ამის გადათქმას ჩემი თანმხლებლები არ იკადრებენ). პასუხი გოგი ქავთარაძემ გამცა: ოფიციოზთან საურთიერთოდ დაგჭირდებით, ამიტომ სასურველი არაა ჩვენი ქუჩაში გამოჩენა, აი, თემურ ლორთქიფანიძე წაიყვანეთო.

თემური კი წამოგვყვა, მაგრამ ორი კვარტლის მერე სახლში გაიპარა.

დავიწყეთ დაუცველი და უპატრონოდ დაგდებული ქართველი საზოგადოების თავმოყრა კინოთეატრ „აფსნისთან“ (ეს შედარებით ქართული უბანი იყო). ასე, საღამოს 9 საათისათვის აქ მოვიდა საქართველოს შს მინისტრი შოთა გორგოძე. მან თავმოყრილ დარბეულ საზოგადოებაში აზრშესაკითხ კაცად მომიაზრა და საიდუმლოდ მითხრა, რომ კინოთეატრის სხვენში ორმოცი ქართველი მილიციელი, ავტომატით შეიარაღებული იმყოფებოდა ჩვენს დასაცავად.

სხვათაშორის, ცალკე სასაუბროა იმ ღამით ბატონ შოთა გორგოძის თავგამეტებებზე, რომელსაც თითქმის ყოველ სამ-ოთხ საათში ინფორმაციების დასაზუსტებლად ვხვდებოდით მე, აია ჩხოტუა და უკვე ხანში შესული, მაგრამ ყოჩაღი ალიოშა მიქაძე.

ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ სიცხადე შევიტანო იმაში, თუ რამ განაპირობა „ქართული“ პარტოკრატიის ხელგამოღება ჩემს გადასაბირებლად.

თვითონ ვითარებამ, რომლის წიაღში ვძლიე შიშს, უზრუნველყო ჩემი სახალხო ნდობა და დაწინაურება ლიდერის რანგში, რაც განმტკიცდა იმავე 1989 წლის 2 სექტემბერს ქ, თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის შენობაში საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე ჩემი გამოსვლით.

* * *

წუთშესვენება: ის, რომ „საპატიო მიზეზით“ არასდროს გავპარულვარ სახალხო ქუდზეკაცობიდან, ამაზე ამ დღეებში (2017 წ. 26 მარტი - 2 აპრილი) გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ გამოაქვეყნა აი, ეს მასალა: **„საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას თხოვნით, აფხაზეთის ომის დროს შეიქმნა ბატალიონი „ჭყონ-დიდელი“ და ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა სერგი საჯაიამ. „ჭყონდიდელის“ წევრებმა თავი შესწირეს საქართველოს და ცოცხლად დარჩენილები არ გაჩერდებიან და არ შეეგუებიან ამ ამაზრზენ რეალობას“... (ინტერვიუ ვალერი გაბელიასთან).**

ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი ჯერჯერობით მეც ვარ და ვაზუსტებ: „დიდი როლი“ კი არ ვითამაშე, იარაღით ხელში მივუძღვებოდი მათ, გვერდით მყავდა ჩემი პირტიტველა შვილიც!..

* * *

დავუბრუნდეთ მთავარს: ამის შემდეგ, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის სამხარეო ორგანიზაციის კონფერენციის წინ (1989 წლის 30 სექტემბერს) ზემოთხსენებულმა შტაბმა (გოგი ქავთარაძე და ა. შ.) ჩემთან მოსალაპარაკებლად გამოგზავნა გენო კალანდია. ქ. სოხუმის I საშუალო სკოლაში, სადაც ეს შეხვედრა შედგა, გენომ გადმომცა „ქართული“ პარტოკრატიის წინადადება: თუ გავისარჯებოდი იმისათვის, რათა გენო კალანდია „აგვერჩია“ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარედ, მე თვეში 400 მანეთიანი ხელფასით გავხდებოდი მისი მოადგილე, თანაც მექნებოდა ისეთი პრივილეგიები, - ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

<u>ეს იყო აფხაზეთში „ქართული“ პარტოკრატიის სარფიან შემოთავაზებაზე ჩემი პირველი უარი. მეორე უკვე გითხარით, გივი ლომონაძის ბინაზე გავემიჯნე მათ.</u>

ჩემდა საამაყოდ, იმთავითვე, დავინახე რა „ქართული“ პარტოკრატიული „ზეპურობის“ (ე. წ. ელიტის) ორპირი, ლაჩრული, არაეროვნული, არასახალხო, მეტიც, სხვისმომძღოლი ბუნება, არანაირად არ გამკვირვებია, რომ ეს ხალხი, იმ საბედისწერო წუთებიდანვე შიშში აცახცახებული, მომდევნო დღეებში ისე გაიძურწა, არავინ იცოდა მათი გზა-კვალი. ერთადერთი, ვინც მეუღლის მეშვეობით ფუცქინით მიკავშირდებოდა, როგორც გითხარით, გენო კალანდია გახლდათ.

მე არც იმით გავოცებულვარ, რომ ამ ხალხმა, როგორც კი ჩასველებული შეაშრა და ხიფათი ჩავლილად დაიგულა, კვლავ „ერის წინამძღოლობა“ მოინდომა და სამახვშო კველას წაეპოტინა სათავისოდ.

სწორედ აქედან გამომდინარე თვითდამკვიდრების მცდელობა იყო ის, რომ 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლისღვრისათვის ლაგამამოდებისა და მისი შედარებით ჩაცხრობის შემდეგ, იმავე ზაფხულში აფხაზეთიდან, როგორც აგრესიულ-სეპარატისტულმა ეთნოკრატიამ, ასევე „ქართულმა“ პარტოკრატიამ ცალ-ცალკე გადაწყვიტეს მოსკოვში ჩაეტარებინათ საინფორმაციო შეხვედრები ფართო

საზოგადოებისა და შესაბამისი სამსახურების (მათ შორის სამაუწყებლო საშუალებებისა და პრესის) წარმომადგენლებთან.

სამწუხაროდ, მოსკოვში აფხაზეთის კომპარტიული ხელმძღვანელობის მიერ წარსაგზავნად შერჩეულმა „ქართულმა სახალხო წარმომადგენლობამ“, რომელთა შორის თითქმის სუყველა ან ყელამდე კორუფციაში იქნევდა მკლავურს ან კიდევ უვიცობაში დანავარდობდა, უფრო სწორად კი ორივეში ერთად ნებივრობდა, თან სამშობლოს სიყვარულში იმდენად არ აფესვებდა სულს, რომ თავი გაეწირა მისთვის, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ გამოდგა აგრესორ-სეპარატისტთა დეზინფორმაციებისა და მიზნობრივი პროვოკაციების ქმედუნარიან საპირწონედ.

იგი გამოხატავდა არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი მოსახლეობის საკუთარ მიწაზე მარადიულყოფისა და მასთან ერთად ამ მხარეში დამკვიდრებული სხვა ხალხების უსაფრთხოების პროგრამას, არამედ ახმოვანებდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის სტრატეგიას.

ბუნებრივია, ამის შესაბამისად ის არ ცდილა, საზოგადოებისათვის განემარტა, რომ 1989 წლის 15-16 ივლისს იქ, „სადაც ჯერ არს“, დაგეგმილი იყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის გზით გამოძევება. ამის წინმსწრებად უნდა მომხდარიყო „აგრესორ“ ქართველთა ე.წ. აფხაზეცებზე თავდასხმის პროვოცირება.

შედეგად, მოსკოვში არც თქმულა და არც განმარტებულა ის („როგორ შეიძლებოდა ეს“!..), რომ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავკაცობით, ამოხსნა კრემლიდანური ხაფანგი და ჩაშალა საბედისწერო ჩანაფიქრი იმხანად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის („ახალი ფერგანის“) შემომუხლუხებას ისახავდა მიზნად.

სამწუხაროდ, ბატონი ნაპო მესხია იმ სამოსკოვო დეპუტაციაში „ჩვენს ბანაკს“ წარმოადგენდა, რომელსაც სათაკილოდ არ მიაჩნდა ამ ხელმრუდების გვერდით „ქართულ მხარედ“ გაესაჯარისებინა თავი (იხ. მისი წიგნი - გვ. 252-253).

სწორედ ამიტომ ბატონ ნაპოს ზემოთხსენებულ წიგნს, მიუხედავად იმისა, რომ არათუ ცოტა, ძალიან ბევრი რამ სწორადა აქვს ასახული, მაინც აკლია მეთქი მოვლენათა მიუმცდარი ამწონის გულისყური.

* * *

წუთშესვენება: ქვემორე წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ უნდა დაბეჭდილიყო 2006 წლის დეკემბრის მიწურულს (რიცხვი არ მახსოვს). იმ დღეს სამსახურში (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო) გვიანობამდე დავრჩი, სადღაც საღამოს 7 საათისათვის დამირეკა ბატონმა ალეკო ასლანიშვილმა - გაზეთის რედაქტორმა და მითხრა, რომ მასალა მეორე დღის ნომერში გადიოდა.

ეს სატელეფონო საუბარი ესმოდა ბატონ ჯემალ გამახარიას, რომელთანაც ერთ ოთახში ვმუშაობდი. მან იცოდა წინამდებარე წერილის შესახებ და ისიც მოუთმენლად ელოდა მის გამოქვეყნებას, საქმე ხომ მისი ერთ-ერთი ნაშრომის გამოცემასაც ეხებოდა, - სხვათაშორის, ძალიან კარგი ნაშრომი იყო გამოსაქვეყნებელი.

არ ვიცი როგორ, მაგრამ ამის შესახებ თხუთმეტ წუთში უკვე იცოდა როგორც ვახტანგ ყოლბაიამ, ასევე გივი ლომინაძემ, რომელთა ძალისხმევით გაზეთის ამ ნომრის მთელი ტირაჟი განადგურდა. ეს წერილი ნომრიდან ამოიღეს და სხვა მასალის ჩანაცვლებით ხელახლა გამოსცეს ის ნომერი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისა“:

ღია წერილი

სააქციო საზოგადოება „მადნეულის“
გენერალურ დირექტორს
ბატონ კობა ნაყოფიას

აჰა, მიიწურა ჩაკრიალოსნებული ორი წელიწადი, რაც წამიწამ ვუცდით თქვენი დაპირების აღსრულებას!..

დიდი შოთა რუსთაველი წინდახედულობისათვის შეგვახსენებს: „სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“... ხოლო წმინდა წერილი გვაფრთხილებს, - „და შენ, კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე დაემხობი შენ“ - მათე 11,23;

მართლაცდა, ნებისმიერი დიდება თუ უფლებამოსილება, როცა იგი სიქველის ნიჭისგან დაიცლება და მიემოწაფება გულგრილობას, განგებისაგან უნებური თვითდამკვიდრება ხდება და ამდენად, როგორც საცდური ამპარტავნებისკენ, უფლისაგან ისჯება.

ჩვენებურო და სახლიკაცო ჩვენო, ამ ორი წლის წინ აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოებრიობის ერთმა ნაწილმა სურვილი გამოთქვა, იუნესკოს დადგენილების შესაბამისად, ფართოდ გადაეხადა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000 წლისთავი, აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოსთან შეიქმნა საიუბილეო სახელმწიფო კომისია და სამეცნიერო-შემოქმედებითი ჯგუფი (რომლის წევრიც, თქვენი სურვილის საფუძველზე, ბრძანდებით). დაზუსტდა სამუშაო პროგრამა და ქუდზეკაცური წესით ძალისხმევა არ დაგვიშურებია, რათა, როგორც აფხაზებს გვეკადრება, ისე აღვნიშნოთ ეს დიადი თარიღი. შედეგად, დღეისათვის ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია 12 წიგნი და ჩატარებულია სამი სამეცნიერო კონ-ფერენცია, თუმცა გასაკეთებელი მეტია, ჩასატარებელია I საერთაშორისო სიმპო-ზიუმი, I საერთაშორისო კონფერენცია, ლექტორიუმი, გამოსაცემია აფხაზეთის შესა-ხებ 6 წიგნი, აქედან ორი შეიცავს დღემდე გამოუქვეყნებელ უმნიშვნელოვანეს მასალებს, რომელიც სიცხადეს შეიტანს იმ

სადავო საკითხებში, რომლებსაც სეპა-რატისტული იდეოლოგია ეყრდნობა. მათი გამოქვეყნება კი საფუძველს გამოაცლის პროვაკატორთა დივერსიებს. აი, თუნდაც ამბროსი ხელაიას შრომები...

ვინაიდან იმ მხარეს, საიდანაც თქვენთან ერთად ჩვენ ყველანი ვართ, მრავალი საამაყო და საჩინო პიროვნების გვერდით მეოცე საუკუნეში დაებედა გიორგი ჭყონ-დიდელის დარი მოღვაწე - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა აღმსა-რებელი ამბროსი (ხელაია), ჩვენ გავბედეთ და შევუდექით დღემდე ცხრაკლიტულში გამომწყვდეული აფხაზეთისადმი მიძღვნილი მისი ნაშრომების გამოსაქვეყნებლად მომზადებას, რომელზედაც უნდა აიგოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხა-ზეთის) დეოკუპაციის სტრატეგია და სრულიად საქართველოს გაერთსხეულების საშვილიშვილო სვლაგეზი: „ჩემი სული ღმერთს, გული საქართველოს, სხეულს კი რაც გინდათ ის უყავითო“. არადა, ხომ გსიამოვნებთ, რომ ჩვენი კუთხიდან ამოიბერმუხა ამ ეროვნულმა თვითგადარჩენის ხაწამ.

ბატონო კობა, როცა საიუბილეო კომისიის კრებაზე ამასთან დაკავშირებით გაცხადდა თქვენი კეთილი ნება, - იგი სოლიდური თანხით დაგვეხმარებაო, ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია, რადგან ასე იქცევიან მამულიშვილები და გვეამაყა კიდეც, მით უმეტეს, ქვემო ქართლიდან, სადაც თქვენ მოღვაწეობთ, არა ერთმა ქველმოქმედმა და მათ შორის ეროვნებით აზერბაიჯანელმა, თანაც აღმსარებლობით მაჰმადიანმაც კი შემოგვწირა არც თუ უმნიშვნელო თანხა, რამაც შეგვაძლებინა ზემოთდასახელებული ღონისძიებების ნაწილობრივი ჩატარება. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, ცოტა ხანში, ჭორის დონეზე გაისისინა თქვენი ყოყმანის მაგვარმა. ჯერ თითქოს 5000, შემდეგ 2000-მდე დავიდა დანაპირები, თუმცა იმედი მაინც გვქონდა ქველმოქმედების, რადგანაც გვსმენია, ამ გვარის კაცურ სიტყვას თამასუქი არ სჭირდებაო...

თუმცა ფუცქინის ავმოსურნეობამაც მოაღწია ჩვენამდე, სადღაც გითქვამთ, - „თქვენ რომ დაგეხმაროთ, „სოხუმის მთავრობას“ ეწყინება, მე კი მთელი სანათესაო გალში მყავსო“!..

რა თქმა უნდა, თქვენი ნებაა, ჩარიცხავთ თუ არა საჭირო თანხას სასიცოცხლო მნიშვნელობის წიგნების გამოსაცემად, მაგრამ მე პირადად ვიტოვებ უფლებას, შეგეკითხოთ, როგორ გინდათ, იცხოვროთ იმ საქართველოში, სადაც ამბროსი ხელაიას სახელს ყურდახშობილად ჩაუვლიან?!

ჭკვიანი კაცი შთამომავლობას წმიდა ამბროსი აღმსარებლის ნათელი მოძღვრებისგან ზურგშექცეულად არ დაუდგენს თავს.

არადა, ახავაის დროა, როგორც ჩვენს მხარეში იტყვიან, უპირო საქციელი მართლაცდა, თელო ღურა რე!

პატივისცემით
სერგი საჯაია - მწერალი
2006 წ. 23 ნოემბერი,
გერგობა

* * *

მინაწერი: მოგვიანებით ბატონი კობა მიხეილ სააკაშვილის სალარო გახდა და მილიონები მიახარჯა გიორგი ბრწყინვალის დარ მოღვაწედ ამ გიჟის დასურათ-ხატებას.

თავისი უტიფრობითა და თავხედობით აყარა და აყარა საქართველოს მოსახლეობას თვალში ნაცარი.

იგი ამასვე განაგრძობს დღესაც, მეტიც, მისი ხელიც ურევია მრავალ-ათასწლოვანი საყდრისის აღგვაში.

რანდენადაც ირწმუნებიან, იმ ვარჩხილით, რომელსაც კობა ნაყოფია ღრეობაზე ხარჯავს ვახტანგ ყოლბაიასთან, გივი ლომინაძესთან, გია გვაზავასთან, ნუგზარ მგალობლიშვილთან და ა. შ. არათუ სულნათელი ამბროსი ხელაიას შრომების გ-ამოცემა, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ოკუპაციის, ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ამისთანა სათავზარო მტკიცებულებების სამუზეუმო წე-სით გამოსაფენად თბილისის ცენტრში ცათამბჯენი შენობის აშენება შეიძლებოდა!..

რას იზამ, კაცია და გუნება.

* * *

სხვათაშორის, თუ როგორ გაიმუხლმაგრა მოკლე ხანში „მრგვალი მაგიდის“ კარზე წითელმა გენერალმა გივი ლომინაძემ მდგომარეობა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი ქვედადინებური ილეთების წყალობით საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი გახდა გინეკოლოგიაში ჩვეულებრივი აუტსაიდერი, მაგრამ ჩრდილო-დსავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „ქართული“ პარტოკრატიის ნაცადი დასაყრდენი, ქალბატონი მანანა ძოძუაშვილი, რამაც ძალიან დიდი და საბედისწერო წვლილი გაიღო „მრგვალი მაგიდის“ სახელგატეხვასა და მის შიგნით დაპირისპირების დახლართვაში.

* * *

საგაკვეთილო წარწერა ჩემი მოდგმისთვის: ის რაც ახლა უნდა ვთქვა, ამის სისწორის დადასტურება ჟამთაბერის სასწორის პინისთვის მიმინდვია (მასთან კი საქმეს ვერავინ ჩააწყობს).

ისიც წამგაუცდენლად მახსოვს, ზვიად გამსახურდიამ რომ ბრძანა: **„სამშობლოს ნამუსი შევუნახოთო“**. ეს მე არასდროს შემშლია, ჭუჭყიანი ზეწრები არ მიფრი-ალებია.

უამრავის სისხლაღრეული მიმდგომლობა ერის სიწმინდეებთან მინახავს, რა მნიშვნელობა აქვს ვისი, მთავარია საპარტახო შედეგი, ეს კი სახეზეა.

ამის მიუხედავად, არის ზოგიერთი რამ, რომლის არ თქმა, ბოროტმოქმედება იქნება მატიანისა და ჩემი მოდგმის მიმართ.

... როდესაც 1990 წლის იანვარში მერაბ კოსტავას ფონდის რწმუნება გადმომეცა, ძალიან ბევრი იმათთაგანი კი არა, თითქმის სუყველა, ვისაც თქვენ დღეს სადიდებო კვარცხლბეკებს უგებთ, კარებს მიტალახებდა, **„ე, ბიჭო, სულელი ნუ ხარ, ახლაა ფულის კეთების დრო“**-ო.

მათ შორის პირველთა შორის უპირველესნი იყვნენ გენო კალანდია, აკაკი გასვიანი, ნუგზარ მგალობლიშვილი, ანზორ გვარამია... ხოლო გივი ლომინაძე კრიმინალ და ნარკომან მურმან სიგუას მეშვეობით ცდილობდა ჩემს ჩათრევას ამ საქმეში.

ცოდვას ვერ დავიდებ, შოთა ჯღამაძეს კი უნდოდა ეს ფონდი ხელში მოეგდო, საჩივარიც დაწერა ჩემს წინააღმდეგ (ამისთვის ბოდიშიც მომიხადა შემდეგ), მაგრამ **„ფული გავაკეთოთო“** არ უთქვამს.

დღეს ხომ ჩემი დაუძინებელი მტერია დიმა ჯაიანი, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენ ახლო ურთიერთობა გვქონდა, არც ჩემთვის და არც საკუთარი თავისთვის მსგავსი რამ არ უკადრებია.

კინაღამ დამავიწყდა, ჯემალ გამახარიაზე, ჩემს ცხედარზე გადაბიჯებით დაწინაურებულ კაცზეც ვერ ვიტყვი ამას...

მთელს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ეს იყო სულ!...

აი, ამ ხელთა ჭუჭყმოუცხებლობას ქონებად ვუტოვებ ჟამთაბერსაც და ჩემს მოდგმასაც... თუ კი ისურვებს ჩემს ერსაც, რათა ასწავლოს საზოგადოებას - როგორ უნდა მოექცეს სახალხო ჭირნახულსა და დანაზოგს...

ძალიან ძვირად დამიჯდა ეს: დავისაჯე შიმშილით, ლანძღვით, უმადურობით, ცდუნებებთან შერკინებით, მარტოობით...

პოეტის (მ. ლებანიძის) დამოძღვრებისა არ იყოს, **„გიჟის პერანგ მოცმულს“** ჩასაფრებული ავმოსურნეები მცემდნენ, მაგრამ ვერასოდეს ვერ მადგენდნენ გალახულად!..

როდესაც სამარხ მოშავებულს ბოლო ბელტს დამატკეპნიან, მარტოსულობა ჩემი უფლისკენ გასაგნებ ნაბილიკარს წაგებული, მაგრამ სულნაცდურ ფეხაწყობასთან დაუზავებელი აუყვება აღმა!..

2017 წ. გიორგობა.

დანართი:

ინციდენტი ღალიძგაზე და მერაბ კოსტავა

დივერსიული ეთნოფაბრიკაცია, როგორც საბჭოთა ინდუსტრიის სტრატეგიული მიმართულება, კრემლიდანური რეჟიმისთვის ისეთივე უმნიშვნელოვანესი დარგი გახლდათ, როგორც ხორბლის ან ფოლადის წარმოება, მეცხოველეობა, სამხედრო მრეწველობა და ა. შ. აქედან გამომდინარე, იგი საბჭოთა კავშირში სათანადო სახელმწიფო პოლიტიკით, იდეოლოგიით, პროპაგანდისტული სამსახურების ქსელითა თუ სხვა ინსტიტუციური სამსახურებით ხორციელდებოდა (გააჩნდა მიზნობრივ სამეცნიერო ინსტიტუტებში დამუშავებული და დაზუსტებული გეგმა, მისი განხორციელების მეთოდები, ხერხები, ასევე ამწუთიერი, ხვალ მიღწევადი, მომავალში აღსრულებადი ან შორეულ მყობადში მისაღწევი ხალხთა სადენაციონალიზაციო ბერკეტები).

თავისი მნიშვნელობით დივერსიული ეთნოფაბრიკაცია საბჭოთა მილიტარისტულ პოლიტიკაში ერთერთი ძირითადი და ძალზე ქმედუნარიანი დაპყრობითი ინდუსტრია გახლდათ, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ე. წ. ადგილებზე მკვიდრი მოსახლეობის დენაციონალიზაცია, სულიერი და ფიზიკური გენოციდი, ეთნიკური წმენდა, ცალკეული ხალხებისათვის საკუთარი სამშობლოს „გასხვაქვეყნება“ და ა. შ.

საქართველოს სსრ სინამდვილეში, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ქართველი ერის დაუკითხავად შექმნილი სამი ავტონომია (და არა მხოლოდ ისინი), სწორედ დივერსიული ეთნოფაბრიკაციის პროდუქციაა, რასაც მოჰყვა ქართული მიწების „გასხვაქვეყნება“, ქართველების „გასხვახალხება“, ეროვნული ვინაობისთვის ნელი მოქმედების ნაღმების მიხრახვნა და ა.შ.

1988-89 წლებში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ახალი ტალღის დროს, საბჭოთა იმპერიის შესაბამისმა სამსახურებმა ასე მოთადარიგებული პროგრამის მიხედვით ახალი აღმავლობით დაიწყეს ეთნოდივერსიების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში. ეს ვრცელი თემაა. ამჯერად შევჩერდები 1988-89 წლების მოვლენებზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).

უნდა შეგახსენოთ, რომ 1988 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს კპ სოხუმის საქალაქო კომიტეტის XXXII პარტკონფერენციაზე, ვლადისლავ არძინბამ ქართველებს აფხაზეთის ანექსიაში დასდო ბრალი (მან იგივე გაიმეორა იმავე წლის 16 დეკემბერს საქართველოს კპ აფხაზეთის XXXVIII საოლქო პარტკონფერენციაზე), რაც ნიშნავდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველების კანონგარეშე გამოცხადებას და მათ აღიარებას „ოკუპანტებად“.

ბუნებრივია, იმ ვითარებაში, როდესაც „ქართულმა“ პარტოკრატიამ იმავე ტრიბუნიდან ასეთ ავანტიურას იქვე არ გასცა პასუხი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ასე აშკარად, თანაც ჟღარუნის წესით გახმოვანებულ მუქარას ვერ შეურიგდებოდა.

1988 წლის 1 დეკემბერს საქართველოს ეროვნული მოძრაობის სახელით და აფხაზეთის საზოგადოებრიობის თანადგომით, მერაბ კოსტავამ ქ. სოხუმში, თბილისის გზატკეცილზე მოაწყო ქართველი მოსახლეობის მშვიდობიანი მსვლელობა, რომელმაც დაგმო აგრესორ-ეთნოკრატთა პროვოკაციები და „ქართული“ პარტოკრატიის კოლაბორაციული ბუნება. ამის შემდეგ რუსისტულმა იმპერიამ ძალების მოსინჯვა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში 1989 წლის იანვარში სცადა, როდესაც სსრკ მოსახლეობის აღწერის დროს , შეეცადა ქართველები დაენაწევრებინა ქართებად, მეგრელებად, ლაზებად და ასე აღეწერა. საბედნიეროდ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სიფხიზლემ, ასევე აფხაზეთის უძირძველესი ქართველობის წინგახედულებამ ეს ვერაგული გეგმა და წელსქვემოთა ილეთიც გაუვნებელჰყო.

ვითარება უკიდურესად ფეთქებადსაშიში გახდა აფხაზეთის აგრესიული ეთნოკრატიის მიერ ჯერ 1989 წლის 11 მარტს ქ. გაგრაში, ხოლო 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართული ე. წ. თავყრილობის შემდეგ, რომელზეც ჩრდილო-დასავლეთ საქართველო ანუ აფხაზეთი საქართველოდან გამიჯნულ სხვა ქვეყნად გამოცხადდა.

ამის საპასუხოდ 1989 წლის 25 მარტს, ლიხნის პროვოკაციული შეკრებიდან ერთ კვირაში, მერაბ კოსტავას თაოსნობითა და, რა თქმა უნდა, ამჯერადაც სოხუმის ქართული საზოგადოებრიობის ძალისხმევით, ქ. სოხუმის შუაგულში (მთავრობის სასახლის პირდაპირ) გაიმართა ქართველთა სამშვიდობო მიტინგი, სადაც 60 ათასამდე აღშფოთებულმა მომიტინგემ დაგმო ეთნოკრატიული ავანტიურა და კრემლიდანური ძირგამომთხრებლობა. იმავე დღეს, იმავე დროს თავისი უკიდურესი აღშფოთება ამასთან დაკავშირებით გამოხატა გალის (საბედიოს) მოსახლეობამ. **1 აპრილს მერაბ კოსტავამ, ამ მხარის მამულიშვილებზე დაყრდნობით, ახლა უკვე ქ. გაგრაში** მოაწყო ქართველი მოსახლეობის მიტინგი.

საბჭოთა სუკ-ი (КГБ) საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქმედუნარიან, სახლიკაცური შედეგებისკენ გაძღოლილ ძალისხმევებს შორიდან ვერ უყურებდა. ამის მიხედვით, მან სწორედ ქ. გაგრაში მოინდომა სისხლიანი დაპირისპირების მიღწევა, რაც ე. წ. ეთნოკონფლიქტად უნდა შენიღბულიყო და მას ესკალაციური ხასიათი უნდა მისცემოდა. ამ ქვებუნაგურ მოვლენათა შუაგულში აღმოჩნდა მერაბ კოსტავა, რომლის წინგახედულებითაც ქართული მოსახლეობა, მიუხედავად კრემლის მცდელობისა, ვერ ჩაითრიეს ავანტიურაში, მაშინაც კი, როცა მშვიდობიან მომიტინგეებს თავს დაესხნენ მდინარე ბზიფთან.

ასეთ დროს, რა თქმა უნდა, კონსტანტინე ოზგანი თავს არც სუკ-ის, არც ექსტრემისტული „აიდგილარასა“ და არც ქართველების წინაშე თავს არ გაიშიფრავდა, მაგრამ სისხლისღვრა , რომელიც აფხაზეთის მოსახლეობის წინგახედული ნაწილის გეგმებში არ შედიოდა და რომელიც ექსტრემისტების მონაწილეობით უნდა მიღწეულიყო, მიუხედავად ვითარების ხელიდან კინაღამ გაქცევისა, არ მოხდა საბედნიეროდ, რაშიც ჩანს მისი წვლილიც იყო.

2019 წლის 27 სექტემბერს, ქ. თბილისში, ქაშუეთის წინ, ამ საკითხზე მესაუბრა საქართველოს კპ ცკ-ს და საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი პასუხისმგებელი მუშაკი, ასევე თავის დროზე საქართველოს კპ აბაშის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი რევაზ ღვინჯილია. მისი გადმოცემით, საქართველოს კპ გუდაუთის რაიკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა კონსტანტინე ოზგანმა იცოდა ამის შესახებ. როგორც მას უთქვამს, გრიშა აიბასა და სხვა უხუცესებს (იატაკქვეშა ბიუროს წევრებს) მისთვის დაუვალებიათ, რომ ყველა ღონე ეხმარა, რათა აფხაზეთის ეთნოკრატიის მონაწილეობით არ მომხდარიყო სუმგაითის ჟლეტის მსგავსი უმართაობა.

კონსტანტინე ოზგანი და გრიშა აიბა შემდგომში ცდილობდნენ საქართველოს ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობასთან (ზვიად გამსახურდიასთან) აზრთა შემაჯერებელ ურთიერთობას, რაც ჩაშალა აფხაზეთის „ქართულმა“ პარტოკრატიამ და გზა რუსიზმის უერთგულეს და ბეჯით შემომძღოლს - ვლადისლავ არძინბას გაუკვალა (ვრცლად იხილეთ სერგი საჯაია - „შეთქმულთა თაღლითობანი“ - მეხუთე ნაწილი).

როგორც გახსოვთ, კლემლიდანური გეგმა - ქართველთა გენოციდის ან ეთნიკური წმენდის შესახებ ქუჩიდან მოთრეული ჭორი არ გახლავთ. **ამაზე 1989 წლის ივნისში აგრესორ-სეპარატისტთა** ერთერთ არასანქცირებულ მიტინგზე საჯაროდ დაიმუქრა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში საიდ თარკილმა. სწორედ ეს მუქარა განხორციელდა 1989 წლის 15-16 ივლისსა და მომდევნო დღეებში, როდესაც კრემლმა აგრესორ-საპარატისტებზე დაყრდნობითა და „ქართული“ პარტოკრატიის კოლაბორაციული ბუნების შედეგად, როგორც იქნა, სასურველს მიაღწია. ქ.სოხუმში „აიდგილარას“ ხელმძღვანელობით მოხდა მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის დარბევა და სისხლისღვრა. უმართავმა ბრბომ, შეიარაღებულმა ხელჯოხებით, არმატურით, აქა-იქ ცეცხლსასროლი იარაღითაც, მოახერხა ქალაქის დროებით ბლოკირება - ამ უმართაობაში დაიღუპა 9 ქართველი და 5 „абхазец“-ი, მძიმედ დაშავდა 137 მშვიდობიანი ქართველი. ამათ გარდა სამედიცინო დახმარება გაეწია კიდევ 300 ქართველ მომიტინგეს. ჩვენი აგრესორი სახლიკაცებიდან დაშავდა 47 პროვოკატორ-საპარატისტი.

რამოდენიმე საათში სოხუმის ახლო-მახლო სოფლებიდან ქართულმა მოსახლეობამ თავი მოიყარა შედარებით ქართულ უბანში, ქ. სოხუმში, „წითელ ხიდთან“. საინტერესოა სად გაიღო მსხვერპლად აგრესორ-სეპარატისტთა ბანაკმა თავისი წევრები? ეს მოხდა ძირითადად ქ. სოხუმში, სწორედ „წითელ ხიდთან“, როდესაც დაკავებულ იქნა ავტობუსი, რომლითაც აგრესორ - სეპარატისტებს იარაღი გადაჰქონდათ და ცოცხალი ძალა გადაჰყავდათ პროვოკატორთა დისლოკაციის ადგილისაკენ.

აქვე უნდა აღვნიშნო, აფხაზეთის ე. წ. ქართული პარტოკრატიის, რბილად რომ ვთქვა მოღალატური ხასიათი. როგორც უკვე გითხარით, კრემლი აქ მიზნად ისახავდა

სისხლისღვრის პროვოცირებას და მის „ეთნოკონფლიქტად“ გასაჯარისებას. ამისთვის საჭირო იყო მდინარე ენგურის მარცხენა მხრიდან უმართავი ქართველობის შემოთარეშება აფხაზეთში, დანარჩენი ხელმარჯვეობის საკითხი ხდებოდა. ამ დაკვეთის შესასრულებლად - **აფხაზეთის „ქართულმა“ პარტოკრატიამ დასავლეთ საქართველოში მიავლინა მათთან მოთანამშრომლე ეროვნული მოძრაობის რამდენიმე წევრი ნუგზარ მგალობლიშვილის თაოსნობით.** ისინი ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას თათბირებზე მეტად „ქართულ“ პარტოკრატიას უგდებდნენ ყურს. სამწუხაროდ ეს „მოღვაწეები“ მოსახლეობაში ვნებათაღელვის დაცხრომის ნაცვლად, პირიქით, კრემლის ძირგამომთხრელობათა შესაბამისად, შეიარაღებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ისედაც აღშფოთებულ სრულიად საქართველოს.

ამხელა უსამართლობით დაქუსლული საქართველო ქუდზეკაცად დაიძრა სოხუმისაკენ. 16 ივლისს, დღის მეორე ნახევარში, სოხუმის დეპოს ადმინისტრაციულ შენობაში (სადაც ჩვენ მანამდეც ვიკრიბებოდით), თბილისიდან დარეკა ზვიად გამსახურდიამ. მე, როგორც **სახალხო წესრიგის აღდგენის კომიტეტის** თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარე - ალიოშა მიქაძე, წევრები: ტარიელ (ტიგრან) ფარულავა, ჯუმბერ ჯოჯუა, რევაზ კემულარია, როლანდ კაკულია, ზურაბ კვარაცხელია, ლეონარდო დევდარიანი და სხვები) მიმიყვანეს დეპოში ბატონ ზვიადთან სასაუბროდ. მან ცოტა ხანში გადმორეკა და მოისმინა ჩემი ანგარიში. შემდეგ კი მოგვიწოდა, **არავითარ შემთხვევაში არ ავყოლოდით კრემლის სახაფანგო პროვოკაციებს და მოგვეხერხებინა ვითარების დაცხრობა - როგორმე გაძელით, მერაბ კოსტავა მოდისო თქვენთან - დასძინა ბოლოს.**

15-16 ივლისს სოხუმსა და გულრიფშს ფაქტობრივად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრთან შოთა გორგოძესთან ერთად, ჩვენ - **„სახალხო წესრიგის აღდგენის კომიტეტი“** ვაკონტროლებდით. მიღებული ზომების შედეგად ვითარება უმართაობიდან წინგახედულობისაკენ ძნელად, მაგრამ დაიძრა. მეტიც, მომდევნო დღეებში სწორედ ჩვენ შევიყვანეთ თავიანთ სამუშაო კაბინეტებში სოხუმისა და გულრიფშის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმღვანელები.

მივუბრუნდეთ იმხანად სოხუმისკენ დაძრულ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით სამეგრელოს ნაცად და სრულიად საქართველოს საკადრის ქუდზეკაცობას. 17 ივლისს აღშფოთებული მოსახლეობის უწყვეტ ნაკადს ენგურ-ღალიძგის გადასარბენზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, სწორედ რომ მიიერთსხეულა მერაბ კოსტავა და ღალიძგის მარცხენა ნაპირზე მან უმართავი სახალხო თავაწყვეტა წინგახედულ ეროვნულ სიბრძნეში გაამუხლმაგრა.

იმავდროულად ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირზე ჩასანგრებული კბილებამდე შეიარაღებული , საგანგებო წესით გაწრთვნილი სსრკ შს ჯარი, რომელიც მზად იყო გასასროლად, სწორედ აქ აპირებდა ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩათრევას მიზნობრივად პროვოცირებულ ე.წ. ეთნოკონფლიქტში, რასაც გარეგნულად აგრესორ-სეპარატისტთა ხელით მოჰყვებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა გენოციდი, ეთნიკური წმენდა და აქედან

გამომდინარე შედეგები. მოხდა გაუთვალისწინებელიც: დედით აფსუამ, გალელმა ნური შამათავამ მოინდომა ღალიძგიდან დედულეთს გაღწევა და თავისი სისხლ-ხორცის გონს მოყვანა, მაგრამ იგი პროვოკატორის ტყვიამ განგმირა. ასეთ სათავზარო შემთხვევას თითქოს ცეცხლისათვის ნავთი უნდა მიესხა, მაგრამ , საბედნიეროდ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ღალიძგაზე, როგორც უკვე გითხარით, 17 ივლისს მერაბ კოსტავას წინამძღოლობით შეუძლებელი შესძლო. მისი ძალისხმევით სამართლიანად აღშფოთებულმა მოსახლეობამ სახალხო სიბრძნით იხელმძღვანელა და ვითარება წინგახედულობისგან გახდა მართვადი.

იმავე დღეებში სოხუმის რაიონის სოფელ ბირცხაში ჩვენ შევძელით 50 ათასამდე ქართველის, რუსის, არმენის, ბერძნის, აფსუას, ესტონელის და ა.შ. სახალხო თავყრილობაზე შეკრება. თავაწყვეტებს ზნეობრივი სადავე ამოედო. ამას მოჰყვა კარდაკარ , სოფელ-სოფელ ყველა ეთნიკურ ჯგუფთან შეხვედრა, ურთიერთნდობის დამყარება.

მართალია, იმხანად, ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ჩაიშალა, მეტიც, შემდგომში საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ შესძლო აფხაზეთის მოსახლეობაში სახლიკაცური წესრიგისაკენ მოვლენათა გაძღოლა, მაგრამ, საუბედუროდ, 1991 – 1992 წლების დეკემბერ-იანვრის სისხლიანმა პუტჩმა და ეროვნულ - სახალხო მმართველობის დამხობამ უზრუნველყო კრემლის მიზანდასახულობათა აღსრულება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), რასაც მოჰყვა ამ მხარის ქართული მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

დღეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) დროებით ოკუპირებულია მთელ რიგ ქართულ მხარეებთან ერთად.

...და მაინც, იმ პოლიტიკური, იურიდიული, ზნეობრივი და ა.შ. ქაოსიდან, რომელიც 1989 წლის 15-16 ივლისმა თუ მომდევნო დღეებმა მოგვახვია თავს, რასაც უნდა უზრუნველეყო ქართველთა ეთნიკური წმენდა. საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ძალისხმევა მდინარე ღალიძგასთან სიბრძნისა და წინგახედულობის ძვრაუქმნელი ნიშანსვეტი გახლავთ.

16.10. 2019 წელს წაკითხულია მოხსენებად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.